ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 თებერვალი **ოთხშაბათი** 2012

№049(13655) ფასი 80 თეთრი

ამხანაგურები ბრაზილიამ გახსნა

პენტაკამპეონებმა 91-ე წუთზე გამოსტაცეს გამარჯვება ბოსნიას, ისიც მეტოქის მცველის ავტოგოლით

7

შქიპერია თუ იბერია. რომელი უფრო ძლიერია?

პასუხი დღეს: 18 საათიდან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ოთარ მარცვალაძე:

ალბანეთი მებრძოლი გუნდია და მის დასამარცხებლად აუცილებელია ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს.

ერვინ გულკუ:

შინ ვიგებთ, საქართველოში კი ყოველთვის ვმარცხდებით. ისტორია ჩვენდა სასიკეთოდ უნდა შევცვალოთ

ლევან ყენია დაგვიბრუნდა!

გუშინ ნაკრებმა სრულად ივარჯიშა

2

პოლდი არსენალს შეუთანხმდა

„კიოლნის“ ფორვარდმა ლუკაშ პოდოლსკიმ ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალები განიხილა. როგორც გუშინ გვიან ღამით BILD-მა დაწერა, გერმანიის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელმა „მეთოფეთა“ რიგებში გადასვლაზე თანხმობა განაცხადა, თუმცა კლუბებს შორის ჯერ არ არის მიღწეული შეთანხმება ტრანსფერის თაობაზე.

ანამ პირველი წრე დასძლია

ტატიშვილმა ბირნეროვას მოუგო და ბეგუს ხვდება

11

ეროვნული ნაკრები

ლია ვარჭიში საქართველო-ალბანეთის წინ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლევან ყენია დაგვიბრუნდა!

გუშინ ეროვნულმა ნაკრებმა ალბანეთთან ამხანაგურ მატჩამდე გენერალური რეპეტიცია ჩაატარა. ნაკრებმა "მიხეილ მესხის" სახლობის სტადიონის ნაცვლად (სადაც დღეს მეხვედრე არის დაგეგმილი) ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ივარჯიშა. **თემურ ქქცახაიას** განკარგულებაში გუშინ ყველა გამოძახებული მოთამაშე იყო.

მკარეები: **ნუკრი რევიშვილი, გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე**.

მცველები: **უჩა ლობჟანიძე, ალეკო ამისულაშვილი, გურამ კაშია, გია გრიგალავა, მამუკა კობახიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, აკაკი ხუბუტია, დავით კვირკველია.**

ნახევარმცველები: **შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ჯაბა ანანიაშვილი, ჯანო ანანიძე, ლევან ყენია, ირაკლი ძარია.**

თავდამსხმელები: **დავით თარგამაძე, ალექსანდრე კობახიძე, ვლადიმერ დვალიშვილი, ნიკა გელაშვილი, ოთარ მარცვალაძე.**

გუშინდელი ვარჯიშის მთავარი მოვლენა სამწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში **ლევან ყენიას** დაბრუნებაა. ჩანდა, რომ (განსაკუთრებით "კვადრატში") ყენია ჯერ სასურველ ფორმაში არ არის, მისთვის ჩვეული რბილი გადაცემები უჭირდა, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივიც იყო. რაც მთავარია, უნდა გვინახავს, რა გაბარებული და მონდომებული ვარჯიშობდა.

ფაქტობრივად, სანერვინელი პროცესი დაბურული იყო, მედია მცირე ხნით დაგვიშვეს და ბაზის დატოვებაც მალე მოგვიხდა. ამდენად, შემადგენლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან "ორკაპის" ვეღარ დავაკვირდით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ალბანეთის ამხანაგური მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეს 18 საათზე დაინყება - დასწრება უფასოა.

მერაბ მამულაშვილი

ლევან ყენია

ოთარ მარცვალაძე

ოთარ მარცვალაძე კარგ ხასიათზეა

ოთარ მარცვალაძე ეროვნული ნაკრების შეკრებაზე კარგ ხასიათზე გამოცხადდა – "კრასნოდარმა" თურქულ ბელეკში შეკრება სიმფეროპოლის "ტავრიასთან" ამხანაგური მატჩით დაასრულა. **ნუკრი რევიშვილის, ალექსანდრე ამისულაშვილისა** და მარცვალაძის გუნდმა 3:2 გაიმარჯვა, ამ უკანასკნელმა კი გოლი გაიტანა.

"გასული სეზონი ჩემთვის კარგად დაიწყო და მიმაჩნია, რომ "კრასნოდარში" გადასვლაც წინსვლა იყო. რა თქმა უნდა, აუცილებელია ახალ გუნდთან შეჩვევა, მასთან ერთად შეკრების გავლა, მოთამაშეთა და იქ დამკვიდრებული წესების უკეთ გაცნობა და პატივისცემა. მერე თამაშიც უფრო გაადვილდება. ადაპტაციაში ალეკო ამისულაშვილი ძალიან დამეხმარა. ჩემთვის ბევრს ნიშნავდა, რომ მივედი გუნდში, სადაც კაპიტანი ქართველი იყო – ეს პატარა ამბავი არ არის. მერე ნუკრი რევიშვილი დაგვემატა, სამი ქართველი კი უფრო თავისუფლად და კარგად ვგრძნობთ თავს. ხელმძღვანელობა და მწვრთნელი ჩვენს მიმართ კარგად არიან განწყობილნი და შემიძლია ვთქვა, რომ "კრასნოდარს" ძალიან კარგად შევეგუე. ვფიქრობ, რომ ახალ სეზონში თავის გამოჩენის შანსი სამივეს გვექნება. "კრასნოდარის" მიზანი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მძიმე მატჩები გველის, ყველა ტური ფინალის ტოლფასი იქნება, მაგრამ ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს" – ამბობს მარცვალაძე.

27 ნლის თავდასმსმელი ფიქრობს, რომ მძიმე მატჩი გველის ალბანეთთანაც: "ეს ნაკრებისთვის აუცილებელი შეხვედრა იქნება. ბევრმა ჩვენთანმა სეზონი უკვე გაანახლა და ფორმაში შედის, რუსეთ-უკრაინის კლუბებში მოთამაშეები კი შეკრებებიდან ჩამოვედით. კლუბისა და ნაკრების შეხვედრებს სულ სხვადასხვა დატვირთვა აქვს, ჩვენ ეროვნულში სხვაგვარად მონდომებულები ვართ და თუნდაც ამხანაგურ მატჩში მონანილეობა ძალიან გვიხარია. ალბანეთის ნაკრები საკმაოდ კარგი, მებრძოლი გუნდია. მაგრამ ბრძოლა ჩვენც არანაკლებ გვეხერხება. ვფიქრობ, ჩვენი თამაში თავს უნდა მოვაწიოთ და მოსაგებად ვითამაშოთ".

მერაბ მამულაშვილი

მეტროქე

ალბანელები ისტორიის შესაცვლელად ჩამოვიდნენ

ალბანეთის ნაკრები თბილისს 26 თებერვალს ენება და სასტუმრო "პოლიდეი ინნში" დაბინავდა, თუმცა აქ პირველად მხოლოდ გუშინ ივარჯიშა. მეტოქემ წვრთნა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარა და მედიას მხოლოდ სანყისი 15 წუთის ხილვის საშუალება მიეცა. როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ვარჯიშის ღია მონაკვეთში ფეხბურთელებს ბურთით ფატბობრივად, არაფერი გაუკეთებიათ და საქმეში არა ალბანელთა იმპალიელი მთავარი მწვრთნელი **ჯანნი დე ბიაზი,** არამედ მისი თანამემამულე, ფიზიკური მომზადების სპეციალისტი იყო ჩართული.

ვარჯიშს კი წინ პრესკონფერენცია უძღოდა, რაკი ამის პრაქტიკულად "ბასაზე" საქართველოს ნაკრები ვარჯიშობდა, "მიხეილ მესხზე" ჟურნალისტთა სიმრავლე არ ყოფილა, მაგრამ სბუმრებს მცირე პუბლიკა მაინც დახვდათ.

მედიის წინაშე "ბრეშაში", "ტორინოში", "ლეჯანტესა" და "უდინე"ზეში" ნამუშევარი ჯანი დე ბიაზი და ალბანეთის ნაკრების კაპიტანი **ერვინ ბულკუ** წარსდგნენ.

დე ბიაზი: - დიდი მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მონვევისა და გულთბილი მასპინძლობისთვის. ჩემთვის ეს პირველი მატჩია ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში და მის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ყველანაირად ვეცდებით, ამ შეხვედრიდან ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ.

- რა პოტენციალს ხედავთ ალბანეთის ნაკრებში?

- საკმაოდ პერსპექტიული გუნდი ჩავიბარე, რომელსაც პროგრესირება და განვითარება შეუძლია. ახლა ჯერ კიდევ გაცნობის პროცესში ვარ და მინდა, მსოფლიოს 2014 წლის რემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის გუნდის ოპტიმალურ ბირთვს მივაგნო. სწორედ ამიტომ, თბილისში თავის გამოჩენის შანსს ბევრ ფეხბურთელს მივცემ.

- საქართველოს ნაკრებზე რა ინფორმაციას ფლობთ?

- ვნახე თქვენი ნაკრების მიერ ბოლო შესარჩევ ციკლში ჩატარებული რამდენიმე მატჩის ჩანაწერი და დავრწმუნდი, რომ საკმაოდ ძლიერ და ბრძოლისუნარიან გუნდს ვეთამაშებით. სწორედ ასეთი დონის მეტოქეებთან თამაში მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად დავინახოთ და საბოლოდ დასკვნები გავაკეთოთ.

ბულკუ: - საქართველოს ნაკრებს კარგად ვიცნობ, რადგან მის წინააღმდეგ უკვე მითამაშია. ჩვენი ნაკრებები ერთმანეთს ბევრჯერ შეხვედრიან და თუკი მან წარმატებით ვთამაშობთ, სტუმრად ყოველთვის ემარცხდებით. სწორედ ამიტომ გვინდა, თბილისში ეს ისტორია ჩვენდა სასიკეთოდ შევცვალოთ.

ალბანეთის ნაკრებმა ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში ექვსგუნდიან ჯგუფში ჩვენს მსგავსად ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. 10 შეხვედრიდან ალბანელებმა 9 ქულა დააგროვეს, საინტერესო ყველაზე მეტად ორ ფრე და შინ ბელარუსის დამარცხება იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ნაკრებმა ლუქსემბურგი ნაადო.

ალბანელები თბილისში ამ შემადგენლობით ჩამოვიდნენ:

მკარეები: სამრ უჯკანი (ნოვარა, იტალია), **ორგან შეჰი** (მენდორზუე);

მცველები: ტეფუ ოსმანი (ტუტა), **არმენდ დედუკუ** (ვორსკლა, უკრაინა), **ფრანც ველიუ** (ფლამურტარი), **ანდი ლილა** (ინანნა, საბერძნეთი), **კრისტი ვანგელი** (ჩერნომორეც, უკრაინა);

ნახევარმცველები: **ერვინ ბულკუ** (ოლიმპიკ.-შუვალინი, ზზრჩაიოკინი), **გილმან ლილა** (ტირანა), **ოდისე როში** (კიილნი, გერმანია), **ჯაჰმირ ზიკა** (ლუგერნი, შვეიცარია), **ემილიანო ვილა** (ინანნა, საბერძნეთი), **გჯერჯ მუზაკა** (შკნდერძეკუ), **ანსი ჯაკო** (ვარაბახი, აზერბაიჯანი), **ჰაარ ზედერი** (რიზესფორი, თურქეთი), **ელის ბაკაჯი** (დინამო, რუმინეთი);

თავდამსხმელები: **ალბედ ჯანუზი** (ვორსკლა, უკრაინა), **არმანდო სადიკუ** (ლოკერენი, შვეიცარია), **ედგარ ცანი** (პოლონია, პოლონეთი).

ლევან ჯაბნეხაშვილი

გიორგი ლორია:
ალბანეთი მძიმე მეტოქეა

საქართველოს ნაკრებს ყველაზე გვიან ეროვნულ ჩემპიონატში დასაქმებული მოთამაშეები შეუერთდნენ. მათ შორის იყო **გიორგი ლორია** – 26 თებერვალს "დინამოს" ზუგდიდის "ბაიას" მოუგო, მეორე დღით კი თბილისელთა მეკარე ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა.

"ევროპაში სეზონი დიდი ხანია განახლდა, ჩვენს ჩემპიონატში კი უკვე სამი ტური ჩატარდა და ასე თუ ისე, თამაშებისთვის მზად ვართ. ალბანეთის წინააღმდეგ ერთხელ ვითამაშე – ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტირანაში 1:2 წაგებული და მაშინ მსაჯმა სამი კაცი გაგვიგდო. ალბანელებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ზოგადი წარმოდგენა მაქვს, რომ ევროპული ფეხბურთის ლიდერებთანაც ბოლომდე იბრძვის და რთული მეტოქეა. მაგრამ ჩვენი მიზანი სეზონის მოგებით დაწყებაა და საამისოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ" – ამბობს ლორია.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი ლორია

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თევზაძეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ვრემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბახილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პასუხისტი მდივნის ცხელი ბაზა: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

მისამართი: ოსსეტინის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

დამფუძნებელი და გამომცემელი ჟპს გამომცემლობა ლელო

გამოდის ორშაბათის გარდა კვირისა

რედაქციასთან ურთიერთობლობის გასაკეთებლად და ფოტოების სხვა მეტყველი ელექტრონული საშუალებების გამოქვეყნებლად პარალელური

ლეგიონერი

მარცხნივ - თორნიკე ოქრიაშვილი

თორნიკე ოქრიაშვილი წარმატებული შენაძენია

დავით თარგამაძის მარიუპოლის "ილიჩივეცი" გადასვლით გამონვეული ატიტაჟი ნელ-ნელა მინყნარდა და უკრაინელებმა გაიხსენეს, რომ საპორტო ქალაქის გუნდში მეორე ქართველიც თამაშობს.

უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებისა და დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელი **ფილიპ ბუდკოვსკი** მარიუპოლის "ილიჩივეცში" ოყარით გაუშვეს, ისევე როგორც ჩვენი მოთამაშეები, თორნიკე ოქრიაშვილი და დავით თარგამაძე.

ბუდკოვსკი უკრაინურ გამოცემა "უკრფუტბოლს" ქართველებზე ესაუბრება: "გუნდში საინტერესო ის მოხდა, რომ ჩვენი 20 წლის მოთამაშე თორნიკე ოქრიაშვილი თურქულ შკარბაზე გამგზავრებამდე დაოვალბა. ვფიქრობ, ქართველი "ილიჩივეცში" თავს კარგად უნდა გრძნობდეს. თორნიკე კარგი ადამიანი და ფეხბურთელია. მიმაჩნია, რომ ის კლუბის წარმატებული შენაძენია და გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების კარგი შანსი აქვს".

ბუდკოვსკის **დავით თარგამაძეზე** ჯკითხეს: "მიყვარს პასუხის გაცემა, მოგვიწევს თუ არა მასთან ერთად დუეტში თამაში. შეკრებზე დათოს გვერდით მხლოდ ერთხელ ვითამაშე. დანარჩენ შემთხვევებში ცალ-ცალკე გვიწევდა მოედანზე გასვლა. შედეგება თუ არა ჩვენი დუეტი, ჩემპიონატის მსვლელობის დროს გადაწყდება".

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

ლაზარეთი ცარიელდება

ჯაბა დვალი

"ზესტაფონისა" და "სპარტაკის" მატჩში, რომელიც კვირას დიდოელობის დაინიშნა, შესაძლოა, მასპინძელთა რამდენიმე ისეთმა ფეხბურთელმა მიიღოს მონაწილეობა, რომლებსაც ტრავმების გამო კვირას თამაშის შანსი არ ჰქონდათ.

უპირველესად, ეს **ჯაბა დვალი** ითქმის, რომელსაც არცთუ სერიოზული ტრავმის გამო ჩემპიონატის სანყისი ორი მატჩი გაუვლია. იგი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და სავარაუდოდ, "სპარტაკთან" მოედანზეც გავა. ეს კი "ზესტაფონის" შემტკვ პოტენციალს საგრძნობლად გააძლიერებს. გუნდთან ერთადაა **თემურ ღონღაძე**, რომელმაც წინა ტურში "ბაიასთან" შინ ჩატარებული მატჩი სიცხის გამო გამოტოვა.

საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდნენ **თორნიკე აფციაური** და **გიორგი ხიდეშელი**, თუმცა მათი "სპარტაკთან" თამაში ნაკლებად მოსალოდნელია. შეგახსენებთ, ორივე ესპანურ შეკრებაზე დაშავდა. ხიდეშელს ძმიმე ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი უკვე გვქონია და ფიზიკურად ამ მხრივ ნაკლებად უნდა ინერვიულოთ. აფციაურისა და ხიდეშელის მსგავსად, ინდივიდუალური პროგრამით მზადების განაგრძობს ნიგერიელი ახალნეული **აბაიომი ოგონიკოკო** და არც მისი მოედანზე დაბრუნების დღეა შორს.

საქართველოს ჩემპიონთა შემადგენლობაში ამჟამად მხოლოდ ორი ფეხბურთელი ვერ ვარჯიშობს – **ალექსი ბენაშვილი** და **შოთა ბაბუნაშვილი** ესპანეთში დამავდნენ, თუმცა უახლოეს პერიოდში თამაშს შანსი არ ჰქონდათ.

ლევან ჯანეზაშვილი

U19

ელიტრაუნდის კალენდარი ცნობილია

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის კალენდარი გამოაქვეყნა. სანამ ჩვენი 19-წლამდელების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას შეეიგნყობდეთ, მანამდე საქართველოს ნაკრების ჯგუფის განრიგს გადავეცნოთ:

25 მაისი

ბოსნია-სამხრეთელო ხორვატია-ავსტრია

27 მაისი

სამხრეთელო-ხორვატია ბოსნია-ავსტრია

30 მაისი

ავსტრია-სამხრეთელო ხორვატია-ბოსნია

მოგვიანებით დაიდგინდება შეხვედრათა გამართვის მსაჯები, ქალაქები და მატჩების მომსახურე მსაჯები.

შეგახსენებთ, ჩვენი ჯგუფის მატჩების ხორვატია მასპინძლობს, ფინალური ეტაპზე კი, რომელიც 3-დან 15 ივლისამდე ესტონეთში გაიმართება, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

რა თქმა უნდა, ელიტრაუნდში სუსტი მეტოქეები არ არსებობენ, მაგრამ სხვა ჯგუფებს შორის ყველაზე ნაკლებად ვარაუდობენ, რომ გადავლენ ბოსნიელები და ავსტრიელები, ამიტომ ამ ორ ნაკრებს შორის ბრძოლა ნამდვილად ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

ამ ორ ნაკრებს შორის ერთ-ერთი ფავორიტი მინიშნებული არ უნდა ჰქონდეს. თუმცა კარგი უნდა იყოს, რომ მურინის მასპინძლებთან დაპირისპირებით არ ვინყებთ.

იმედია, ნაკრების თავკაცის პოსტზე **გიორგი დევდარიანს** არანაკლებ კვალიფიციური მწვრთნელი შეცვლის და ჩვენი 19-წლამდელები ელიტრაუნდისთვის სრულყოფილად მოემზადებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

კონკურსი

მიხეილ მესხს სტადიონზე ძეგლს დაუდგამენ

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 27 თებერვალს ლეგენდარული **მიხეილ მესხის** ძეგლის თაობაზე სფფ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა. კონკურსი 12 იანვარს, დიდი ქართველი ფეხბურთელის დაბადების დღის აღსანიშნავად გამოცხადდა, გამარჯვებული ნამოშევარი კი გაკეთდა, მისივე სახელობის სტადიონზე დაიდგმება.

"კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილ იქნა 28 პროექტი. 28 თებერვლიდან, კონკურსის ფინალური ეტაპი დაინყება. ნამუშევრების ტერიტორია-განხილვაში მიხეილ მესხის ოჯახის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. გულშემატკივრებს კი საშუალება ეძლევათ ნამუშევრები სფფ-ის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე შექმნილ ალბომებში ნახონ. მათთ უკეთ გაცნობის მიზნით, შეიქმნება ცალკე ალბომი, სადაც ყველას ეძლება საშუალება შეაფასოს და აზრი გამოთქვას მისთვის საინტერესო და მოსაწონი ნამუშევრის შესახებ" – იუწყება სფფ-ის პრესსამსახური.

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერის შემდეგ

დავით ჩაგელიშვილი:

ნეტავ, ყაზახების პირობები გვქონდეს

ახლახან გაუწყეთ, რომ გორის "დილას" თავდამსხმელი **დავით ჩაგელიშვილი** ყაზახეთში, კოკშეტაუს "ოკჟეტპისში" გადავიდა. დათო ორიოდე დღით საქართველოში დაბრუნდა და ინტერვიუ ჩამოვართვით.

"რატომ წავედი? თუმურ მახარაძემ ადამიანურად და პირადაპირ მითხრა, ვამჩნევ, თამაში არ მოგიწევს და ჯობია გითხრა, ვიდრე მერე გული დაგწყვიტო, მაგრამ დარწმუნე თუ გადაწყვიტე, ხელფასი გეკუნებაო. ჩემთვის მართალია კარგი უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ხელფასი არ იყო მთავარი, თამაში მსურდა და "დილას" პრეზენტაციის შემდეგ ნასვლა დადებულებდე. ყაზახეთში რომ არ ნავსულიყავი, მაინც სხვა კლუბში გადავიდოდი. "ოკჟეტპისის" ვარიანტი კი შემთხვევით გამოჩნდა. სამენეჯერო სააგენტო "ლაილასთან" ვთანამშრომლობ და იცოდნენ, კლუბის დატოვება რომ მსურდა. ბედი არ გინდა, უმეტროსი თენგიზ სუხიტველიძე კლუბის პრეზიდენტთან მეგობრობს და მისგან ნ შეიტყვეს, რომ თავდაპირველს ეძებდნენ. მერე ყველაფერი უცებ მოხდა, სულაქველიძემ ზუსტად ათ წუთში შეათანხმა გასინჯვა, ყაზახებმა თურქეთში გასინჯვაზე წასვლა მთხოვეს, ზუსტად ერთ საათში ავიღე ბილეთი და "ოკჟეტპისის" შკარბაზე ჩავედი. ფუხი მტკიოდა და ამიტომ სულ 20 წუთი მთამაშებს, მაგრამ ორი გოლი გავიტანე, ერთი საგოლე გადაცემა გავაკეთე და მწერინელს მოვენონე. ფინანსური დირექტორი პირობებზე დამელაპარაკა და თამაშის შემდეგ ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს" – ამბობს ჩაგელიშვილი.

"დილას" ყოფილი თავდამსხმელის თქმით, გორულ კლუბს ტრანსფერში ხელი არ შეუშლია: "დილაში" იმყენი კარგი ფეხბურთული მოყვანეს, ჩემი წასვლა პრობლემას არ შექმნიდა. კლუბის ხელმძღვანელობა კარგად მომქვეა, გათავისუფლების ფურცელზე არ მაბეკავა და საკითხი დროულად მომიგვარა, რისთვისაც მადლობელი ვარ. ყაზახეთში სე ზონაი 10 მარტს იწყება და გაბაღებაში ჩემი შეგვანა რომ მოესწროთ, საქართველოში გათავისუფლების ფურცლის ასაღებად ჩამოვედი".

ჩაგელიშვილი არ მალავს, რომ ყაზახებმა კარგი პირობები შესთავაზეს: "ჩვენი და ყაზახების პირობები იმდენად განსხვავებულია, ნამდვილად ღირდა წასვლა. საწყისია, ამბიციურ "დილაში" თამაში რომ არ მომინევს, მაგრამ ამასაც ვერ ვიტყვი, რომ გაუღი მწყდება. ნებისმიერი მოთამაშისთვის ჯობია ის კლუბი, სადაც ითამაშებს და უკეთესი პირობები ენნება.

დავით ჩაგელიშვილი

ერთ წელინადში რომ იყიდი ბინას, დასაფიქრებელი არაფერია. სამწუხაროდ, ასეთ ხელფასს ბევრი ქართული კლუბი ვერ შეძმთავაზებდა და ქვეხვეტრივას ველოდით? კლუბს უკვე გელაპარაკე და შეიძლება, ზაფხულში ჩემი ძმა ლუკანიც ჩავიყვანო, რომელიც "დილადან" პირველი წრის შემდეგ გაუშვეს. მთავარი მწერინელი უკრინელი ვიქტორ დოდაილია. მისი ვარჯიშები და მოთამაშეებთან მიდგომა ძალიან მოშეწონა. დაახლებით ისეთი ვითარება დამხვდა, როგორიც "დილაში" – გუნდი უმაღლეს ლიგაში ნლეულს გადავიდა, ფინანსურად არ უყირთ და ძალიან ბევრი ახალი მოთამაშე აიყვანეს, უმთავრესად, სერბები. საკმაოდ ძლიერ გუნდია და მომაწინა, რომ ყაზახეთის ჩემპიონატში არ უნდა გაგვიჭირდეს. ჩასვლის შემდეგ ვფიქრობ, ასეთი კარგი პირობები რომ აქეს ყაზახეთის ჩემპიონატის დებიუტანტს, ლიდერები რა მდიდრები იქნებიან. ნეტავ, ამის მეოთხედი ჰქონდეთ ჩვენს ლიდერებს და ბევრად უკეთესი კლუბები და ჩემპიონატი გვექნებოდა. საერთეულოშიც არიან შედარებით ნორმალურად დაფინანსებული კლუბები, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს და მერე მართლა გვექნებოდა".

დათო ამბობს, თუ როგორ მოახერხა გუნდში თავის გამოჩენა: "ახალ გუნდში დამკვიდრება ძნელია. საბედნიეროდ, კარგად დავიწყე. "დილაში" კარგი შეკრების გაკეთა და საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობა ძალიან დამეხმარა. მთელი პირველი წრეც ძირითადში ვითამაშობდი და 18 მატჩში 5 გოლი გავიტანე ანუ ფორმიდან ამოვარდნილი არ ვყოფილვარ.

აქვე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა გია ცეცაძეს. თბილისის "ლოკომოტივის" შემდეგ ფინეთში ვითამაშობდი. საქართველოში დაბრუნებული არავის ვახსოვდი და ორი თვე პირველი ლიგის საჩხერეს "ჩიხურაში" ვითამაშე. ცეცაძემ იქიდან მიმიწვია "დილაში", მოწინააზა გასაუბრი და გულშემატკივარს ჩემი თავი გაუხარესა. მასთან ვარჯიში ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. ისე არ გაიგოთ, თითქოს თემურ მახარაძესთან ვარჯიში არ მსიამოვნებდა და მინიშნებებს ვეკეთებ. ბატონი თემური ძალიან კარგი მწერინელია, მაგრამ ცეცაძე შემტევ ფეხბურთს გვათამაშებდა, თავდამსხმელი კი ამ დროს უფრო ჩნდება".

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

ჩვენ და ალბანელები

1995 წელი. საქართველო-ალბანეთი 2:0

თვალსა და გულს უხარია...

სასიამოვნოა, როცა თანამედროვე ფეხბურთში კვლავაც „არსებობენ" ჩვენთვის სასურველი მეტოქეები და ამ კატეგორიას, უპირველეს ყოვლისა, ალბანეთის ნაკრები უნდა მივაკუთვნოთ. დღევანდელ ჩვენს მოწინააღმდეგესთან მთლად აბსოლუტური შედეგი არა გვაქვს, მაგრამ მაინც „თვალსა და გულს უხარია", როცა საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებების ურთიერთდაპირისპირებათა სტატისტიკურ მონაცემებს გავიხსენებთ ხოლმე: 11 მატჩიდან 6 მოგება გვაქვს, 2 ფრე და 3 წაგება (ბურთების სხვაობაშიც სოლიდური უპირატესობით ვამაყობთ - 17-9).

მოკლედ, დღეს საქართველოს ნაკრები თავისთვის მართლაც სასურველ მეტოქეს უნდა დაუპირისპირდეს და იმედი დავიტოვოთ, რომ **თემურ ქეცბაიას** გუნდი 2012 წლის პირველივე შეხვედრაში გამარჯვებას მოიპოვებს. ბოლოს და ბოლოს, სტატისტიკაც ხომ აშკარად „საჩვენოა": ალბანელებს დღემდე ოთხჯერ ვუმასპინძლეთ და ოთხივეჯერ გავიმარჯვეთ! არც ის დაგვავიწყდეს, რომ ოთხივე მატჩი ოფიციალური იყო და, რაც მთავარია, ეს ოთხივე შეხვედრა „მშრალი ანგარიშით" მოვიგეთ და იმის იმედიც გვქონდეს, რომ ალბანელებს თბილისში გოლის გატანა კიდევ დიდხანს ექნებათ სანატრელი.

ალბანელთა წინააღმდეგ საქართველოს ნაკრები მოედანზე შვიდ მწვრთნელს გამოუყვანია და ამათგან საუკეთესო შედეგი **ალექსანდრე ჩივაძესა** და **ვლადიმერ გუცაევს** აქვთ - ორიდან ორი გამარჯვება; სხვა მწვრთნელთა მონაგარი ასეთია: **მერაბ ჟორდანია** - 1 მოგება და 1 წაგება, **ალენ ჟირესი** - ერთი მოგება და 1 წაგება, **კლაუს ტოპმიოლერი** - 1 ფრე, **ექტორ რაულ კუპერი** - 1 ფრე, **იოჰან ბოსკამპი** - 1 ფრე.

ალბანელთა კარში 17 გოლი ათმა ფეხბურთელმა გაიტანა და ამათგან საუკეთესო შედეგი **შოთა არველაძეს** აქვს - სხვადასხვა დროს ექვსჯერ რომ დაამწუხრა ალბანელთა მეკარეები. ორ-ორი გოლი აქვთ გატანილი საქართველოს ნაკრების დღევანდელ თავკაცს **თემურ ქეცბაიასა** და **ალექსანდრე იაშვილს**, თითო-თითო - **არჩილ არველაძეს, მიხეილ ყაველაშვილს, მიხეილ აშვეთიას, ლევან კობიაშვილს, გიორგი დემეტრაძეს, ლადო ბურდულსა და ლადო დვალიშვილს.**

2009 წელი. ალბანეთი -საქართველო 1:1

ყველა დაპირისპირება

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ალბანეთი – საქართველო 0:1

14. 12. 1994. ტირანა. „ქემალ სტაფა". 20 000 მაყურებელი

0:1 შ. არველაძე (18).

საქართველო: დევაძე - რევიშვილი, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე - გოგიჩაიშვილი (65. მ. ჯიშკარიანი), ინალიშვილი, ქინქლაძე, ქეცბაია - გოგრიჭიანი, შ. არველაძე (75. ჯამარაული).

კაპიტანი: მურთაზ შელია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

ე.ჩ.შ. მატჩი

საქართველო – ალბანეთი 2:0

26. 04. 1995. თბილისი. ეროვნული. 25 000 მაყურებელი

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42).

საქართველო: დევაძე - ლუდუშაური, შელია (70. ნ. ლობჟანიძე), ინალიშვილი, კუდინოვი - გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, ქეცბაია - ყიზილაშვილი (59. ა. არველაძე), შ. არველაძე

კაპიტანი: მურთაზ შელია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

საერთაშორისო ტურნირი

საქართველო – ალბანეთი 3:0

08. 02. 1998. ლა ვალეტა (მალტა). „ტაქალი". 750 მაყურებელი

1:0 ქეცბაია (19), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 იაშვილი (70.)

საქართველო: გვარამაძე - სილაგაძე, შელია, შეყილაძე, ჩიხრაძე - ქეცბაია, კალაძე, ნემსაძე, ჯამარაული (74. კიკნაძე) - ყაველაშვილი, იაშვილი.

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

ე.ჩ.შ. მატჩი

საქართველო – ალბანეთი 1:0

05. 09. 1998. თბილისი. „ეროვნული". 45 000 მაყურებელი

1:0 ა. არველაძე (65)

საქართველო: გვარამაძე - კალაძე, სილაგაძე (43. კიკნაძე), წერეთელი, კობიაშვილი - ქეცბაია (54. ზ. ჯანაშია), ნემსაძე, ჯამარაული, ცქიტიშვილი - ქინქლაძე - იაშვილი (62. ა. არველაძე)

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

ე.ჩ.შ. მატჩი

ალბანეთი – საქართველო 2:1

09. 10. 1999. ტირანა. „ქემალ სტაფა". 6 000 მაყურებელი

1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (52)

საქართველო: გრ. ჭანტურია - შეყილაძე, ჭიჭვეიშვილი, დიდავა, კალაძე - კობიაშვილი, ნემსაძე - ა. არველაძე (83. დ. ჯანაშია), ჯამარაული, გახოკიძე - შ. არველაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: იოჰან ბოსკამპი

ე.ჩ.შ. მატჩი

საქართველო – ალბანეთი 3:0

06. 09. 2003. თბილისი. ეროვნული. 15000 მაყურებელი

1:0 შ. არველაძე (8), 2:0 აშვეთია (17), 3:0 შ. არველაძე (43).

საქართველო: ლომაია - ხიზანიშვილი, ქემოკლიძე, ნემსაძე კვირკველია - ბურდული (68. რეხვიაშვილი), ჯამარაული (59. ასათიანი), კობიაშვილი, იაშვილი - აშვეთია, შ. არველაძე (60. დემეტრაძე)

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

ე.ჩ.შ. მატჩი

ალბანეთი – საქართველო 3:1

10. 09. 2003. ტირანა. „ქემალ სტაფა". 15 000 მაყურებელი

1:0 ჰასი (52), 2:0 ტარე (54), 2:1 შ. არველაძე (63), 3:1 ბუში (80).

საქართველო: ლომაია - ხიზანიშვილი, ქემოკლიძე (38. რეხვიაშვილი), დიდავა (65. დემეტრაძე), კვირკველია - ა. არველაძე (56. ქინქლაძე), ნემსაძე, ჯამარაული, კობიაშვილი - აშვეთია, შ. არველაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო – ალბანეთი 2:0

08. 09. 2004. თბილისი. „ლოკომოტივი". 25 000 მაყურებელი

1:0 იაშვილი (15), 2:0 დემეტრაძე (90)

საქართველო: დევაძე - მჟავანაძე, ხიზანეიშვილი, სალუქვაძე, კალაძე - ცქიტიშვილი, ასათიანი (58. კანკავა) - იაშვილი, ჯამარაული (77. კვირკველია), კობიაშვილი - შ. არველაძე (89. დემეტრაძე)

კაპიტანი: კახა კალაძე

მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი

მ.ჩ.შ. მატჩი

ალბანეთი – საქართველო 3:2

04. 06. 2005. ტირანა. „ქემალ სტაფა". 12 000 მაყურებელი

1:0 ტარე (6), 2:0 სკელა (33), 3:0 ტარე (55), 3:1 ბურდული (85), 3:2 კობიაშვილი (90).

საქართველო: სტურუა - ხიზანიშვილი, კალაძე, სალუქვაძე, კვირკველია - მაღრაძე (64. ბურდული), რეხვიაშვილი, ასათიანი (58. ვ. დარასელია), კობიაშვილი - ჯაკობია, დემეტრაძე (76. ბობოხიძე)

კაპიტანი: კახა კალაძე

მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი

ამხანაგური მატჩი

ალბანეთი – საქართველო 0:0

22. 03. 2006. ტირანა. „ქემალ სტაფა". 2000 მაყურებელი

საქართველო: ლომაია (46. გრ. ჭანტურია) - მაღრაძე, ლვინიანიძე, შაშიაშვილი, ელიავა - ალადაშვილი (88. სეთურიძე), მენთეშაშვილი (35. განუგრავა), კანკავა (46. ფოფხაძე), გოგუა - ჯაკობია, გიგიაძე

კაპიტანი: ლაშა ჯაკობია

მთავარი მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ამხანაგური მატჩი

ალბანეთი – საქართველო 1:1

10. 06. 2009. ტირანა. „ქემალ სტაფა". 2000 მაყურებელი

0:1 დვალიშვილი (2), 1:1 აგოლი (59).

საქართველო: ბედიაშვილი - უ. ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, გ. კაშია, ფოფხაძე - რაზმაძე, კობიაშვილი (83. კლიმიაშვილი) - სეთურიძე, მერებაშვილი (59. მარცვალაძე), იაშვილი (78. დაუშვილი) - დვალიშვილი (65. ალექსიძე)

კაპიტანი: ლევან კობიაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

რეგიონი

შემოდგომისთვის ლანჩხუთს თანამედროვე სტადიონი ექნება

უახლოეს პერიოდში ლანჩხუთის ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყება. პროექტი შედგენილია და დეტალების დაზუსტების შემდეგ მშენებლობაც დაიწყება. სტადიონის ჩრდილოეთი ტრიბუნა, რომელიც ავარიულია, დაიშლება. ტრიბუნები მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს დარჩება. სპეციალისტები დაადგენენ, საჭიროა თუ არა დასავლეთ ტრიბუნის დანგრევა და თავიდან აშენება. სტადიონზე განთავსდება თანამედროვე სტანდარტების პრესისა და ვიპ-ლოჟები. ტრიბუნების ნაწილი გადაიხურება, არენაზე დამონტაჟდება განათების სისტემა. სავარაუდოდ, დემონტაჟს დაექვემდებარება ადმინისტრაციული სახლი, ხოლო გასახდელები და სამსაჯო ოთახი ტრიბუნის ქვეშ განთავსდება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გამოიცვლება მინდვრის სადრენაჟე სისტემა. იმის გამო, რომ „გურია" საუმაღლესლიგო პლეი ოფშია მოხვედრილი, მინდვრის გამოცვლა, სავარაუდოდ, ზაფხულში, შესვენებაზე განხორციელდება. ასევე დაგეგმილია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„საერთაშორისო სტანდარტების სტადიონის მშენებლობა ლანჩხუთში მიმდინარე წლის გაზაფხულის მიწურულს დაიწყება და შემოდგომისთვის დასრულდება" — აცხადებს ადგილობრივ მედიასთან საუბარში გურიის გუბერნატორი, **ვალერი ჩიტაიშვილი.** მისი თქმით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მოთხოვნით, უკვე დასრულებულია ახალი სტადიონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ლანჩხუთში საერთაშორისო დონის, უეფას და ფიფას სტანდარტების საფეხბურთო სტადიონის მშენებლობას. *„ადრინდელთან შედარებით ახალი სტადიონი ტევადობით პატარა იქნება და ის დაახლოებით 10 ათასამდე ადამიანს დაიტევს. ახალი არენა დიზაინითაც ძალიან ლამაზი იქნება"* — აცხადებს ჩიტაიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთის „გურიას" გვერდში უდგას ადგილობრივი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით რაიონის გამგებელი **გიორგი გოგუაძე,** ვინც თავის დროზე, კლუბის პრეზიდენტიც გახლდათ. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული „გურიის" სტადიონის განახლების პრიორიტეტად დასახელება, რასაც მხარი დაუჭირა გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა და მისმა წინამორბედმა, ამჟამად რეგიონული განვითარების მინისტრმა, **რამაზ ნიკოლაიშვილმა.** შეგახსენებთ, რომ ნიკოლაიშვილს ქვეყნის პრეზიდენტმა გურიის აღორძინების ფონდის ხელმძღვანელობა დაავალა.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

ა ზონა (გამოტოვებული მატჩები)

მეშახტე – მერცხალი 0:1

27. 02. ხონი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

0:1 ზ. ტულუში (69).

მეშახტე: ი. ორბელაძე, დ. ბერუაშვილი, ზ. ენდელაძე, ნ. ულუხუსიანი, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, ლ. ლუარსაბიშვილი, ო. ცინარიძე (82. ი. სოფრომაძე), ლ. გაბრიჩიძე, რ. ჩიხლაძე, ჯ. ალელიშვილი

სათადარიგოები: გ. მურჯიკნაძე, ვ. ქრელაშვილი, მ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი

მწვრთნელი: დ. რუხაძე

მერცხალი: დ. ოდიშარია, მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, ლ. კალანდაძე, გ. ხაჩიძე, ლ. ათუაშვილი (46. ა. ლორია), ი. ბაჯელიძე (50. ლ. კოტრიკაძე), გ. ტყეშელაშვილი, დ. ვაშაკიძე, ი. ტაკიძე (68. ზ. ხურციძე)

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, თ. ჩხატარაშვილი, ზ. ვარდუაშვილი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ი. ტაკიძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ჭიათურა – ჩხერიმელა 3:2

27. 02. საჩხერე. „ძველი სტადიონი". 500 მაყურებელი

1:0 ნ. გაფრინდაშვილი (53, პენალტით), 2:0 ზ. ხაჭიპერაძე (63), 3:0 იაკობ დეისაძე (69), 3:1 დ. კოსტავა (84), 3:2 ა. ლაბაძე (90).

ჭიათურა: დ. ხარძეიშვილი, თ. ხარებავა (66. იაკობ დეისაძე), ი. ტყებუჩავა, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ი. ჭანკვეტაძე, ნ. სტეფანიშვილი (68. დ. კუტალია), იაგო დეისაძე, ზ. ხაჭიპერაძე, დ. სევასტოპულო (82. ლ. ქურდაძე)

სათადარიგოები: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი ლ. მაჩაიძე, ზ. ნოზაძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი (56. ჯ. არევაძე), ა. ლაბაძე, ვ. სიორდია (46. გ. თურმანიძე), ა. დოლონაძე, გ. ბურჯანაძე (72. ლ. გუმბერიძე), გ. ზაქარაშვილი, დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი, ბ. ახალაია.

სათადარიგოები: გ. კიკნაძე, მ. თევდორაძე

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

გაფრთხილება: თ. ხარებავა; ა. დოლონაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	16	13	2	1	28-8	41
2. მერცხალი	16	11	2	3	23-14	35
3. ჭიათურა	16	10	3	3	27-14	33
4. ჩხერიმელა	16	6	4	6	20-24	22
5. სტუ	16	6	2	8	31-40	20
6. ლოკომოტივი	16	5	4	7	28-24	19
7. მესხეთი	16	5	2	9	18-21	17
8. კოლხეთი (ხ)	16	4	4	8	16-19	16
9. სამტრედია	16	2	5	9	11-27	11
10. მეშახტე	16	2	4	10	13-24	10

მომდევნო ტური. 2 მარტი

მერცხალი (ოზურ.) – დინამო (ბთ)
მესხეთი (ახალ.) – ჩხერიმელა (ხარაგ.)
ჭიათურა – სამტრედია
კოლხეთი (ხ.) – ლოკომოტივი (თბ.)
მეშახტე (ტყიბ.) – სტუ (თბ.)

ბ ზონა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	16	15	1	0	39-4	46
2. გურია	16	10	3	3	37-15	33
3. იმერეთი	16	8	2	6	29-23	26
4. ზოოვეტი	16	7	3	6	21-27	24
5. ნ/დინამოელი	16	7	2	7	29-23	23
6. სძური	16	7	2	7	23-26	23
7. სამგურალი	16	5	5	6	24-21	20
8. ადელი	16	4	1	11	19-31	13
9. აეტი	16	3	1	12	12-39	10
10. სულორი	16	2	4	10	10-34	10

მომდევნო ტური. 2 მარტი

ზოოვეტი (თბ.) – იმერეთი (ხონი)
სულორი (ვანი) – სძური (წალენ.)
ნ. დინამოელი (თბ.) – აეტი (სოხუმი)
გურია (ლანჩ.) – ჩიხურა (საჩ.)
ადელი (ბთ) – სამგურალი (წყალტ)

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის შეჯამება

იუბილის და განსჯის ტური

რაიან გიგზის გამარჯვების გოლი

ტურის მწვრთნელი არსენ ვენგერია



პრემიერლიგის 26-ე ტური სრული არ გამოდგა, ერთი მატჩი გადაიდო, თან რა მატჩი! მერსისაიდული დერბი „ლივერპულსა" და „ევერტონს" შორის. თუმცა მიზეზიც საპატიო იყო, „ლივერპული" სულ სხვა ტიტულისთვის იბრძოდა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ხელში ჩაიგდო ქარლინგის თასი. მართალია, მერსისაიდული დერბის გამოკლებით ტურს პეწი მოაკლდა, თუმცა სხვა შეხვედრებიც ერთობ საინტერესო იყო. განსაკუთრებით კი ჩრდილოლონდონური დაპირისპირება მუდმივ მოქიშპეებს, „არსენალსა" და „ტოტენჰემს" შორის. **არსენ ვენგერის** გუნდის გმირობაზე, რომელმაც 0:2 5:2-ად აქცია, უკვე ბევრს ვწერდით. ნორვიჩში „მანჩესტერ იუნაიტედის" უბერებელმა ვარსკვლავმა **რაიან გიგზმა** თავისი მე-900 მატჩი (!) გუნდში გამარჯვების გოლით აღნიშნა. გაილაღეს „მანჩესტერ სიტიმ" და „ჩელსიმ", რაც პირველისთვის თუკი ჩვეული ამბავია, „არისტოკრატებისთვის" სასიამოვნო სიახლეა...

ორი რამ, რაც ამ ტურში შევიტყვეთ

1. ტოტენჰემს სჭირდება ბეილი ფლანგზე:

ჰარი რედნაპს მიაჩნია, რომ **გარეთ ბეილი**, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ახლანდელის საუკეთესოობის კანდიდატი **დავიდ სილვასთან** ერთად, მეტოქე გუნდებს მეტ ზიანს მინდვრის შუაში თამაშით მიაყენებს. მაგრამ, მგონი, გამოცდილი სპეციალისტი ცდება. ბეილი-ფლეიმეიქერის შეკავება ისეთმა გუნდმაც კი შეძლო, როგორიც ლიგა 1-ის „სტივენიჯია". და ეს მაშინ, როცა **ლენონი** ტრავმის გამო ვერ თამაშობს. დროა, ბეილი საყვარელ ფლანგს დაუბრუნდეს.

ინგლისის ნაკრებში რედნაპის მოწინაალმდეგეები მიიჩნევენ, რომ ის ტაქტიკურად მეტისმეტად სწორხაზოვანია. რედნაპი ამას ასე პასუხობს: გუნდს კარგი ტაქტიკა კი არა, არამედ კარგი ფეხბურთელები აგებინებენ. კი ბატონო! ოღონდ, საჭირო პოზიციაზე მოთამაშე კარგი ფეხბურთელები...

2. ლემპარდმა გიგზის მაგალითს უნდა მიჰბაძოს:

გოლი და კარგი თამაში, ასეთია **ფრენკ ლემპარდის** მიღწევა ამ ტურში. მაშ, ის მართალი ყოფილა გადამთიელ, ლამის მის ტოლ მწვრთნელთან? ნუ ჩავთვლით ასე - „ბოლტონთან" გოლის გატანა ამხელა დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ვფიქრობთ, დროა, „ჩელსის" ვეტერანი ფეხბურთელები მიხვდნენ, რომ ასაკს თავისი მიაქვს და ყოველ მატჩში 90-90 წუთს ველარ ითამაშებენ. მათ (**დროგბამაც** გაიტანა) დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ გამოადგებიან ლონდონურ კლუბს. ამიტომ სჯობს, ლემპარდმა გიგზს მიჰბაძოს, დაკმაყოფილდეს უფრო პატარა „როლით" „ჩელსიში" და, ვინ იცის, იქნებ მასაც მოუწიოს მშობლიური კლუბის მაისურით მე-900 მატჩის გამართვამ.

ტურის რჩეული

პრემიერლიგის ოფიციალური საიტის პარტნიორი კომპანია „EA სპორტსია", რომელიც ფეხბურთელთა ასპარეზობის ინდექსს ითვლის (რომელშიც ძალიან ბევრი სტატისტიკური ასპექტია გათვალისწინებული) და შესაბამისად, ტურის ნაკრებსაც ადგენს.

ან. 26-ე ტურის ნაკრები:

ბენ ფოსტერი (ვესტ ბრომვიჩი) - **ბაკარი სანია** (არსენალი), **დავიდ ლუიზი** (ჩელსი), **მეთიუ აპსონი** (სტოკი), **ალექსანდერ კოლაროვი** (სიტი) - **ტეო უოლკოტი** (არსენალი), **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი), **ჯეიმს მორისონი** (ვესტ ბრომვიჩი), **კიტ ენდრიუზი** (ვესტ ბრომვიჩი) - **პეტერ ოდემვინგე** (ვესტ ბრომვიჩი), **პიტერ კრაუჩი** (სტოკი).

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი „EA სპორტსის" მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი (არსენალი) - 579 ქულა**
2. **უეინ რუნი (მანჩესტერ იუნ) - 554**
3. **ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 534**
4. **დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 514**
5. **გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) - 478**

ზოგადი სტატისტიკა ლიესათვის
259 მატჩი
195 მოგება
64 დრო
133 მშრალად შენახული კარი
740 გოლი
3 784 ზუსტი დარტყმა კარში
2 924 აცილება
517 ფეხბურთელი
67 ეროვნების
14 ჰეთ თრიკი
824 ყვითელი ბარათი
47 წითელი ბარათი
8 919 259 ფანი სტადიონებზე

ტურის გმირი

რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)

38 წლის გიგზმა „მანჩესტერს" სტუმრად „ნორვიჩთან" 92-ე წუთზე მოაგებინა.

ტურის მწვრთნელი

არსენ ვენგერი (არსენალი)

ჩრდილოლონდონურ დერბში მე-40 წუთამდე „არსენალი" 0:2-ს აგებდა, მაგრამ შემდეგ 5 უპასუხო გოლი გაიტანა „ტოტენჰემის" კარში.

ჩელსი-ბოლტონი 3:0

საუკეთესო: ხუან მატა (ჩელსი)

ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი 2:2

საუკეთესო: დემბა ბა (ნიუკასლი)

ქუინზ პარკი-ფულჰემი 0:1

საუკეთესო: პაველ პოგრებნიაკი (ფულჰემი)

ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი 4:0

საუკეთესო: კიტ ენდრიუზი (ვესტ ბრომვიჩი)

უიგანი-ასტონ ვილა 0:0

საუკეთესო: დარენ ბენტი (ასტონ ვილა)

მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი 3:0

საუკეთესო: დავიდ სილვა (სიტი)

არსენალი-ტოტენჰემი 5:2

საუკეთესო: რობინ ვან პერსი (არსენალი)

ნორვიჩი-მანჩესტერ იუნ. 1:2

საუკეთესო: პოლ სქოულზი (იუნაიტედი)

სტოკ სიტი-სუონსი 2:0

საუკეთესო: მეთიუ აპსონი (სტოკი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიტი	26	20	3	3	67-19	63
2. იუნაიტედი	26	19	4	3	63-26	61
3. ტოტენჰემი	26	16	5	5	51-30	53
4. არსენალი	26	14	4	8	53-37	46
5. ჩელსი	26	13	7	6	47-31	46
6. ნიუკასლი	26	12	7	7	38-38	43
7. ლივერპული	25	10	9	6	29-23	39
8. ნორვიჩი	26	9	8	9	38-43	35
9. სანდერლენდი	26	9	6	11	34-30	33
10. ევერტონი	25	9	6	10	26-27	33
11. ფულჰემი	26	8	9	9	32-36	33
12. სტოკ სიტი	26	9	6	11	26-38	33
13. ვესტ ბრომვიჩი	26	9	5	12	33-35	32
14. სუონსი	26	7	9	10	28-34	30
15. ასტონ ვილა	26	6	11	9	29-34	29
16. ვულვზი	26	5	7	14	30-51	22
17. ქუინზ პარკი	26	5	6	15	27-45	21
18. ბლექბერნი	26	5	6	15	37-59	21
19. ბოლტონი	26	6	2	18	29-54	20
20. უიგანი	26	4	8	14	23-50	20

ბომბარდირები: 23 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 17 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), 16-16 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), დემბა ბა (ნიუკასლი), 13 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი).

ასისტენტები: 13 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი); 9 - ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი); 8 - რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ხუან მატა (ჩელსი).

მომდევნო ტური:

3 მარტი: ლივერპული-არსენალი, ბლექბერნი-ასტონ ვილა, მანჩესტერ სიტი-ბოლტონი, ქუინზ პარკი-ევერტონი, სტოკ სიტი-ნორვიჩი, ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი, უიგანი-სუონსი

4 მარტი: ნიუკასლი-სანდერლენდი, ფულჰემი-ვულვერჰემპტონი, ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი

ნიკოლოზ ნეფარიძე

ესპანეთის ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურია სელესტე?

გუშინ, ვენესუელის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ ესპანეთის ნაკრებმა საზოგადოებას ევრო 2012-ისთვის სათადარიგო ფორმა წარუდგინა. ყველაზე უცნაური, რა თქმა უნდა, ფერია - ნაკრებმა პოლონეთ-უკრაინაში შესაძლოა, ცისფერი მაისურებით და თეთრი ტრუსებით ითამაშოს. მართალია, ესპანეთის ნაკრებმა თავისი ყველაზე დიდი ჯილდო მუქი ლურჯი მაისურებით მოიპოვა 2010 წლის მუნდიალის ფინალში, მაგრამ ცისფერი?

„ადიდასის" განცხადებით, ფორმის დიზაინი ესპანეთის ნაკრების 1960 წლის დროინდელი ფორმის მსგავსებაა, მაგრამ გუნდს ამ შეფერილობით არასდროს, არსად, არც ერთ ასაკობრივ ჯგუფში არ უთამაშია.

ამასობაში **ლუის არაგონესი**, სპეციალისტი, რომელმაც „ფურია როხას" ევრო 2008 მოაგებინა, **ვისენტე დელ ბოსკეს** მხარს უჭერს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა ფერნანდო ტორესი ნაკრებში არ გამოიძახა: *„ტორესი უნდა დაელოდოს თავის დროს. ახლა კი ის იშვიათად თამაშობს და თან არცთუ კარგად. ასე რომ, საპრეტენზიო არც უნდა ჰქონდეს"*, - განაცხადა 73 წლის არაგონესმა.

დღეს დელ ბოსკეს გუნდი სესარ ფარიასის ვენესუელას „ლა როსალედაზე" მასპინძლობს. ამ შეხვედრაში შესაძლოა ბილბაოს „ატლეტიკის" გარემარბის, 19 წლის **იკერ მუნიაინის** დებიუტი შედგეს ეროვნულ გუნდში, ხოლო „ვალენსიას" შემტევი **რობერტო სოლდადო** 2007 წლის შემდეგ პირველად გავიდეს ეროვნული ნაკრების მაისურით.

ესპანეთი (სავარაუდო): *კასილიასი - არბელოა, პუიოლი, რამოსი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა, ლორენტე, ინიესტა (ან მუნიაინი).*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

ტევესმა ითამაშა

"მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელმა **კარლოს ტევესმა** სამშაბათს "პრესტონის" წინააღმდეგ პირველი ამხანაგური თამაში ჩაატარა "ქალაქელთა" რეზერვისტების შემადგენლობაში. მატჩი სპეციალურად 29 წლის არგენტინელის გამოსაცდელად დაინიშნა. ის ორშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ მოედანი სათამაშოდ უვარგისი იყო და გადადების მიზეზიც ეს გახდა. "სიტიმ" მეტოქეს კერინგტონში საკუთარ ბაზაზე შესთავაზა დაპირისპირება, რაზეც "პრესტონმა" თანხმობა თქვა. "მანჩესტერ ივნინგ სტანდარტის" ცნობით, თამაშს "სიტის" სპორტული დირექტორი **ბრაიან მერვუდი** და მისი ასისტენტი **პატრიკ ვიეირა** დაესწრნენ. სამწვრთნელო შტაბის წევრების თქმით, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ხანი არ ჰქონდა ფეხბურთელს გუნდური სავარჯიშო პრაქტიკა, კარლოსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს. პრემიერლიგაში მისი დაბრუნება (იგულისხმება, რომ ის განაცხადში მოხვდება) 10 მარტს, "სუონსისთან" გასვლითი მატჩისთვის იგეგმება.

ჩელსის სამიზნე

"ჩელსის" პორტუგალიელ თავკაცს **ანდრე ვილაშ ბოაშს**, თუკი წლევანდელ სეზონს გადაურჩა, მომდევნოსთვის "პორტუდან" ერთბაშად 3 ფეხბურთელის გადაბირება სურს. იუწყება "გარდიანი". ლაპარაკია **ჰალკზე** (25 წელი, ბრაზილია, თავდამსხმელი), **ჟოაუ მოუტინიოსა** (25 წელი, პორტუგალია, ცენტრალური ნახევარმცველი) და **ალვარო პერეირაზე** (26 წელი, ურუგვაი, მარჯვენა მცველი).

ლევან ბიბილაშვილი

უკანასკნელ საათს

იძულებული გახდა

ინგლისის ნაკრების დროებით მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ პირსს ტომ კლევერლის, კაილ უოლკერის, უეინ რუნისა** და **დარენ ბენტის** შემდეგ **გლენ ჯონსონიც** დააკლდა. ეროვნული გუნდის მარჯვენა მცველმა კვირას "კარდიფთან" ლიგის თასის ფინალში 120 წუთი ითამაშა და ამას გარდა პენალტების სერიაშიც გამოიჩინა თავი. მიუხედავად უმძიმესი თამაშისა, მეორე დღეს სხვა თანაგუნდელებთან ერთად გლენი სანაკრებო შეკრებაზე გაემართა. პირველივე ვარჯიშის შემდეგ მან მცირე დისკომფორტი იგრძნო. ლივერპულელი ექიმებმა საგულდაგულოდ შეამოწმეს და შინ დაბრუნება და ორიოდე დღით დასვენება ურჩიეს. ხუთი ფეხბურთელის გამოკლების შემდეგ პირსს სხვა გზა არც ჰქონდა – მან "სიტიდან" იქამდე დაწუნებული **ჯოლეონ ლესკოტი** იხმო.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდის ცნობით, პირსი ნაკრების ახალ კაპიტანს (თუნდაც დროებითს) დღეს შუადღის ვარჯიშის შემდეგ დაასახელებს. პრესა უმთავრეს პრეტენდენტად **სტივენ ჯერარდს** მიიჩნევს. ასოციაციის ფავორიტმა **ჯო ჰარტმა** ამ პატივზე თავად თქვა უარი.

ლევან ბიბილაშვილი

უსხოური ფეხბურთი

● სერია A. XXV ტური შეჯამება

პრჩათვლილი გოლის პრობლემა

როგორც ყველა ჩათვლილი გაანალიზა

გენკ უოკი ბუფონი მიწასთან გაასწორეს

მიშელ პლატინი ბუფონის თითი დაუქნია

დიდი რეზონანსი გამოიწვია **ჯანლუიჯი ბუფონის** სიტყვებმა, რომელმაც ღიად განაცხადაგდა, რომ მისთვის გუნდის ინტერესები სიმართლეზე მაღლა დგას. ამ ფრაზით „იუვენტუსის“ კიპერმა ბევრი განაწყინა, მათ შორის, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** - აი, რას ამბობს ფრანგული ფეხბურთის ამ იმპერიის „იუვენტუსის“ ცოცხალი ლეგენდა:

„ჯოჯოს ამჯერად გადაამეტა, რადგან მისი სიტყვები ვერავითარ ჩარჩოში ვერ ჯდება. დარწმუნებული ვარ, რომ ალბათ-ნების ფრაზა ცხელ გუთხე თქვა, რადგან მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ შესანიშნავი პიროვნებაა. ფეხბურთს ბევრჯერ უყურებენ და არ შეიძლება მათ ტყუილის თქმის ეჭვუბიდეთ - პირიქით, ჯოჯოს კალიბრის ვარსკვლავები პატარებისთვის მისაბაძი მაგალითები უნდა იყვნენ“.

პლატინის ჩვეული დიპლომატია გამოიცნა, იტალიელ მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელი კი ბევრად უფრო ხისტი გახლდათ - მოვუსმინოთ **მარჩელო ნიკის**: „ბუფონი ჩემი ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტანია და ძალიან მწყინს, რომ მისგან ასეთი რამ მოვისმინე. მსაჯებს ფეხბურთელები უნდა ეხმარებოდნენ და არა პირიქით, როგორც ამას ჯანლუიჯი აცხადებს. სიმართლე გითხრათ, ბუფონზე სხვა ნარმოდგენის ვიყავი და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამის თქმა შეეძლო“.

ბურის შეკრებები

ტიაგო სილვა (მილანის მცველი ოუვენტუსთან თამაშის შემდეგ): „რომ დესაც მუნდარის თავით დაარტყა, მოედნის ცენტრში ვიდექი და იქიდან დავინახე, რომ ბურთმა ამკარად გადაკვეთა კარის ბაზი. ტალიავენტო საკმაოდ ახლოს იდგა მოქმედების ადგილთან, ლინიბმენს კი სულაც იდეალური პოზიცია ეჭირა - ვერ ვხედავ რა მონდა, ასე როგორ დაბრმავდნენ“.

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსის მეკარე მილანთან თამაშის შემდეგ): „ჩემთვის პრიორიტეტული გუნდის ინტერესებია და დანარჩენი უკვე მეორე ხარისხოვანია. დიახ, სიმართლე ზე წინ სწორედ ჩემი გუნდი დავაყენე, რადგან ეს სპორტია და აქ ყველანი მოთამაშეები ვართ. ისევ რომ დამებრუნოთ იმ ეპიზოდში, ივივე გადაწყვეტილებას მივიღებდი“.

გლეხგალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

ყველაზე დაბალი დასწრება: XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVIII).

ყველაზე დიდი სტუმრად გამარჯვება: ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X), ნოვარა-ფიორენტინა 0:3 (XVIII), კიევო-ლაციო 0:3 (XX).

ყველაზე უხვგოლიანი თამაშები: პალერმო-ჯენოა 5:3 (XIX ტური), ინტერი-პალერმო 4:4 (XXI).

სტუმრები

მოგება: ნაპოლი - 3 თამაში
ნაგება: ჯენოა, ინტერი - 4
წაუგებლად: იუვენტუსი - 24
მოუგებლად: ჩეზენა, ინტერი - 6

გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 49 გოლი - მილანი; 42 - ნაპოლი; 39 - ლაციო, პალერმო.

საუკეთესო დაცვა: 15 გაშვებული - იუვენტუსი; 22 - მილანი; 23 - უდინეზე.

უარესი თავდასხმა: 16 გოლი - ჩეზენა; 21 - კიევო, ნოვარა.

უარესი დაცვა: 46 გაშვებული - ჯენოა, 45 - ნოვარა; 40 - ლეჩე.

ზუსტი გასვლები: 13699 - მილანი; 13493 - რომა; 12902 - იუვენტუსი.

ყარის მიგარეულები დარტყმები: 439 - იუვენტუსი; 400 - რომა; 383 - ინტერი.

ყარი დარტყმები: 155 - იუვენტუსი; 135 - მილანი; 127 - რომა.

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოგბარჩინები: 18 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ედინსონ კავანი (ნაპოლი), ზერმან დენსი (ატალანტა); 14 - როდრიგო პალასიო (ჯენოა); 12 - მიროსლავ კლოზე (ლაციო), სტევენ ივოვტიჩი (ფიორენტინა), დიეგო მილიტო (ინტერი).

ასისტენტები: 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 8 - პაბლო არქერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), ჯონრელ სისე (ლაციო); 5 - ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ზუსტი პასები 1868 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1628 - კრისტიან ლუდემპა (ლაციო); 1532 - ჯონრჯო კიელინი (იუვენტუსი); 1436 - ტიაგო სილვა (მილანი); 1426 - მირალემ პიანიჩი (რომა); 1425 - დანიელე დე როსი (რომა); 1194 - ლუკა ჩიგარინი; 1071 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

ყარის მიგარეულებით დარტყმები 106 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 92 - სტევენ ივოვტიჩი (ფიორენტინა); 81 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 75 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 74 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

კარი დარტყმები 47 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 34 - სტევენ ივოვტიჩი (ფიორენტინა); 33 - ედინსონ კავანი (ნაპოლი), ზერმან დენსი (ატალანტა); 32

ზერმან დენსი „რომასთან“ შეუწერებელი იყო

- ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 28 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ჭარიმები 60 - ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 59 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 57 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 55 - ხუან კუადრადო (ლეჩე); 54 - ლუკა მორინე (პარმა); 52 - ზერმან დენსი (ატალანტა), მატია დესტრო (სიენა).

სიწერები და შეკრებები

- „მილანმა“ მხოლოდ 1 ქულა აიღო ბოლო 3 საშინაო თამაშში „იუვენტუსთან“;

■■■

- „იუვენტუსთან“ შეხვედრამდე, „მილანმა“ ხუთივე თამაში მოიგო, რომელშიც ანტონიო ნოჩერინომ გოლი გაიტანა;

■■■

- „იუვენტუსს“ ბოლო 28 ოფიციალური შეხვედრა არ ნაუგია;

■■■

- სერია A-ს ისტორიაში „ინტერმა“ პირველად ნააგო სეზონში 11 მატჩი;

■■■

- მორგან დე სანქტისმა მე-100 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში „ნაპოლის“ პმუნიციით;

■■■

- „ინტერმა“ მიგრით მეხუთე შეხვედრა ნააგო ჩემპიონთა ლიგის მერედფინალური პაექრობის ჩათვლით, ასეთი რამ ბოლოს 1994 წლის აპრილში მოხდა;

■■■

- „ინტერს“ 4 თამაშია გოლი არ გაუტანია, ასეთი რამ ბოლოს 1987 წლის სექტემბერში მოხდა;

■■■

- სერია A-ში, „ინტერმა“ „სტადიო სან პაოლოზე“ ბოლოს 1997 წელს გაიმარჯვა;

■■■

- „ატალანტას“ ბოლო 4 ტური არ ნაუგია;

■■■

- ბოლო 4 გასვლით შეხვედრაში „რომამ“ მხოლოდ 1 ქულა აიღო;

■■■

- „ფიორენტინამ“ მიგრით სამი შეხვედრა ნააგო, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2010 წლის მაისში ჰქონდა;

■■■

- „ჯენოამ“ 3-მატჩიანი ნაგებათა სერია შენყვიტა;

■■■

- „ლეჩეს“ „კალიარისთან“ გასვლითი მატჩი 1990 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ მოუგია;

■■■

- პირველად მიმდინარე სეზონში, „კატანიამ“ მიგრით ორი შეხვედრა მოიგო;

■■■

- მიმდინარე სეზონში, „პალერმოს“ არც ერთი თამაში არ მოუგია გასვლაზე;

■■■

- „უდინეზეს“ „ბოლონიას“ ნაუგებელი სერია შენყვიტა, რომელმაც 7 მატჩი შეადგინა;

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	25	15	6	4	49-22	51
2. იუვენტუსი	24	13	11	0	37-15	50
3. უდინეზე	25	13	6	6	37-23	45
4. ლაციო	25	13	6	6	39-29	45
5. ნაპოლი	25	10	10	5	42-24	40
6. რომა	25	11	5	9	38-31	38
7. ინტერი	25	11	3	11	34-34	36
8. პალერმო	25	10	4	11	39-39	34
9. კატანია	24	8	9	7	32-33	33
10. პარმა	24	8	6	10	19-29	33
11. ატალანტა	25	9	10	6	30-28	31
12. პალერმო	25	7	10	8	23-25	31
13. ჯენოა	25	9	4	12	33-48	31
14. პარმა	24	7	8	9	29-37	29
15. ფიორენტინა	24	7	7	10	23-25	28
16. ბოლონია	24	7	7	10	24-29	28
17. სიენა	25	6	8	11	27-28	26
18. ლეჩე	25	6	6	13	28-40	24
19. ნოვარა	24	3	8	13	20-43	17
20. ბერგამო	24	4	4	16	16-38	16

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

მომდევნო ტური

3 მარტი: პალერმო-მილანი, იუვენტუსი-კიევო;

4 მარტი: პარმა-ნაპოლი, უდინეზე-ატალანტა, სიენა-კალიარი, ფიორენტინა-ჩეზენა, ლეჩე-ჯენოა, რომა-ლაციო, ბოლონია-ნოვარა, ინტერი-კატანია.

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკოლაშვილმა

გერმანიის ნაკრები

ლიოვი ვიზეს ათამაშებს!

იოგიმ კიდევ სამი თქვა: დაცვაში ჰუმელს-ბადშტუბერი, წინ კლოზე!

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** ასისტენტმა **ჰანსი ფლიკმა** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იოგის გადაწყვეტილებით, დღეს, საფრანგეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ბუნდესგუნდის კარს ბრემენის „ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზე** დაიცავს. ცხადია, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მატჩი ბრემენში გაიმართება და თანაც, ლიოვს უნდა, ნახოს, როგორ ფორმაშია **მანუელ ნოიერის** შემცვლელი.

გუშინვე ცნობილი გახდა ისიც, რომ გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრში **მატს ჰუმელსისა** (ბორუსია /დ/) და **ჰოლგერ ბადშტუბერის** (ბაიერნი) წყვილს ვიხილავთ, სასტარტო შემადგენლობაში იქნება „ლაციოს" გამოცდილი ცენტრფორვარდი **მიროსლავ კლოზეც**, რომლის თამაში მცირე ტრავმის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ იყო.

იოზილის აღიარება

მატჩის დაწყებამდე გერმანელთა გამთამაშებელი **მესუთ იოზილი** საპატიო წოდებით დაჯილდოვდება. ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** მას გერმანიის ნაკრების 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ოფიციალურად დაასახელებს. ეს წოდება „რეალის" ნახევარმცველს გერმანიის ნაკრების გულშემატკივრებმა მიანიჭეს.

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესგუნდის ფან-კლუბის 50 000 წევრი გამოჰკითხა და ყველაზე მეტი ხმა სწორედ თურქული წარმოშობის იოზილმა მიიღო, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 30 მატჩი აქვს ჩატარებული.

გოტფრიდ ლენცი

საფრანგეთთან გერმანიის ნაკრების მეკარე ტიმ ვიზე იქნება

დორტმუნდის ბორუსია

ვატცკე: ლევანდოვსკი ჩვენთან დარჩება!

ბუნდესლიგის ლიდერ დორტმუნდის „ბორუსიას" გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** დარწმუნებულია, რომ პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** BVB-ში როგორც მინიმუმ 2014 წლამდე, ანუ, კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დარჩება, საუკეთესო შემთხვევაში კი „ბორუსიასთან" ახალ ხელშეკრულებასაც გააფორმებს.

ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში რობერტ ლევანდოვსკის ანგარიშზე 16 გოლია

„რობერტი ჭკვიანი ბიჭია და იმედი მაქვს, ხვდება, რომ მისთვის მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლას აზრი არ აქვს, რადგან იქ მარიო გომესს სასტარტოში თამაში გარანტირებული აქვს," - უთხრა ვატცკემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ დიდი ხანია, გერმანიაში მუსირებს ხმები იმის შესახებ, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები ზაფხულში ლევანდოვსკის გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობენ.

ვატცკე დარწმუნებულია, რომ პოლონელი თავდამსხმელი ყველაფერს ხვდება და რომ „ბორუსიაში" დარჩება. ლევანდოვსკის გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში 16 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის ბომბარდირთა რეიტინგში მხოლოდ ხსენებული **გომესისა** და შალკელი **კლაას-იან ჰუნტელაარის** წყვილს (18-18 გოლი) ჩამორჩება.

გოტფრიდ ლენცი

ამხანაგური მატჩები

სომხეთი-სერბეთი 0:2

გოლები: 0:1 კუზმანოვიჩი (15), 0:2 ივანოვიჩი (30)

ბოსნია-ბრაზილია 1:2

გოლები: 0:1 მარსელო (4), 1:1 იბიშევიჩი (13), 1:2 პაპაცი (90 ს.კ.)

დღეს

აზერბაიჯანი-პალესტინა	17:30	ავსტრია-ფინეთი	23:30
საქართველო-ალბანეთი	18:00	ხორვატია-შვედეთი	23:30
ლატვია-ყაზახეთი	18:00	საბერძნეთი-ბელგია	23:30
კვიპროსი-სერბეთი	18:00	შვეიცარია-არგენტინა	23:30
მოლდოვა-ბელარუსი	19:00	გერმანია-საფრანგეთი	23:45
უნგრეთი-ბულგარეთი	21:00	ირლანდია-ჩეხეთი	23:45
ისრაელი-უკრაინა	21:00	იტალია-აშშ	23:45
ჩერნოგორია-ისლანდია	21:00	ჩრდ. ირლანდია-ნორვეგია	23:45
სომხეთი-კანადა	21:00	პოლონეთი-პორტუგალია	23:45
ლუქსემბურგი-მაკედონია	22:00	სლოვენია-შოტლანდია	23:45
რუმინეთი-ურუგვაი	22:30	უელსი-კოსტა რიკა	23:45
მალტა-ლიხტენშტაინი	22:30	ინგლისი-ჰოლანდია	00:00
თურქეთი-სლოვაკეთი	22:30	ესპანეთი-ვენესუელა	00:30
დანია-რუსეთი	22:45	სალვადორი-ესტონეთი	08:00

არგენტინა. კლაუსურა. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველესი-არსენალი

ბოკა, რიკელმე წესრიგშია

სანტიაგო სილვას ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცეს, სენსინის 3-ქულიანი დებიუტი

ბელგრანო-სანტა ფე 1:0

გოლი: 1:0 პაროდი (67)

ატლეტიკო-ოლ ბოისი 0:1

გოლი: 0:1 პერეს-გარსია (90)

კოლონი-ოლიმპო 3:1

გოლები: 1:0 იგუაინი (14), 1:1 ფრანსოია (17), 2:1 მორენო ი ფაბრიანესი (73), 3:1 ფუერტესი (90)

ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე 2:0

გოლები: 1:0 გ. ფერნანდესი (21), 2:0 კარილიო (78)

არხენტინოსი-სან ლორენსო 0:1

გოლი: 0:1 ბენიტესი (49)

გოდოი კრუსი-ტიგრე 0:2

გოლები: 0:1 კ. ლუნა (14), 0:2 ლ. დიასი (86)

გაძევება: რ. რამირესი (83. გოდოი კრუსი), ეჩევერია (83. ტიგრე)

რასინგი-ბანფილდი 1:2

გოლები: 1:0 გუტიერესი (3-პენ), 1:1 ა. ჩავესი (11-პენ), 1:2 ე. ლოპესი (90)

გაძევება: ბუსტამენტე (33. ბანფილდი), გუტიერესი (79. რასინგი)

ბოკა-ნიუელსი 2:0

გოლები: 1:0 ცვიტანიჩი (44), 2:0 რიკელმე (80)

ველესი-არსენალი 3:2

გოლები: 1:0 ა. ფერნანდესი (33), 2:0 ხ. მარტინესი (36-პენ), 3:0 ა. ფერნანდესი (61), 3:1 სელაია (67), 3:2 ლეგისამონი (82)

ლანუსი-სან მარტინი 1:3

გოლები: 0:1 კარპარი (33), 0:2 პენკო (72), 0:3 კარპარი (76), 1:3 კარანსა (90)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ველესი	3	2	1	0	8-3	7
2. ტიგრე	3	2	1	0	5-1	7
3. ბოკა	3	2	1	0	4-0	7
4. ოლ ბოისი	3	2	1	0	3-0	7
5. ლანუსი	3	2	0	1	6-4	6
6. სან მარტინი	3	2	0	1	5-4	6
7. ესტუდიანტესი	3	1	2	0	4-2	5
8. ატლეტიკო	3	1	1	1	5-3	4
9. კოლონი	3	1	1	1	3-3	4
10. ნიუელსი	3	1	1	1	2-3	4
11. გოდოი კრუსი	3	1	1	1	2-3	4
12. სან ლორენსო	3	1	1	1	3-5	4
13. ბელგრანო	3	1	1	1	2-4	4
14. ოლიმპო	3	1	0	2	5-6	3
15. ბანფილდი	3	1	0	2	2-8	3
16. არსენალი	3	0	2	1	4-5	2
17. სანტა ფე	3	0	2	1	0-1	2
18. რასინგი	3	0	1	2	1-3	1
19. არხენტინოსი	3	0	1	2	0-2	1
20. ინდეპენდიენ.	3	0	0	3	0-4	0

ბომბარდირები: 4 - გასტონ კარპარი (სან მარტინი); 3 - ანდრე ფრანსოია (ოლიმპო), დარიო განდინი (ატლეტიკო), მარიანო პავონე (ლანუსი).

მომდევნო ტური

2 მარტი: ნიუელსი-ბელგრანო, ბანფილდი-გოდოი კრუსი.

3 მარტი: ოლ ბოისი-ველესი, ინდეპენდიენტე-არხენტინოსი, სან მარტინი-ესტუდიანტესი.

4 მარტი: სან ლორენსო-ბოკა, სანტა ფე-კოლონი, არსენალი-რასინგი, ტიგრე-ლანუსი.

5 მარტი: ოლიმპო-ატლეტიკო.

კლაუსურას სტარტი ოთხ კლუბს გამოუვიდა კარგი - 7-7 ქულით ჩემპიონი „ბოკა ხუნიორსი", „ველეს სარსფილდი", „ტიგრე" და „ოლ ბოისი" ლიდერობენ. თუკი პირველი ორის ლიდერობა გასაკვირი არაა, „ტიგრე" და „ოლ ბოისი" სასიამოვნოდ გვაოცებენ. სამაგიეროდ, ქულა ვერ მოიპოვა ჯერ „ინდეპენდიენტემ". ამ ტურში **რობერტო სენსინის** დებიუტი „კოლონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული აღმოჩნდა.

■ ■ ■

მეორე ტურის შემდეგ „კოლონის" ტექნიკურმა დირექტორმა **გაბრიელ ბატისტუტამ** მარიო სკიაკვა გაუშვა და მის ნაცვლად რობერტო სენსინი დანიშნა. სენსინი და ბატისტუტა 1994 და 1998 წლების მუნდიალებზე ნაკრებში ერთად თამაშობდნენ. პრეზენტაციაზე სენსინიმ თქვა, რომ ბატისტუტასთან დიდი მეგობრობა აკავშირებს, თუმცა მისი მოვალეობა კარგი შედეგის ჩვენებაა. და აი, პირველი შედეგიც - „კოლონმა" შინ 3:1 მოუგო „ოლიმპოს". ეს არა მარტო პირველი მოგება იყო სეზონში გუნდის, არამედ - პირველი გოლებიც.

■ ■ ■

„რასინგი" სეზონის წინ ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა გუნდმა ტურნირი სამარცხვინოდ დაიწყო. ამ ტურში „რასინგი" შინ ისეთ გუნდთან დამარცხდა, რომელიც პირველ ორში უბრალოდ გაანადგურეს - „ბანფილდთან" - 1:2. არადა, მასპინძლებმა მალევე გახსნეს ანგარიში: **გუტიერესმა აუჩე** მოძებნა საჯარიმოში, რომელიც სტუმართა მეკარე **ლუკეტიმ** მოცელა. პენალტი კოლუმბიელმა შეასრულა. მაგრამ ცოტა ხანში მასპინძელთა კარშიც დაინიშნა პენალტი (ხელით მოქაჩვისთვის), რომელიც ლუკეტიმ ვერ გაიტანა, მაგრამ მეკარე-ბომბარდირი **ანდრეს ჩავესმა** იხსნა, როცა დამატებაზე გაიტანა. შემდეგ გუტიერესმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ამის მიუხედავად, „ბანფილდის" გამარჯვება მაინც არ იყო ლოგიკური, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტუმრებმა საჯარიმოში ჩააწოდეს, სადაც თავით ყველას ვეტერანმა ფორვარდმა **როდრიგო ლოპესმა** აჯობა. გამარჯვება თვით „ბანფილდის" თავკაც **ხორხე და სილვასთვის** იყო მოულოდნელობა.

■ ■ ■

„ბოკა" ჩემპიონურად გაუმკლავდა „ნიუელს ოლდ ბოისს" - 2:0. მასპინძელთა დაცვა კვლავ კედელივით დგას, გოლებს არ უშვებს, ამიტომაც „ნიუელსის" შემტევები **ურუტი** და **სპერდუტი** ვერაფერს გახდნენ. მასპინძლებმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს ანგარიში. კლემენტეს პასი **ცვიტანიჩმა** მიიღო, თავისუფლებით ისარგებლა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარში. მეორე ტაიმში, რომ არა არბიტრის მიკერძოება, „ბოკა" მალევე დაწინაურდებოდა 2 და მეტი გოლითაც. **ხუან რომან რიკელმემ** თავი საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა. „ბოკას" ლიდერი შესანიშნავ ფორმაშია.

■ ■ ■

„ტიგრე" დიდებულად თამაშობს, III ტურში სტუმრად „გოდოი კრუსი" დაამარცხა. **კარლოს ლუნამ** ეფექტური თავურით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი **ლეანდრო დიასმა** 2:0 გახადა. დიასის გოლი ცალკე აღსანიშნავია, მან მარცხენა ფრთაზე თავბრუ დაახვია ორ მცველს, მეურვეს ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა, საჯარიმოში შევარდა, მეკარე მოატყუა და ისე გაიტანა. „ტიგრე" დიდებულია, მაგრამ არგენტინული ფეხბურთის ჩახლართული სისტემის გამო, შესაძლოა, ეს გუნდი პრიმერადან გავარდნეს.

■ ■ ■

ლიბერტადორესის თასის ორმა მონაწილემ, „ველესმა" და „არსენალმა" „ხოსე ამალფიტანიზე" 5-გოლიანი თრილერი შემოგვთავაზა, რომელიც „ველესმა" მოიგო - 3:2. მასპინძლები ჯერ 3:0 დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ „არსენალმაც" გამოიღო ხელი.

■ ■ ■

ურუგვაელმა ფორვარდმა **სანტიაგო სილვამ** მოულოდნელი საჩუქარი მიიღო - მას „ბოკას" რიგებში ჩემპიონატზე თამაშის უფლება მისცეს. სილვამ „ფიორენტინაში" თავი ვერ გამოიჩინა და არგენტინაში დაბრუნდა, მაგრამ მას მხოლოდ ლიბერტადორესის თასზე ჰქონდა თამაშის უფლება, რადგან აგვისტოში „ველესში" თამაშობდა და ფიფას წესებით სეზონში 3 გუნდში თამაში დაუშვებელია. მაგრამ ამას წინათ, სერიოზული ტრავმა მიიღო „ბოკას" ნახევარმცველმა **ნიკოლას კოლასომ** და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ „ბოკას" ერთი ფეხბურთელის დამატების უფლება მისცა. ის ერთი კი სანტიაგო სილვაა.

ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM (4-4-2)

ხავიერ გარსია (ტიგრე, 1) - **ფრანკო სოსა** (ბოკა, 1), **მატიას კარუსო** (ბოკა, 1), **ლეანდრო დესაბატო** (ესტუდიანტესი, 1), **მაქსიმილიანო კაირე** (კოლონი, 1) - **აუგუსტო ფერნანდესი** (ველესი, 1), **რომან რიკელმე** (ბოკა, 1), **ადრიან ბასტია** (კოლონი, 1), **მატიას გარსია** (ოლ ბოისი, 1) - **ერნან ლოპესი** (ბანფილდი, 1), **ფედერიკო იგუაინი** (კოლონი, 1).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფრიბოლორგი

უცხოური ფეხბურთი

გიორგიდ ლენგი საკორო რუბრიკა

რა ღლეში გაქვს ნერვები, ანტონიო!

იტალია

თამაზაშვილს ცხადი იყო, რომ „მილანისა“ და „იუვენტუსის“ მატჩი (1:1) ნაღდი თრილერი იქნებოდა, მაგრამ ასეთ ფრმამატურგიას ნამდვილად ვერ ნარმოვიდგენდით. თრილერი ვნახეთ მოედანზე, სათადარიგოთა სკამზე, ტრიბუნებზე, შესვენებისას, საფინალო სასტვენის შემდეგ და იტალიელი ჟურნალისტებიც არ ჰყვებიან, ეგ ჟურნალი იყო, კინო თამაშის შემდეგ, კაბტაკმბებში უნდა გენახათო – მოკლედ, შაბათის 8 თამაშის ყურება ერთ რამედ ღირდა და ნარმოგიდგინოთ, რაოდენ დიდი სიამოვნება იქნებოდა „სან სირონზე“ ყოფნა.

ცეცხლზე ნავთი, რა თქმა უნდა, **სალი მუნტარის** გოლმა დაასხა, რომელიც აუხსნელი მიზეზების გამო არ ჩაითვალა და გასაკვირი სულაც არაა, „მილანის“ ისეთმა ფანებმა, რომლებმაც ფოტოშოპი კარგად იციან, მეორე დღეს ლანსმენი „იუვენტუსის“ ფორმაში ორმა გამოაწყვეს. შესვენებისას „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი პირდაპირ ეთერში ყვიროდა: „ბერკე? ბერკე? ბერკე?“ (რატომ?) „იუვეს“ თავკაცმა **ანტონიო კონტემ** კი პირდაპირ ეთერშივე უპასუხა: „ბუტდეთ ერთი, ვინ მოსთქვამს – საფეხბურთო მაფიის ბოსი!“ – ისე, ავლობებს, ტურინელებმა სიტყვა „მაფია“ ლექსიკონიდან რამდენიმე ნლით მაინც ამოიღონ. კონტე არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც... ორ მატჩამდე მაინცდამაინც „იუვენტუსთან“ თამაშის წინ?

ბოლოს კონტემ თქვა, ვიცი, რომ გადავამტკნე და ფაქტია, ნერვები ყველას უნდა მოეთოკაო, მაგრამ არ გასულა რამდენიმე წუთი და სტუდიაში ექსმილანისტასთან, ამჯამად სატელევიზიო ექსპერტ **ზვონიმირ ბობანთან** გააჩაღა (რმილად რომ ვთქვათ) ცხარე დისკუსია.

იტალიელებს უბრალოდ ძალიან უყვართ ასეთი ამბები. იტალიელები ემოციებით ცხოვრობენ.

■■■

ზოგადად, კონტემ მაბათის მილანში ბევრი ახალი „შეგობარი“ შეიძინა. ერთერთი უმთავრესი კი მათ შორის ფან-ჟურნორტალი **კარლო პეტეგატი** გახლავთ, რომელიც ბერლუსკონის არხ „მედიასეტზე“ კომენტატორად მუშაობს. სატყვისნაყვით გადმოგვცემთ, რას ამბობდა ეს ტიპი „მილანის“-„იუვენტუსის“ მატჩის სასინანლო სასტვენის შემდეგ: „რა უსამართლობაა! რა სირცხვილია! და ამ ყველაფრის მერე კონტე მთნე არ წერდება – იდნავადაც არ ჩქცხვინა! კონტეს არ რცხვენია! უსირცხვილო კაცი – ანტონიო კონტე! იუვენტუსელებმა არ იციან, რა არის სირცხვილი! კონტე ავადმყოფია! ჩემად ღმერთ და დაიბეგე გასაბდელში! რა გაქვს საკადრისო? ეს ჩხუბი ძნელ ბრალია, მე ოდნოდენ ეჭ, კონტე დაკარგე ავტოდან, გაუნძარდი „სან სიროს“ ისე, ეს ბალოტელი ყველას რომ აღიზიანებს...

■■■

სანყალ **სტივ კინს** უბედურება გრძელდება. „სიტისთან“ 0:3-ის შემდეგ, „ბლექბერნის“ ფანებმა მის წინააღმდეგ კამპანია წამოწყეს და ორიოდე დღის წინ, ერთ-ერთ რესტორანში ოჯახთან ერთად ვახშმობისას, მთერალი ფანი მოკვლითაც კი ემუქრებოდა. სტივმა კლუბის შეფებს რჩევა ყურად იღო და პირადი მცველი აიყვანა, რომლის შესახებაც „თაიმსისთვის“ მიეცემთ ინტერვიუში გაგაცნობად: „კაცი, რომელიც მე მიცავს, შესანიშნავი კარატისტია და მეშვიდე ბარისხის ქამარი აქვს. სხეთაო შორის, ძალიან ჭკვიანი პიროვნებაა და სანტერესო საუბრები გვაქვს ხოლმე.“

ცუდია, რომ კარაბინტ „ბოდგარეს“ ფეხბურთის თამაშისა არაფერი გაეგება, თორემ სტივი დაცვაში ათამაშებდა. „ბლექბერნს“ **სამპას** ნასცოს შემდეგ (პარასკევს მახაჩყალის „ანჟიში“ გადავიდა) დაცვაში ხომ კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა...

სერ ალექს ფერგიუსონი პრემიერლიგის ბე-13 საჩემპიონო ტიტულისთვის იბრძვის

მთავარია სპაბილურობა

სერ ალექს ფერგიუსონი გამოტყდა, რომ თანახმა იქნება, თუკი „სიტისთან“ 30 აპრილს გასამრთალ მატჩისთვის მისი გუნდი ამეამინდელ 2-ქულიან ჩამორჩენას შეინარჩუნებს. "ეტიპადზე" მატჩის მოგება კი მის გუნდს ჩემპიონობის გზაზე მწვანეს აუნთებს. მანჩესტერული დერბის ფურნალისტები უკვე წინასწარ უწოდებენ ოქროს მედლებისთვის რბოლაში გადამწყვეტ დაპირისპირებას. მსგავსი ნინასწარმეტყველება შეიძლება ცოტა სარისკოც ვია, თუმცა ეჭვი აღარავის ეპარება, რომ "არსენალთან" 5:2-ის ნაგების შემდეგ "ტოტენჰემი" ოქროსთვის ბრძოლას უკვე საბოლოოდ ჩამოშორდა. რაც შეეხება მე-4-5 ადგილისნებს - "არსენალსა" და "ჩელსის", ლონდონური ერანდების ჩამორჩენა იმდენად სოლიდურია (15-15 ქულა), რომ მათ პრეტენზიებზე ლაპარაკი უკვე არსაერთო ზომისაა. შესაბამისად, უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ პრემიერლიგის გამარჯვებულის გამოკენება მხოლოდ მანჩესტერულ სამქედ" გადაიქცა.

4 მარტს, 27-ე ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი შედგება "უაით ჰარ ლეინზე". "ტოტენჰემი" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს. ფერგიუსონის ესმის, რომ "დეზბათან" ნაფორჩილება მის გუნდს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. აი, რას ამბობს შოტლანდიელი: "წვეთვის "ტოტენჰემთან" შეხვედრის გადადასება უბრალოდ შეუძლებელია. თუკი ლონდონში გადავრჩებით, პრემიერლიგის მოგების მშვენიერ შანსებს შეეინარჩუნებთ. მართალია, "ტტიპად სთედიუმს" შირჩევია "სიტისთან" თანაბარი ქულებით ვესტჰემთან, მაგრამ გუდნრედად ვიტყვი, თანაბრ ვიქნები, თუკი ამჟამინდელ ჩამორჩენას მაინც შეეინარჩუნებთ. თუკი ასე მოხდა, გამარჯვების შემთხვევაში ცხრილს ათავეში ჩავუდგებით. დადებითი მომენტია, რაკი ამჟამად შემადგენლობის როტაციის მეტი შესაძლებლობა მაქვს, ვიდრე ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. კრის სმილთნსა და ფილ ჯონსს დასვენების საშუალება მივეცით და ამან გაამართალა. ისინი პატარა ბიტეი არიან და დაზიანებები მიერთით რამდენჯერმე მიიღეს. ბრძოლაში ისინი აქამდე ორმა ჩაგვერთო, მრავმეზეს გაიმზეზებდნენ და რეაბილიტაციის პერიოდი გაუგრძელდებოდათ. ახლა კი ორივე დასვენებულია. მათ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლებათ. ამას გარდა, მალე უეინ რონიც დაგვიბრუნდება. ის ჩვენთან უკვე ლამის მერვე წელია თამაშობს. მან პრემიერლიგა რამდენჯერმე მოიგო და რა უნდა ვაკეთოთ გუნდისთვის გადამწყვეტ ეტაპზე, კარგად იცის".

ლევან გიგილეიშვილი

ტიპური იტალიური სიტუაცია „მილანი“-„იუვენტუსის“ საფინალო სასტვენის შემდეგ



იუვეს თავკაცი ანტონიო კონტე დასაბმელი გახდა

საფინალო სასტვენის შემდეგ დაინყო დიდი გამეე-გამოწეევა და აყალმაყალი – როგორც იტალიაში ჯერ არასდროს დაბადებული თამაშების დროს ხდება ხოლმე, ხოლო „სან სიროს“ ე.წ. „სააბაო ტრიბუნაზე“ ეკადგილობრივი ქომაგები „იუვეს“ ფუნქციონერებს მისდგნენ და თითოეული მათგანის ახლო ნათესავებს „მოკითხვას უთვლიდნენ".

თავისი აზრი „მილანის“ მწერთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმაც** გამოთქვა – ლაისმენმა კარის ხაზი ნახევარი მეტრით გადასწიაო – პირდაპირ ეთქვათ, იტალიელის კეკლობაზე ზედმეტად კონსერვატიული ნათქვამი გამოუვიდა და შესაბამისად, მისი ნათქვამი არად ჩაგდეს. სამაგიეროდ, ყურადღების ცენტრში იყო „მილანის“ ბატონ-პატრონი **სილვიო ბერლუსკონი**, რომელმაც მყისვე ახალი თემა ნამოჭრა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** სამშაბრინ დისკვალიფიკაციას ხმარცხვინო გადანვეტილება უწოდა.

ლეგიტიმური კითხვა სიღეციოს: ბატონე რაგომ უნდა მეემცორებინა ლეგაკალეოს ზლატანის დისკვალიფიკაცია

გიორგიდ ლენგი

ინგლისი-ჰოლანდია

პირველი პირველი ვარჯიში გუშინწინ ჩაატარა

პირველად კაპელოს შემდეგ

გუშინწინ ინგლისის ნაკრებმა მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებლის **სტიუარტ პირსის** ხელმძღვანელობით პირველი ვარჯიში გამართა. დღეს ინგლისის "უემბლიზე" მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიასთან ელის დაპირისპირება. ამ გუნდებს შორის ლეგენდარულ სტადიონზე ეს მე-7 მატჩი იქნება. აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში მასპინძლებს მინიმალური უპირატესობა აქვთ, 2 მოგება, 3 ფრე და 1 ნაგება. "იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულზე ევროპის ჩემპიონატი გველის, კაპელოს დადგომამ ნამდვილად არ იყო საუკეთესო ნამდვილად ნებისმიერ პრესს" "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა **ჯეიმს მილნერმა**.

ის, რაც ინგლისის ნაკრებს დაემართა, გულშემატკივრებში ნამდვილად ინვევს შეშფოთებას. ეს ბუნებრივიც არის, რადგან იტალიელის ხელმძღვანელობით ბოლო ხანს გუნდი საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობდა. კაპელომ ინგლისი ის იყო "დაქოქა" და ტაქტიკა დახვეწა, რაც 15 ნოემბერს ესპანეთთან შეხვედრაშიც (1:0) გამოჩნდა. ბრიტანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ სტიუარტ პირსი ექსპერიმენტებს მოერიდება და ნონამორბედის სქემებს არ უღალატებს. მათი თქმით, 4-5-1-დან ინგლისელთათვის ტრადიციულ 4-4-2-ის განლაგებაზე დაბრუნება ნაკრებს მხოლოდ პრობლემებს შეუქმნის. მით უფრო, რომ 49 წლის დამოიგებელს **უეინ რუნისა და დარენ ბენგჩის** გარეშე მოუწევს თამაში. გარდა სამწვრთნელო გადაადგილებისა, ინგლისელთა ბანაკში ჯერ კიდევ დაუდგენელია, თუ ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი. ერთი სიტყვით, ჯერ პირის და შემდეგ მის სრულფასოვან მემკვიდრეს (საფეხბურთო ასოციაცია ახალ თავკაცს მაისში დაასახელებს) მრავალ პრობლემასთან მოუწევთ გამკლავება.

რაც შეეხება ჰოლანდიის ნაკრებს, არც "ნარინჯისფერია" ბანაკში სრული იდილია. ყველაზე დიდ შეშფოთებას გუნდის ლიდერების **არიენ რობენისა** და **ვესლი სნეიდერის** ცუდი ფორმა ინვევს. თავდაპირველად დასახელებული გუნდიდან შეკრებაზე არ იქნება "ბუფსბის" მეკარე **მიხაელ ვორმი**. მას საკმაოს მომხელებელ სისტემასთან აქვს პრობლემები. **ბერტ ვან მარვიკის** განკარგულებაში არ იქნება **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, ვინც ტრავმის მოშუშების შემდეგ პრემიერლიგის 26-ე ტურში "არსენალთან" მეორე ტაიმში გამოჩნდა და მატჩის დასრულებამდე კიდევ ერთი დაზიანება მიიღო. ახლა 29 წლის შემტევე ნახევარმცველს 4-5 დღით დასვენება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისთან მისი ასპარეზობა გამორიცხულია.

როგორც ირკვევა, ბაიერნელ არიენ რობენს ჯანმრთელობის პრობლემები ჯერ კიდევ აწუხებს. აი, რას ამბობს ის: "ჩემს კარიერაში ეს ყველა ზედა რთული ტრავმაა. ტკივილებს ყოველი ვარჯიშის შემდეგ ვგრძნობ, რაც 100%-ით პოტენციალის გამოვლინაში ხელს შიშლის. არ ვიცი რანაირად მოვიქცე. ფაქტია, რომ ფორმაში შესასვლელად ჯერ კიდევ მჭირდება გარკვეული დრო".

ჰოლანდიელთა მორის სიახლეა ის, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა "მილანის" 25 წლის უნივერსალი **ურბან ემპენუელსონი**. "როსონერიები" გადასვლის შემდეგ მას სათამაშო პრაქტიკა აკლდა და ვან მარვიკი ამიტომაც აღარ იძახებდა. წელს კი სიტუაცია აშკარად გამოსწორდა. ემპენუელსონს "ნარინჯისფერთა" შორის ბოლოს მარშან უნაყრეთათან 29 მარტს ჰქონდა ნათამაშები. "ნაკრებში დაბრუნება მნვრთნელის ცუდი ფორმა ინვევს. პროგრესის მიზნით ძალიან ბევრს ვშრომობდი და ეს "შლანგიც" დამფასდა დაკარგული გუნდშიც. ვცდები, ამჯერი სიმაროული გამოფორმაში არ წავაყრევ. მინდა, რომ მარკოს გუნდის მუდმივი წევრის სტატუსით ვსარგებლობდე," – ამბობს ის.

ზემოთაღ დაენერეთ, რომ პოლანდელებს რობენისა და სნეიდერის ცუდ ფორმაში ყოფნა საფიქრალს უჩენს-თქო. სამაგიეროდ, ნაკრებს ყველაფერი რიგზე აქვს თავდასხმის ხაზში, სადაც მას პრემიერლიგისა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდიორები ჰყავს. მიმდინარე სეზონში "არსენალში" **რობინ ვან პერსის** 26 შეხვედრაში 23 გოლის გარდა 8 საოცალი გადაცემა აქვს. შალკედ **კლაას იან ჰუნტელაარს** კი 22 მატჩში 18 გოლი და 4 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

ამბები

ბენტი თამაშგარეშე

"ასტონ ვილას" და ინგლისის ნაკრების თავდასხმელმა **დარენ ბენგჩამ** ბაათს "უოგანთან" შეხვედრის 73-ე წუთზე კოჭის უმძიმესი ტრავმა მიიღო. მას იმდენად ძლიერი ტკივილები ჭქონდა, რომ სამედიცინო შტაბმა მოეხდინდან ის საკაცეთი გაიყვანა. ორშაბათს ფეხბურთელი ლონდონში გადაიყვანეს, სადაც გამოცდილ სპეციალისტებს აჩვენეს. ექიმებმა დაადგინეს, რომ 28 წლის ბენგს მინიმუმ 12 კვირის გამოტოვება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ვარჯიშს მაისის ბოლოსლა შეუდგება. სეზონის დარჩენილი ნაწილის გაცდენის გარდა, დიდი ალბათობაა, რომ ის ვერო 2012-ის მიღმაც დარჩება, რადგან უძვი გვაპარება, ამხელა პაუზის შემდეგ ფორმის აღდგენა თვალის დახამამებაში მოასრულს. ბენგს ერთადერთი რამის იმედი შეუძლია ჰქონდეს, რომ ექიმები პროგნოზში ცდებიან და ის იმაზე სწრაფად გამოჯანმრთელდება, ვიდრე მათ ინნანსწარმეტყველეს. ბირმინგემელს კარიერაში დიდ ტურნირზე ნასვლის შანსი პირველად ეძლეოდა, რადგან 2006 და 2010 წლებში ის ნაკრებში ვერ მოხვდა, ვერო 2008 კი ინგლისის ნაკრებმა თავად გამოტოვა.

ჯოგბა ალბათ ბავა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის ფრანგი ნახევარმცველის **პოლ პოგბას** აგენტის **მინო რაიოლას** თქმით, მისი კლიენტის მომავალი "ოლდ ტრეფორდზე" მეტისმეტად საეჭვოა. ამიტომ, ზაფხულზე ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ფეხბურთელს ახალი კლუბი მოუნახოს. თავის მხრივ "იუნაიტედის" ნარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ პოგბას შესანარჩუნებლად, თუმცა მაღალი ხელფასის გარდა ჯოლი სათამაშო პრაქტიკის გარანტიასაც ითხოვს. მსგავსი რამ კი, სერ **ალექს ფერგიუსონს** სამწვრთნელო კარიერაში ჯერ არავისთვის მოუცია და გამონაკლისის დამებედას ახლაც არ აპირებს. მეტიც, ეტყობა მოტლანდიელი თინეიჯერი ფეხბურთელის ამბიციებმა იმდენად გააღიზიანა, რომ მას გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლებას აღარ ანლევს.



პატარა ჩეხი

საუკეთესო ჩეხი

"ჩელსის" 29 წლის მეკარე **პეტრ ჩეხი** 2011 წლის მონაცემებით ჩეხეთის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, - წერია ევვანის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე. აღნიშნული პატივი ფეხბურთელს კარიერაში უკვე მეხუთედ არგუნეს და აქედან მეოთხედ ზედიზედ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და სპორტულმა ჟურნალისტებმა. ჩეხმა მთელი 300 ხმით აჯობა "ვოლფსბურგის" ნახევარმცველ **მეტრ იორაჩეკს** და "არსენალის" შუახაზელ **ტომაშ როსიცკის**.

ჩეხეთის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა პლზენის "ვიქტორიის" თავკაცი **პაველ ვრბა**, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა 2011 წელს პირველად ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მოუხედავად იმისა, რომ ეროვნულის თავკაცმა **მიხალ ბილეკმა** გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა, მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.

ვენგერის ჰასპნი

ბოლო წარუმატებლობების გამო ("მილანი" 0:4; "სანდერლენდი" 0:2) "არსენალსა" და **არსენ ვენგერს** სერიოზული ზენოლის ქვეშ უწევდათ ასპარეზობა. "ბოტენჰემთან" ფანტასტიკური მატჩის შემდეგ კი (5:2) ფრანგმა სპეციალისტმა საკლუბო არხს მისცა ინტერვიუ, სადაც შემდეგი რამ განაცხადა: "ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ განვითარდა ჩვენთვის ამ მატჩის სცენარი. 0:2-ის შემდეგ 5:2-ის მოგება დიდებული იყო. კმაყოფილი დავრჩი ჩემი ფეხბურთელების თამაშის რიგმითა და ენთუზიაზმით, რომელთაც კიდევ ერთი ნაგება ძალიან არ უნდოდათ. ოკაი ჩვენსას ყველა ეს მუმად მნირად მოხდომებასა და თავდადებას აკრიტიკებენ, ყველა ზე მეტად კმაყოფილი ჩემი გუნდით სწორედ ამიტომ ვარ ფეხბურთელებმა კრიტიკოსებს ადეკვატური პასუხი გასცეს. იმის გათვალისწინებით, რაც ცე ზონის დასაწყისში ხდებოდა, ალბათ მშვენიერად ჩედაეთ, თუ რაზე ვლა სხვაობა მაშინდელ და ახლანდელ გუნდებს შორის".

სლოვენიის რჩეული

"ლივერპულის" მიერ ლიგის თასის მოგებიდან რამდენიმე საათი იყო გასული, როცა მერსისაიდელთა მთრის ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე **მარტინ შკრტელი** არანაკლები სიხარულის საფუძველი მიეცა – 27 წლის ცენტრალური მცველი სლოვენიაში მესამედ დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად. აქამდე მსგავსი აღიარება მას 2007 და 2008 წლებში ჰქონდა მოპოვებული. შკრტელმა ისეთ პრეტენდენტებს აჯობა, როგორებიც არიან **მარეკ ჰამშიკი** (სპარტი) და **იურაი კუცკა** (ჯენოა).

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

სკოტ პარკერი

ინგლისი

პარკერი: წლის ინგლისელი

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდზე ჩატარებულმა გამოკითხვამ "ტოტენჰემის" 31 წლის ცენტრალური ნახევარმცველი სკოტ პარკერი ეროვნული გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ხმის მიცემა გასული წლის მიწურულს, შობის დღესასწაულების შემდეგ დაინყო და მასში 15 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ხმათა 17% "დეზების" ფეხბურთელს ერგო, მეორე ადგილზე "მანჩესტერ სიტის" მეკარე **ჯო ჰარტი** გავიდა, მესამეზე – "მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარი **უელი იანგი**.

2011 წელს ინგლისის ნაკრების მიერ ჩატარებულ 9 შეხვედრაში 32-ჯერ ფეხბურთელმა იითამაშა და გამოკითხვაში ყველას ვვარი იოი მითითებული. ჰარკერმა 9-დან 7-ში იითამაშა. მათ შორის 85 წუთი ესპანეთთან მოგებულ შეხვედრაში (1:0). ამ მატჩში მას ბარსელონელი **ჩავიცა** და ნემაძდე მოუხდა თამაში და თავი არ შეურცხვენია. "ეს დიდებული ველდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეგიძლიათ გადახედოთ სიას, თუ ვის მოუღია ის ჩემამდე (**სტივენ ჯერარდი, ეშლი კოული, ფრენკ ლემპარდი, ოუენ ჰარგრივსი, დევიდ ბეკჰემი**). სიხარულისგან გული მართლა გამალებით მიძგერს. როცა გრძნობ, რომ გულშემატკივრები შენს საქმეს ხედვენ, განცდები მართლა განსაკუთრებული ხდება," – აცხადებს ფეხბურთელი.

ინგლისის ნაკრებში დებიუტი სკოტს 2003 წელს ჰქონდა. პირველი სამი თამაშის ჩასაბარებლად მას 4 წელიწადი დასჭირდა, თანაც სამჯერეც ეს სხვადასხვა კლუბის, "ჩარლტონის", "ჩელსისა" და "ნიუკასლის" ფეხბურთელის რანგში მოხდა. 2007-დან 2010-მდე "ლომების" შემადგენლობაში სკოტი ალარ გამოუძახიათ. 2011-ში ის "ვესტ ჰემიდან" იხმეს. ტოტენჰემელი პარკერი ნაკრებს არათუ საბოლოოდ დაუბრუნდა, მისი ერთ-ერთი ლიდერიც კი გახდა. "ეროვნულ გუნდში დაბრუნების პერსპექტივაზე ბევლი არასდეს ჩამიძნევია. 2011-ში, როცა დანიასთან გამომიძახეს, უტყობა 45 წუთში საკუთარ თავს ისეთი რეკომენდაცია გავუნერე, რომ უელსთან მომდევნო შეხვედრაში უკვე სასტარტოში აღმოვჩნდი. ამ მატჩს კი ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ესპანეთთან დაპირისპირება განსაკუთრებული გამოცდილება აღმოჩნდა. ვიცოდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონებთან ურთულესი შეხვედრა გველოდა, მაგრამ წარმატებაში ნამთავაც არ შევეპარება ეჭვი. მატჩის შემდეგ, ბუნებრივია, ყველა კარგ ხასიათზე იყო, თუმცა ჩემთვის განსაკუთრებული გრძნობა იყო, როცა "უემბლის" მინდორს გულუშმატკივარი ოვაციების ფონზე ვტოვებდით," - ამბობს პარკერი.

ქართული სპორტი

ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

თავისუფალთა ნაკრები გაირკვა

NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

გაირკვა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 4 მარტს ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე სააასპარეზოდ გაემგზავრება. **ბესარიონ გუჩაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** 60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120) - **ზაზა თურმანიძემ** ამ სპორტსმენებს ანდო ქვეყნის პრესტიჟის დაცვა კონტინენტის პირველობაზე.

ამათგან ოთხ ლიცენზირებულ მოჭიდავეს - ზარქუას, ხუციშვილს, მარსაგიშვილს და მოძმანაშვილს მწვრთნელმა ადრევე გადაუწყვიტა ევროპაზე ჭიდაობა, რადგან ოლიმპიადის წელიწადია, შეჯიბრება ბევრი არ ტარდება, მათ კი სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოსვლა არ შეუძლიათ. ულიცენზიო წონების ლიდერები რომ არ იჭიდავებდნენ, ესეც ადრევე გაცხადდა, რადგან ევროპის ჩემპიონატი საგზურს არ იძლევა. თუმცა საბოლოოდ ეს გადაწყვეტილებაც შეიცვალა და გოგშელიძე და თუშიშვილი მაინც მიჰყავთ, რადგან სატურნირო პრაქტიკა სჭირდებათ. თუშიშვილს ტრავმამ შეუშალა ხელი, გოგშელიძემ ჯერ ირანის საკლუბო ჩემპიონატში კი იჭიდავა, მაგრამ კიევური შეჯიბრება გამოტოვა. ამიტომ ახლა იასპარეზებს, მერე კი 20-22 აპრილს სოფიაში გასამართ პირველ სალიცენზიო ტურნირამდე ორ შეკრებასაც გაივლის. საბოლოოდ თურმანიძეს მოსაძებნი მხოლოდ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილის** (55) შემცვლელი ჰყავდა მოსაძებნი. არჩევანი ისევ ძველ კადრზე, ევროპის ვიცე-ჩემპიონ გუჩაშვილზე შეაჩერა, როგორც უფრო გამოცდილ ფალავანზე.

ჯერ ისევ გაურკვეველია ბერძენ-რომაელთა გუნდის შემადგენლობა. შესაძლოა, იქაურთა მთავარმა მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ** ადრინდელი გადაწყვეტილებაც შეცვალოს და ერთადერთი ლიცენზირებული სპორტსმენი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** (66), აგრეთვე ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) კვლავ თავის წონებში აჭიდაოს. აქამდე მწვრთნელი მათ გამოყვანას ზედა წონებში აპირებდა, თუმცა ახლა 74-ში ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ზურაბ დათუნაშვილის** გამოცდაც სურს, ამ შემთხვევაში კი ცხადაიამ უნდა დაიკლოს და თავის წონას დაუბრუნდეს. თავის მხრივ, ამით ლაშხიც იძულებულია, დაიკლოს და ისევ 60-ს დაუბრუნდეს. საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მწვრთნელი, უახლოეს დღეებში გაირკვევა. არც ისაა გამორიცხული, ლაშხი ახლა დაასვენოს და მერე სალიცენზიო ტურნირებში აჭიდაოს, თუმცა ცხადაიას საკითხი მაინც ღიად რჩება - მას ბევრის დაკლება მოუწევს 66-ში დასადგომად.

„თავისუფალთა" ნაკრები ახლა დუშეთში, ოლიმპიურ ბაზაზე გადის დასკვნით შეკრებას, ბერძენ-რომაელები კი ანალოგიური მიზნით ბორჯომში ემზადებიან. დუშეთში სპორტის სხვა სახეობების გუნდებიც ვარჯიშობენ და იქ ადგილი ფიზიკურად აღარ იყო. ამიტომ ბერძენ-რომაელებმა კვლავაც ძველი მისამართი გაიხსენეს და ბორჯომში სპორტკომპლექს „ოლიმპში" დაბინავდნენ, რომელიც ისევ ჩადგა ქართული სპორტის სამსახურში.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ნაკრები

სავარჯიშოდ ტოკიო-სეულში

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ძირითადი ბირთვი პრაღიდან პირდაპირ ტოკიოში გადაფრინდა, სადაც გუნდმა მორიგი საწვრთნელი შეკრება დაიწყო, სამი კი თბილისიდან შეუერთდა მათ. იაპონიაში **პეტერ ზაიზენბახერის** ხელქვეით **ბეთქილ შუკვანი**, **ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა**, **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი**, **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ზურაბ ზვიადაური** (ორივე - 90), **ლომერ ყორყოლიანი**, **ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ზვიად ხანჯალიაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (სამივე - +100) იქნებიან.

საშეკრებოდ შეგულებული კიდევ ორი ფალავანი - **ავთანდილ ჭრიკიშვილი** და **ლევან წიკლაური** (ორივე - 81) პრაღაში მიღებული ტრავმების სამკურნალოდ და გამოსაკვლევად თბილისში დაბრუნდნენ. ჭრიკიშვილმა იქ ხელი იტკინა, წიკლაურმა - ფეხი. მათ ახლა თბილისში გამოიკვლევენ და თუ ტრავმის ხარისხი საშუალებას მისცემთ, იაპონიაშიც წავლენ შეკრებაზე.

ზაიზენბახერის გეგმაში ღვინიაშვილისა და მატიაშვილის წაყვანა არ შედიოდა, რადგან ისინი არ განიხილებიან ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატებად, მაგრამ მომავალზე ზრუნვის საბაბით ეს ფედერაციამ ისურვა, თანხაც გამოძებნა და მწვრთნელიც დაჰყაბულდა. ავსტრიელის ვარჯიშის დატვირთვა ან ტრავმირებულებისადმი მისი უნდობლობა რომ ვიცით (შარშან რამდენიმეს არ დაუჯერა და მაინც დააძალა წვრთნა, რამაც ცუდი შედეგი გამოიღო), თავიდან კი შეგვეშინდა, პრაღაში ხელნატკენ ღვინიაშვილს მდგომარეობა არ გაურთულდესო, მაგრამ ფედერაციაში დაგვამშვიდეს. მათ დაგვაიმედეს, რომ ღვინიაშვილი იქ სხვათათვის სავალდებულო გრაფიკით არ ივარჯიშებს, არც ფიზიკურად დაიტვირთება იმდენად და უფრო სპარინგებზე ივარჯიშებს, რათა იაპონურ ჩავლებას, იქაურ საჭიდაო სტილს შეეჩვიოს. ფედერაციაში ისიც გვითხრეს, რომ პრაღაში მას თითებზე რამე ტრავმული დაზიანება არ მიუღია, უბრალოდ, კუნთები დაეჭიმა და გადაეღალა, რადგან ასეთ დონეზე ჭიდაობას ჯერ შეუჩვეველია. აქამდე ის თავის თანატოლ ბავშვებთან ჭიდაობდა, ახლა კი კაცებთან მოუწია შეხვედრებმა, რაც ბევრად გაზრდილი დატვირთვაა - ჩავლებაზე ბევრად მეტი ღონე სჭირდება, რასაც მიუჩვეველმა ხელებმა ვერ გაუძლეს. იაპონიაში მისი წაყვანის ძირითადი მიზანიც ესაა - შეეჩვიოს იქაურ სტილს, დატვირთვებს, აითვისოს ის თავისებურებები.

ჩვენები ტოკიოში 20 დღე ივარჯიშებენ, მერე კი სეულში გადავლენ და კიდევ ერთი კვირა იქ დარჩებიან. ცხადია, იაპონიაში დარჩენა ერჩივნათ, მაგრამ იქ თურმე თავისუფალი დარბაზის პრობლემა იდგა ერთობლივ შეკრებაზე ჩამსვლელი სხვა გუნდების სიმრავლის გამო. ამიტომ რაც შუალედი გამოძებნეს, იმ პერიოდში ტოკიოში მოემზადებიან, დანაკლისს კი სეულში აინაზღაურებენ.

ირაკლი თავაძე

მძლეოსნობა

სალიცენზიო გაზაფხულის მოვიდა

წლეულს მოგილიოვში მძლეოსანთა ბელარუსის ღია ჩემპიონატში ოზურგეთელმა **ნიკა კარტავცევმა** 400 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატის შედეგითა და თბილისელმა **მაიკო გოგოლაძემ** სიგრძეზე ხტომაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ამგვარი წარმატება, როგორც ვწერდით, იმანაც განაპირობა, რომ ორივე სპორტსმენი ოთხ თანაგუნდელთან ერთად სამკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდა ბელარუსში. ნიკამ და მაიკომ გასულ უქმეებზე წარმატებით იასპარეზეს ეროვნულ ზამთრის ჩემპიონატშიც და ორ-ორი ოქროს მედალი დაიმსახურეს.

კარტავცევი 19 წლისაა, მეხუთე წელიწადია, მძლეოსნობაში ვარჯიშობს, კავკასიის უნივერსიტეტის მეორეკურსელია. 9-11 მარტს ახალციხელ **გაიანე უსტიანთან** ერთად სტამბოლში მძლეოსანთა ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯავს ძალებს.

- თურქეთში 400 მეტრზე ვიასპარეზებ, - გვითხრა ნიკამ. - მართალია, მოგილიოვსა და თბილისის მანეჟში ურიგო შედეგები არ მიჩვენებია, მაგრამ ჩემპიონატის კვარცხლბეკთან მიახლოება, ალბათ, გამიჭირდება. 2010 წლის აგვისტოში მენისკის ოპერაცია გავიკეთე და ნელ-ნელა ვილდგენ ძალებს. ჩემი მიზანია, ზაფხულის სალიცენზიო ტურნირებისთვის საფუძვლიანად მოვემზადო და ოლიმპიური ნორმატივი შევასრულო. 200 მეტრზე რბენაში ჩემი პირადი რეკორდია 21,70 წამი, ოლიმპიური ნორმატივი კი 20,65 წამია. ვფიქრობ, ოცნების ასრულება არ უნდა გამიჭირდეს.

ნიკა კარტავცევი და მაიკო გოგოლაძე

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმიზნებს 21 წლის მომავალი მედიკოსი, თბილისის სასწავლო-სამედიცინო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს" მეორეკურსელი მაიკო გოგოლაძეც. იგი 9 წელიწადია, მძლეოსნობაში ცდის ძალებს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია თარჯრბენსა და სიგრძეზე ხტომაში. სწორედ ამ ბოლო სახეობაში 5,76 მეტრით დაიკავა მოგილიოვში მე-3 ადგილი, საქართველოს ჩემპიონატი კი პირადი რეკორდით - 6,12 მეტრით მოიგო. ოლიმპიურ ნორმატივამდე ნახევარი მეტრი არ ჰყოფნის. ზოგიერთ ქართველ მძლეოსანთან ერთად გოგოლაძეც ისევ მოგილიოვს მიაშურებს და აპრილამდე იქ მოემზადება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

რუსებს თავი დაადგეს, დაღესტნელები ზეიმობენ

აზერბაიჯანი საევროპოდ ლიდერებს ასვენებს

რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჯამბულათ თედეევის გადადგომის შემდეგ მისი ადგილი ვაკანტურად დიდხანს არ დარჩენილა. შემცვლელის მოსაძებნად არც ფედერაცია წასულა შორს - კანდიდატურა ისევ სამწვრთნელო შტაბიდან შეარჩია და გუნდი 59 წლის ცნობილ დაღესტნელ მწვრთნელ მაგომედ ჰუსეინოვს ჩააბარა. ოღონდ ჯერ მხოლოდ ევროპის ჩემპიონატამდე, შემდგომ პერიოდზე და კონკრეტულად ოლიმპიადისთვის მზადებაზე კი იქაური ფედერაცია არაფერს ამბობს. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობა 6-11 მარტს ბელგრადში გაიმართება.

ჰუსეინოვს ნაკრების მესაჭეობა ოფიციალურად დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე გადააბარეს, მროცა 15 თებერვალს გუნდი ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ პირველ შეკრებაზე გაატანეს ადლერში. წლების განმავლობაში ის დაღესტნის „თავისუფალთა" ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, ბოლო წლებში კი ავტონომიის სახელმწიფო მწვრთნელის სტატუსი ჰქონდა, თან პარალელურად ნაკრებშიც მუშაობდა. მისი ყველაზე ცნობილი აღზრდილები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ბილიალ მახოვი** და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მავლეტ ბატიროვი** არიან, თუმცა ბოლო წლებში ბატიროვი მასთან აღარ ვარჯიშობს. ამდენად, სანაკრებო ატმოსფერო ჰუსეინოვისთვის უცხო არაა და კარგად იცნობს თითოეული წევრის პლუს-მინუსებს. მას ახასიათებენ როგორც ავტორიტეტულ, მომთხოვნ მწვრთნელს, რომლის დანიშვნასაც სპორტსმენები სრული გაგებით შეხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ თედეევმა გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის გაუარესება დაასახელა, მაგრამ სინამდვილეში, პოლიტიკურ დინებებს რომ შეეწირა, ამას რუსული პრესის ისეთი სოლიდური წარმომადგენელიც კი პირდაპირ წერს, როგორიც „მოსკოვსკიე ნოვოსტია". არც კულუარებში ეეჭვება ვინმეს, რომ თედეევი რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული, მაგრამ კრემლისთვის მიუღებელი **ალა ჯიოევას** მხარდაჭერას გადააყოლეს. თავის დროზე გერმანიაში „სამკურნალოდ წასვლაც" შირმა იყო ქვეყნიდან მის გასაყვანად და იმ პოლიტიკური პროცესებისგან გასარიდებლად, ახლახან კი თედეევმა თავისით სცადა რუსეთის დატოვება - მოსკოვიდან კიევში მიფრინავდა, მაგრამ თვითმფრინავი უკან დააბრუნეს, თვითონ კი მყისვე დააპატიმრეს, მაგრამ პოლიციიდან მალევე გაუშვეს. თავისუფლებას იოლად, უბრალო დაკითხვით რომ ვერ მოიპოვებდა, დიდი გამოცნობა არც ამას უნდა, ოღონდ ამჯერად რა პირობა ჩამოართვეს, მაქსიმალურად გასაიდუმლოებულია. თედეევისა და ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ექსპრეზიდენტ **ედუარდ კოკოითის** დაპირისპირება საყოველთაოდაა ცნობილი, როგორც ის, რომ კოკოითს ზურგს სპეცსამსახურები უმაგრებდნენ.

ამას წინათ თედეევის გაშვებაში დაღესტნელთა შესაძლო წვლილზეც გამოვთქვით ვარაუდი. ეტყობა, არც ვცდებოდით - ერთ-ერთ საჭიდაო ფორუმზე ასეთ ფრაზას წავაწყდით, დაღესტნელები ამ დღეს 11 წელიწადი ველოდითო. სწორედ ამდენ ხანს წვრთნიდა თედეევი რუსებს. რუსები საევროპო შემადგენლობას, ტრადიციულად, ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე დაასახელებენ, აზერბაიჯანელებმა კი ასევე ტრადიციულად ადრევე გამოამზეურეს. ოლიმპიადისთვის სამზადისმა მათ გუნდებს დიდი დაღი დაასვა - ლიდერებს ასვენებენ ან სალიცენზიო ტურნირებისთვის ინახავენ. იქაური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნამიკ ალიევმა** პირდაპირ განაცხადა, ოლიმპიადის ფაქტორიდან გამომდინარე, ევროპის პირველობაზე სამივე ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვაო. „თავისუფალთა" მთავარმა მწვრთნელმა **საიპულა აბსაიდოვმა** დაასვენა როგორც ულიცენზიო წონების ლიდერები, ევროპის ჩემპიონები - **მაჰმუდ მაგომედოვი** (55) და **ზელიმხან ჰუსეინოვი** (60), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ხეტაგ გოზიუმოვი** (96), ასევე ლიცენზირებულები, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **შარიფ შარიფოვი** (84) და მესამე პრიზიორი **აშრაფ ალიევი** (74). ცხადია, მწვრთნელი ულიცენზიო წონების ლიდერებს სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის ინახავს, შარიფოვმა კი თურქეთში 96-ში იჭიდავა და გოზიუმოვის დასვენების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, ევროპაზეც წაეყვანა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ძალიანაც კარგი - მათი არყოფნით **გიორგი გოგშელიძეს** წარმატების შანსი ეზრდება, რადგან 84-დან ამონაცვლებული ნატურალიზებული ყარაჩაელი **ნოვრუზ ტემრეზოვი** მისი ღირსეული მეტოქე არ გვგონია. აბსაიდოვის რჩეულთა შორის არიან **გალიბ ალიევი** (55), **ტოგრულ ასკეროვი** (60), **ჯაბრაილ ჰასანოვი** (66), **ალექსანდრ გოსტიევი** (74), **ილია ხამიკოევი** (84), **ნოვრუზ ტემრეზოვი** (96) და **ჯამალედინ მაგომედოვი** (120).

მთავარი ლიდერი არც აზერბაიჯანელ ბერძენ-რომაელებს ეყოლებათ - თურქი მწვრთნელი **სალიხ ბორა** მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ **როვშან ბაირამოვს** (55) ასვენებს, სხვები კი იჭიდავებენ: **ელჩინ ალიევი** (55), **კამრან მაგომედოვი** (60), **ვიტალი რაჰიმოვი** (66), **ელვინ მურსალიევი** (74), **სამან ტახმასიბი** (84), **შალვა გადაბაძე** (96), **მასუდ ჰაშიმზადე** (120). 55-ის გარდა, ამ ნაკრებს კიდევ ერთი ლიცენზია აქვს - 84-ში მსოფლიოს ირანელმა პრიზიორმა **ტახმასიბიმ** მოიპოვა. გადახალისების მიუხედავად, ორივე ნაკრები მაინც საკმაოდ ძლიერია.

ირაკლი თავაძე

სამთო თხილამურობა

ნაკრების წევრებმაც იასპარეზეს

გუდაურმა სამთო თხილამურობაში საქართველოს თასის გათამაშების მესამე ეტაპს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ბაკურიანის, ბორჯომის, გუდაურის, მესტიის, ბეშოს და ახალის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის – საქართველოს ნაკრების წევრები: **იასონ აბრამაშვილი, ალეკო ბენაიძე, კოტე ვახტანგიშვილი, გალო ჯაფარიძე, შოთა ნათაძე** და **ნიკოლოზ კოხანაძვილი.** ისინი სლალომსა და კომბინაციაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაიპარო პაექრობების შემდეგ სპორზონი ადგილებზე გავიდნენ:

სლალომი. გოგონები, 1999-2000 წლებში დაბადებულნი. 1. თამარ ბარბარინი (ბაკურიანი, 1.58,56), 2. ანა ოგბაიძე (გუდაური, 2.07,40), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 2.17,19). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (ახუ (გუდაური), 2.00,72), 2. სალომე კეციანი (მესტია, 2.04,97), 3. თიკო ნაზღაიძე (ახუ, 2.17,98). **1996 და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნატალი გაგა (ბორჯომი, 1.48,57), 2. თამარუა ჯალმაიძე (გუდაური, 1.56,34), 3. ელენე ჩხეიძე (ახუ, 2.03,64). **ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 1.50,34), 2. გიორგი ქურდოღლანი (ბაკურიანი, 2.03,70), 3. ბექა ბუჩუკური (გუდაური, 2.04,41), **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურკანიძე (ბაკურიანი, 1.38,97), 2. ზაზა ოგბაიძე (გუდაური, 1.52,27), 3. ანზორ ჯაფარიძე (მესტია, 2.05,01). **1996 და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ალეკო ბენაიძე (გუდაური, 1. 22, 35), 2. გოგა ოგბაიძე (გუდაური, 1.39,73), 3. გეგორქ ბარბარინი (ბაკურიანი, 1.42,75).

კომბინაცია (გიგანტურ სლალომს + სლალომი). გოგონები. 1999-2000 წ.წ. 1. თამარ ბარბარინი (ბაკურიანი, 1.53,81), 2. ზეინაბ ჯორჯენაძე (აჭარა, 2.08,20), 3. ანა ჩართოლანი (მესტია, 2.15,02). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (ახუ, 1.41,63), 2. ანა გორდულიანი (გუდაური, 1.44,02), 3. მარიამ ჭკადუა (მესტია, 1.52,70). **1996 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. თამარუა ჯალმაიძე (გუდაური, 1.41,47), 2. ნატალი გაგა (ბორჯომი, 1.43,95), 3. თიკო ბაქრაძე (ბორჯომი, 1.48,40). **ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 1.45,19), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.46,75), 3. გიორგი ჰაროშვილი (ახუ, 1.47,59). **1997-1998 წ.წ.** 1. ვალერო მარსაგიშვილი (გუდაური, 1.40,90), 2. ზაზა ოგბაიძე (გუდაური, 1.47,40), 3. გიორგი კურკანიძე (ბაკურიანი, 1.49,75). **1996 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ალეკო ბენაიძე (გუდაური, 1.21,91), 2. იასონ აბრამაშვილი (ბაკურიანი, 1.22,43), 3. კოტე ვახტანგიშვილი (ბაკურიანი, 1.24,87).

თასის გათამაშების მომდევნო ეტაპი კალენდრით 9-11 მარტს მესტიაში უნდა გაიმართოს.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

პირველი წრე დაძლეულია

მექსიკის ქალაქ აკაპულკოში წარმატებით დაიწყო ასპარეზობა 22 წლის **ანა ტატიშვილმა.** მან ტურნირის, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია, პირველ წრეში სამ სეტში მოუგო ჩეხ **ევა ბირნეროვას** (109) - 6:4, 4:6, 6:3. მატჩი 2 საათსა და 25 წუთს გაგრძელდა, ანამ მეორე სეტში 4:3 უპირატესობა გააანაგა, თუმცა მესამე სეტში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 28 წლის ბირნეროვა მსოფლიო კლასიფიკაციაში ყველაზე მაღლა 2007 წელს იყო, როცა ის მსოფლიოს 59-ე ჩოგანი გახდა. მერვედფინალში ანას მეტოქე მისი თანამოლი რუმინელი **ირინა-კამელია ბეგუა** (53), რომელიც მექსიკაში მე-4 მორჩად არის განთესილი. ანამ 30 სარეიტინგო ქულა და 2 950 დოლარი უკვე გაინაღდა.

ნიკოლოზ ნებერიძე

ქადრაკი

ხუთი გური მოილია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. გოგონებში სალომე სანიკიძემ თეორი ფიგურებით ოღვა სტეფანოვას მოუგო და 4,5 ქულით ლიდერობა განიმტკიცა. მას ქუ-ლით ჩამორჩება ლიზი კავლაძე, რომელმაც თინათინ ცაგურია დაამარცხა. 3,5 ქულით მესამე ადგილზეა თამარ ფარჩუკიძის მძლეველი თამარ ონიანი.

ვაჟებში დაზვადენ გიორგი თავზარაშვილი - გურამ ქელაძე, გიორგი ვარაზაშვილი - დათა მათანაძე, ხოლო ნიკოლოზ პეტრიაშვილმა მარიამ ნამანაშვილს აჯობა, თამარ კიკნავილიძემ - კობა ჩოკურს. 5 ტურის შემდეგ ქელაძეს და პეტრიაშვილს 4,5-4,5 ქულა აქვთ, კიკნავილიძეს, ვარაზაშვილს, მათნაძეს და თავზარაშვილს - ნახევარ-ნახევარი ქულით ხალენი.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ქადრაკი

ხუთი გური მოილია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. გოგონებში სალომე სანიკიძემ თეორი ფიგურებით ოღვა სტეფანოვას მოუგო და 4,5 ქულით ლიდერობა განიმტკიცა. მას ქუ-ლით ჩამორჩება ლიზი კავლაძე, რომელმაც თინათინ ცაგურია დაამარცხა. 3,5 ქულით მესამე ადგილზეა თამარ ფარჩუკიძის მძლეველი თამარ ონიანი.

ვაჟებში დაზვადენ გიორგი თავზარაშვილი - გურამ ქელაძე, გიორგი ვარაზაშვილი - დათა მათანაძე, ხოლო ნიკოლოზ პეტრიაშვილმა მარიამ ნამანაშვილს აჯობა, თამარ კიკნავილიძემ - კობა ჩოკურს. 5 ტურის შემდეგ ქელაძეს და პეტრიაშვილს 4,5-4,5 ქულა აქვთ, კიკნავილიძეს, ვარაზაშვილს, მათნაძეს და თავზარაშვილს - ნახევარ-ნახევარი ქულით ხალენი.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

უნივერსალური ორთაბრძოლები. საქართველოს პირველი ჩემპიონატი

დასკვნითი ეტაპი გორში

ამბს წინათ, საქართველოს უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაციამ (პრეზიდენტი **ტარიელ შერვაშიძე**) წელი ქვეყნის პირველი ჩემპიონატის დასკვნითი, ფინალური შეხვედრები გორის ცენტრალურ სასპორტო სკოლის დარბაზში გამართა. ეს სახეობა წელი ქვეყნისთვის ახალია, თუმცა სწრაფად ვითარდება და საქართველოში დღესდღეობით უნივერსალური ორთაბრძოლების უკვე ათამდე კლუბი ფუნქციონირებს სხვადასხვა ქალაქში. პირველი ჩემპიონატი ოთხ ეტაპად იყო დაყოფილი. თავდაპირველად, რამდენიმე თვის წინათ, ასპარეზობა გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩაბარდა. მეორე ეტაპი ქუთაისში გაიმართა, მესამე - თბილისში. ფინალურ ეტაპზე გორში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში 9 ორთაბრძოლა შედგა, ბოლოს კი ქართველმა სპორტსმენებმა სამი სარეიტინგო ორთაბრძოლა გამართეს ამერიკელებთან. შეჯიბრების დასაწყისში, დარბაზში მრავლად შეკრებილმა მაყურებელმა ჯერ საღებოტო ორთაბრძოლებს ადევნა თვალი, რომელშიც **ზვიად ლაზიშვილმა** მოუგო **თორნიკე თოთლაძეს** (65 კგ), **გიორგი ტაბატაძემ - გიორგი ხაჩიშვილს** სძლია (70 კგ), **შოთა ბეჟიტაძემ** კი **ბექა მიგრაულის** შეხვედრაში კი ფრე დაფიქსირდა. შემდეგ ჩაბარდა ბრძოლები მესამე ადგილისათვის და სარეპეშონო ორთაბრძოლები, რომლის მიხედვითაც კვარცხლბეკი ასე განლაგდა: 65 კგ. 1. **გელა ბარათაშვილი**, 2. **რამაზ ბებნაძე**, 3. **მერაბ დვალიშვილი**; 70 კგ. 1. **ლევან მაყაშვილი**, 2. **რაულ თუთარაული**; 77 კგ. 1. ლევან მათიაშვილი, 2. ზვიად ქობალია, 3. შოთა აკუღაშვილი; 84 კგ: 1. გიორგი ბუტიკაშვილი, 2. **გიორგი ქველაძე**.



ბოლოს „სუპერბრძოლებად" წოდებულ საერიტინგო ორთაბრძოლებში **ნოდარ** კუდუხაშვილმა დაამარცხა მარკუს ვორელი (84 კგ), ემზარ ტყეშელაშვილმა შაულ ხაჭრი (93 კგ) და **გიორგი სეთურიძემ დერეკ ბლექსნერი** (+93 კგ). ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ორგანიზატორები ადგილზე იყვნენ გორის მუნიციპალიტეტი, გორის უნივერსალურ ორთაბრძოლათა კლუბ „გორი ფაითის" ხელმძღვანელი, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი კრივში **ბექა ლობჟანიძე** და უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაციის მიდა ქარლილის ორგანიზაციის პრეზიდენტი **გიორგი კაბულაშვილი.** გაზაფხულიდან საქართველოს უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაცია საქართველოს ახალ ჩემპიონატს დაინყებს. მოქმედი ჩემპიონები კი საზღვარგარეთ განაგრძობენ სარეიტინგო პაექრობების გამართვას.

ვასილ გალახაძე
გორიდან

მხატვრული ტანვარჯიში

დუშეთში ემზადებიან

ამბს წინათ რუსეთის დედაქალაქში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სარეპეშონო ტურნირზე („მოსკოვის გრან პრი 2012") შესანიშნავად ასპარეზეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა - **სალომე ფაჟავამ** და **გაბრიელა ხვედელიძემ,** რომლებმაც 28 ქვეყნის ნარმომადგენლებს შორის გუნდური მე-3 ადგილი დაიკავეს.

ქართველი სპორტსმენები ამჟამად დუშეთის ოლიმპიური მზადების ცენტრში გადიან წვრთნას ეროვნის პირველობისათვის, ამ შეჯიბრებას კი 1-3 ივნისს რუსული ნიჟნი-ნოვგოროდი უმასპინძლებს.

გუშინ დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები სპორტის სამინისტროს პატარძალ უფროსმა **ირაკლი სამყურაშვილმა** და ტანვარჯიშით სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჩიქობავამ** მოინახულეს და მათს წვრთნასაც დაესწრნენ.

ვაჟა დანელია

ერთ-ერთ ტანატოლოგთან პაექრობისას სახელოვანმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ალექსანდრე ბაკინმ** მიაუღიანის ტურნირით გაბსნა. შეჯიბრებაში, სადაც სპორტის სამინისტროს დაფინანსებით გაემგზავრა, 15 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ მთავარი პრიზისთვის. ჩვენებურმა პირველი წრეში პოლონელ მეტოქეს სძლია იოლად - 6:2, 6:1, შემდეგ დაძაბულ პაექრობაში აჯობა შვეიცარიელ ლუკა კასტელოვის (6:4, 4:6, 7:5) და ლიტველთა იმედ ლუკან ზვიკასს (6:3, 7:5). ტმტობა, ამ ორ ორთაბრძოლას დიდი ენერგია მოალია, რადგან ნახევარფინალში რუს პოკატილოვთან 4:6, 5:7 ნააგო, თუმცა ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ჩრდილოელი მეზობლისთვის სეტები ადვილად არ დაუთმია.

ჩოგბურთში ვარჯიში რვა წლის ნინანათ დაიწყო მამის - **ვიქტორ ბაკშის** ხელმძღვანელობით. თანატოლებს შორის საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონმა მარშან 14-წლიანებში თბილისის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო - ფინალში ბაქოელ მანაფლის სძლია, 16-წლიანებში კი ნახევარფინალს უნია. ისარაელში ორი საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი გახდა. სხვადასხვა შეჯიბრებაში მიღწეული შედეგებით ევროპის ჩოგბურთის ფედერაციამ იგი კონტინენტის იმ ოთხკაციან გუნდში მიწვია, რომლის წევრებმაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევიდით ახალგაზრდების დიდი სლემის ოთხ ტურნირში იასპარეზეს გერმანიაში. ერთ შეჯიბრებაზე ნახევარფინალში გავიდა, დანარჩენ სამში კი რვა სუიკეთოს შორის მოხვდა.

- შარშან წლის მინურულს ამერიკაში გავემგზავრე და იქაური ორ სოლიდურ ტურნირშიც მივიღე მონაწილეობა, - მითხრა სანდრომ. – მე და მამაჩემი ორი კვირის განმავლობაში ფლორიდის შტატის ბოკა რატონში ანა ტატიშვილთან (ბავშვობისას ტატიშვილს ვიქტორ ბაკშინ ავარჯიშებდა – ვ.დ.) ვცხოვრობდით. მისი სახლიდან ახლოდ მეტრზეა კრის ევერტის კორტები, რომლებზეც ანა დაოსტატდა. ჩვენი სტუმრობისას იგი ავსტრალიის ღია ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ერთხელ სპარინგპარტნიორობაც გავუწიე. მძიმე ვირუსული ავადმყოფობა ჰქონდა გადატანილი და ვერ იყო ჩვეულ ფორმაში. კრის ევერტი გაგვაცნო. ერთ-ერთ თანატოლთან პა-

სუპერლიგა. XV ტურის რჩეულნი

სტუმრების ჭერი



სტუ-ბათუმი	62:66
სამედიცინო-დინამო	75:89
თსუ-ქუთაისი	87:111
სსს აკადემია-არმია	65:90
სოხუმი-ოლიმპი	65:84

რეკორდები

ქულა

41 - ლარი გლერი (შსს)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

მოხსნა

20 - რინარდ ბათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქე: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

პასი

14 - ლაშა გაბყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი
14 - ლაშა გაბყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი
14 - გენადი ვუდსაილი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

ჩაჭრა

7 - რევაზ ჩარაიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი
7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი
7 - ლარი გლერი (შსს)
23.12.11 რუსთავი-შსს

დაუპრეპა

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი
6 - გეგა გეგეჭკორი (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო
6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
14.02.12 დინამო-არმია

მე-15 ტურში საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა: ხუთივე მატჩში სტუმარმა გაიმარჯვა, თუმცა ამ შეხვედრებში მხოლოდ ორი იყო ნამდვილი სტუმარი - „ქუთაისი" და „ბათუმი", რომლებსაც საკუთარი არენები აქვთ. ტურის დანარჩენი რვა გუნდი საშინაო შეხვედრებს სპორტის სასახლეში ატარებს და მაბათის „სოხუმის", „შსს აკადემიისა" და „სამედიცინოს" მასპინძლობა ფორმალური ხასიათისა იყო.

მართალია, პირველის გარდა ყველა მატჩში დიდი სხვაობა დაფიქსირდა, მაგრამ ეს ის ტური იყო, როცა ერთმანეთს სატურნირო ცხრილში არცთუ შორს მყოფი გუნდები ეთამაშებოდნენ.

საუკეთესო კალათბურთელად არმიელი უილიამ ტომასი დასახელდა, რომლის „არმიადან" შსს აკადემია" დაბრუნება. სხვათა შორის, „არმიიდან" აქამდე ტურის საუკეთესოდ მხოლოდ ჯერემი რიჩარდსონი გვყავდა დასახელებული - მე-11 ტურში „ოლიმპის" კალათში ბოლო წამებზე გამარჯვების მომტანი სამქულიანი ჩააგდო.

ევროლიგა. ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

მარკოიშვილი ბოლო ზარის შესახებ

ევროლიგის ოფიციალურ საიტზე ყოველ კვირას გამორჩეული კალათბურთელის ინტერვიუები ქვეყნდება. ამჯერად ევროლიგის საიტის სტუმარი მანუჩარ მარკოიშვილი იყო, რომლის მოსაზრება ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

კითხვები მეტად ორიგინალური. პირველი ასე ულერს:

- რამდენად მოგწონს ევროლიგის მაგრებისას სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა?

- ეს ევროლიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ყოველნაირად უამრავი ადამიანი ერთვება ამ შეჯიბრებაში. ასევე საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის გაცნობა.

- ფანებზე რისი თქმა შეგიძლია?

- ყველა გუნდს თავისებურად გამორჩეული გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ ბელგრადის „პარტიზანისა" და ათენის „პანათინაიკოსის" ქომაგი მაინც განსხვავებულია - ძალიან ხმაურიანები არიან, თამაშს ალამაზებენ და მასპინძლებს მოგებას უადვილებენ. ამ მხრივ „კანტუსაც" გამორჩეული გულშემატკივარი ჰყავს.

- რას გრძნობ, როცა ევროლიგის ჰიმნს ისმენ?

- ესაა ბოლო ზარი თამაშის წინ. სწორედ ჰიმნის მოსმენის შემდეგ უნდა დარწმუნდე, რომ მზად ხარ ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და მენტალურად. არა მხოლოდ მატჩებისას, ევროლიგის ჰიმნის მოსმენა მოედნის მიღმაც სასიამოვნოა, თამაშების დეტალებს მახსენებს.

სუპერლიგა. შსს აკადემია

ერთმანეთჩიანი...

გემახსოვრებათ, „შსს აკადემიასა" და „არმიას" დაპირისპირება ჩემპიონატის სნაიპერმა ლარი ბლერმა გამოტოვა. შსს-ს მწვრთნელ გიორგოს კეცელიდისს გამთამაშებლის არყოფნის მიზეზი რომ გაიხარეთ, გეგიპასუხა - რეფერი დაარღვია და დავსაჯეთ, მის საკითხს გუნდის უფროსობა განიხილავსო.

საქმე უბეებად ვარკვიის გაცდენას, რაზეც „შსს აკადემიები" ხელიხელჩაჭიდნი სჯულეს, ლარი ბლერი ერთმანეთში დისკვალიფიკაციითა და ფულადი ჯარიმით დასაჯეს. როგორც დასანყისში მოგახსენეთ, მან „არმიასთან" მატჩი გამოტოვა, გუნდთან ერთად უკეთ ვარჯიშობს და შაბათისთვის ემზადება. შაბათს „შსს აკადემია" „დინამოს" დაექცდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ქულა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ.
1	ლარი გლერი	შსს აკადემია	8	219	27.38
2	ლევან ფაცაცია	სოხუმი	13	316	24.31
3	ლაშა ფარულავა	სოხუმი	13	305	23.46
4	რომარკ კრეცი	შსს აკადემია	10	231	23.1
5	ძიძი კარტერი	დინამო	11	254	23.09
6	გეგა ბიქაძე	თსუ	13	234	18
7	ტარისი სპრი	შსს აკადემია	9	159	17.67
8	თორნიკე ნინიაშვილი	თსუ	13	224	17.23
9	ლევან ჭელიძე	რუსთავი	13	210	16.15
10	ნიკიტა ლუშუკა	ოლიმპი	11	177	16.09
11	ირაკლი მიქელაძე	ბათუმი	14	224	16
12	დუდუ სანაია	დინამო	13	206	15.85
13	გიორგი ბარბაქაძე	ქუთაისი	14	221	15.79
14	ლაშა ქვეველავა	ბათუმი	13	202	15.54
15	ვილიამ ტომასი	არმია	10	153	15.3
16	რინარდ ბათიაშვილი	ქუთაისი	13	198	15.23

მოხსნა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	მ.ღერ	მ.შეტ.	მ.სულ	მ.საშ.
1	ძიძი კარტერი	დინამო	11	66	90	156	14.18
2	ლევან ფაცაცია	სოხუმი	13	35	106	141	10.85
3	ტარისი სპრი	შსს აკადემია	9	37	54	91	10.11
4	რინარდ ბათიაშვილი	ქუთაისი	13	33	91	124	9.54
5	ილიცა მილუტინოვიჩი	ოლიმპი	13	24	97	121	9.31
6	ლაშა ქვეველავა	ბათუმი	13	28	90	118	9.08
7	თორნიკე ნინიაშვილი	თსუ	13	39	78	117	9
8	ივეტ ჯოჯუა	ოლიმპი	12	51	56	107	8.92
9	ზურაბ ბარალაძე	სტუ	14	49	75	124	8.86
10	მიხეილ ფარიშვილი	ოლიმპი	12	26	71	97	8.08

პასი

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	პ	პ.საშ
1	გიორგი გაგნარელიძე	ოლიმპი	12	109	9.08
2	ლარი გლერი	შსს აკადემია	8	57	7.13
3	მიხეილ ჩიტაშვილი	თსუ	11	75	6.82
4	ირაკლი მიქელაძე	ბათუმი	14	83	5.93
5	დავით არჩვაძე	რუსთავი	13	71	5.46
6	ლაშა ფარულავა	სოხუმი	13	71	5.46
7	გეგა წიფრიაძე	დინამო	7	34	4.86
8	ლევან ცაცაცია	ქუთაისი	11	46	4.18
9	გიგი ბაძრაძე	თსუ	13	54	4.15
10	რომარკ კრეცი	შსს აკადემია	10	41	4.1
11	რინარდ ბათიაშვილი	ქუთაისი	13	53	4.08

ჩაჭრა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	ჩ.საშ
1	ლარი გლერი	შსს აკადემია	8	27	3.38
2	ნიკა რამიშვილი	ბათუმი	14	37	2.64
3	ზაალა კოკორაშვილი	თსუ	11	28	2.55
4	ვასილ გერაშვილი	თსუ	13	29	2.23
5	ზურაბ ბარალაძე	სტუ	14	31	2.21
6	გიორგი გაგნარელიძე	ოლიმპი	12	25	2.08
7	რევაზ ჩარაიძე	რუსთავი	13	26	2
8	ლევან ფაცაცია	სოხუმი	13	26	2
9	ირაკლი მიქელაძე	ბათუმი	14	27	1.93
10	რომარკ კრეცი	შსს აკადემია	10	17	1.7

დაუპრეპა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	დ	დ.საშ
1	გეგა გეგეჭკორი	შსს აკადემია	13	24	1.85
2	ილიცა მილუტინოვიჩი	არმია	13	21	1.62
3	ვასილ გერაშვილი	თსუ	13	18	1.38
4	რინარდ ბათიაშვილი	ქუთაისი	13	18	1.38
5	ქრისტიან ტუფანი	რუსთავი	13	17	1.31
6	სერგეი ათიაშვილი	სოხუმი	12	14	1.17
7	ნიკოლოზ ელიზი	სამედიცინო	12	13	1.08
8	ილიცა მილუტინოვიჩი	ოლიმპი	13	14	1.08

შედეგები

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	შ	შ.საშ
1	ლაშა ფარულავა	სოხუმი	13	58	4.46
2	გიორგი გაგნარელიძე	ოლიმპი	12	49	4.08
3	ლევან ცაცაცია	ქუთაისი	11	44	4
4	გეგა წიფრიაძე	დინამო	7	24	3.43
5	მიხეილ ჩიტაშვილი	თსუ	11	36	3.27
6	ნიკა რამიშვილი	ბათუმი	14	44	3.14
7	ირაკლი ქინქიშური	სტუ	13	40	3.08

ექვსი ერი

კასტროჯოვანი და ბერგამასკო დაბრუნდნენ

იტალიის ნაკრები „ლე ბლოსგან" განსხვავებით ექვსი ერის გათამაშებაში მორიგ შეხვედრას 10 მარტს გამართავს. მეტოქე კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრები იქნება.

„სკუადრა აძურას" ფრანგმა თავკაცმა **ჟაკ ბრუნელმა** გუნდში ოთხი ახალი მორაგბე მიიწვია. თუმცა ყველა მათგანი სინამდვილეში კარგად ნაცნობი ძველია. ტრავმა მოიშუშა და ნაკრების დახმარებას შეძლებს **მარტინ კასტროჯოვანი.** დაშავებული **ანტონიო პავანელო** კი **კარლო დელ ფავამ** შეცვალა.

ირლანდიელებთან ვერ ითამაშებს **მაურო ბერგამასკო,** რომელსაც **მანოა ვოსავაი** ჩაანაცვლებს. გუნდს დაუბრუნდა მაუროს ძმა **მირკო ბერგამასკო,** რომელმაც ტრავმა ახალ ზელანდიაში მიიღო და ახლახანს გამოჯანმრთელდა.

იტალიის ნაკრები

შერკინება: ფაბიო სტაბინო, ლორენცო ჩიტადინი, ანდრეა ლოჩიჩერო, მიკელე რიზო, მარტინ კასტროჯოვანი, ტომაზო დაპიკე, ლეონარდო ჯილარდინი, ქუენტინ გელდენჰაუზი, კორნელიუს ფან ზილი, მარკო ბორტოლამი, კარლო დელ ფავა, რობერტ ბარბიერი, მანია ვოსავაი, ფრანჩესკო მინტო, სიმონე ფავარო, სერჯო პარისე, ალესანდრო ძანი.

უკანა ხაზი: ფაბიო სემენცატო, ედუარდო გორი, კრისტოფერ ბარტონი, ტობიას ბოტესი, ტომაზო ბენვენუტი, გონსალო კანალე, ლუკა მორისი, ალბერტო სგარბი, ჯულიო ტონიოლატი, მირკო ბერგამასკო, რობერტო კუარტაროლი, ჯოვანი ვენდიტი, ანდრეა მასი, ლუკ მაკლინი.

ექვსი ერი

სატურნირო მდგომარეობა

1. უელსი - 6 ქულა, 2. საფრანგეთი - 4, 3. ინგლისი - 4, 4. ირლანდია - 2, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

4 მარტი

საფრანგეთი-ირლანდია

10 მარტი

უელსი-იტალია

ირლანდია-შოტლანდია

11 მარტი

საფრანგეთი-ინგლისი

ლე ბლოს მედარი დააკლდება

საფრანგეთის ნაკრები 4 მარტს, პარიზში, „სტად დე ფრანსზე" ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში გამოტოვებულ მატჩში ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ლე ბლოს" მთავარმა მწვრთნელმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** გუნდში 23 მორაგბეს უხმო.

გასულ უქმეებზე „სკოტებთან" დაპირისპირებისას მუხლი დაიშავა ნაკრების ფულბეკმა **მაქსიმ მედარმა,** ვის ნაცვლადაც სენტ-ანდრემ ტულუზელი **კლემან პუატრენო** გამოიძახა. ისევ ტრავმირებულია და „სამყურებთან" ვერ ითამაშებს ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.**

შეგახსენებთ, რომ ფრანგებმა ორი საკმაოდ მძიმე გამარჯვება მოიპოვეს, იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებებთან. არადა ორივე ეს გუნდი აუტსაიდერია. „ლე ბლოს" ყველაზე მთავარი ბრძოლები წინ აქვს, ირლანდიის, უელსისა და ინგლისის ეროვნულ გუნდებთან. სენტ-ანდრე, ცხადია, ამ ფაქტით შეშფოთებულია და აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი პრობლემა გუნდს დაცვაში თამაშისას ექმნება, რაც აუცილებლად დასახვეწია.

მაქსიმ მედარი

საფრანგეთის ნაკრები

შერკინება: ნიკოლა მასი, დავიდ ატუბი, ვინსენტ დებატი, ჟანბატისტ პუ, ვილიამ სერვა, დიმიტრი სყარჟევსკი, პასკალ პაპე, ლიონელ ნალე, იან მაესტრი, ტიერი დუსოტუარი, ჟულიენ ბონარი, იმანოლ არინორდოკი, ლუის პიკამოლი.

უკანა ხაზი: მორგან პარა. ჟულიენ დუიპუი, ფრანსუა ტრინ-დუკი, ლიონელ ბუქსი, მაქსიმ მერმოსი, ორელიან რუჟერი, ვესლი ფოფანა, ვინსან კლერი, ჟულიენ მალზიო, კლემან პუატრენო.

ტუილაგი ფარელით აღფრთოვანებულია

ინგლისის ნაკრები, რომელიც გასულ უქმეებზე შინ უელსის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, 10 მარტს ექვსი ერის გათამაშების ბოლოსწინა ტურში საფრანგეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. „პომების" დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა, **სტიურატ ლანკასტერმა** გუნდის გაფართოებული, 32-კაციანი სია განაცხადა, რომლებიც მომავალი ორშაბათიდან საწვრთნელ შეკრებაზე მოემზადებიან.

განაცხადში მოხვდა ის 22 მორაგბე, ვინც უელსთან ითამაშა. ლანკასტერმა ისევ უხმო „სტად ფრანსეს" მეორეხაზელ **ტომ პალმერს.** ტრავმა მოიშუშეს შერკინების კვაჭმა **ლი მეარსმა** და ცხრა ნომერმა **ჩარლი ჰოჯსონმა.**



ოუენ ფარელი

„პომების" თავკაცი მგეზავად ისევ **ოუენ ფარელს** ანიჭებს უპირატესობას. ამ ახალგაზრდა მორაგბემ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებული ქება-დიდება კი თითქმის მისი თაობის მოთამაშისგან, შუამარბ **მანუ ტუილაგისგან** დაიმსახურა.

„ოუენმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მას რეალურად შეუძლია გუნდის თამაშის წარმართვა და დარწმუნებული ვარ, ჯონი ვილკინსონს სრულფასოვნად მალე შეცვლის. ბურთს შესანიშნავად აკონტროლებს, ფეხითაც ბრწყინვალედ თამაშობს. ეს ის მორაგბეა, რომელსაც გუნდისთვის წარმატების მოტანა შეუძლია. ვამაყობ მისით.

ინგლისის ნაკრებში ახლა ძალიან ბევრი ახალგაზრდა მორაგბეა, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, ასაკი არაფერ შუაშია. ყველა, გამოცდილი თუ გამოუცდელი, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს.

ყოველ ჯერზე, როცა ინგლისის ნაკრების კვართს ვიცვამ, ყველაფერს ვაკეთებ წარმატების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უელსთან წავაგეთ, ჩვენი ბიჭებით მაინც ამაყი ვარ" - თქვა მანუ ტუილაგიმ.

ინგლისის ნაკრები

შერკინება: მორის ბოთა. კლუმ კლარკი, ალექს კორბიშერო, დენ კოლი, ტომ კროფტი, პაულ დორან ჯოუნზი, ფილ დოუსონი, დილან ჰართლი, კორტნი ლავი, ჯო მარლერი, ლე მეარსი. ბენ მორგანი, ტომ პალმერი, ჯეფ პერლინგი, კრის რობშო, მეთ სტივენსი, თომას ვალდრომი, რობ ვებერი.

უკანა ხაზი: კრის ეშტონი, ბრედ ბარიტი, მაიკ ბრაუნი, ლი დიკსონი, ოუენ ფარელი, ტობი ფლუდი, ბენ ფოდენი, ჩარლი ჰოჯსონი, ჯო სიმპსონი, ჩარლი შარპლსი, დევიდ სტრიტლი, მანუ ტუილაგი, ჯორდან ტერნერ-ჰოლი, ბენ იანგზი.

ზე რაგბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოუდენ ბარეტი

პირველ ტურში ბევრი ახალია

ზე რაგბის გათამაშების პირველმა ტურმა მრავალი ახალი მორაგბე წარმოაჩინა. სიმბოლურ ნაკრებში, რამდენიმე ნაცნობ მოთამაშეს თუ არ გავითვალისწინებთ, აქამდე სრულიად უცნობი მორაგბეები მოხვდნენ.

ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ პირველ ტურში გამარჯვებულებს, „კრუსეიდერზს", „ბლუ ბულზს", „ჰაილენდერზს" და და „სტორმერზს". აღსანიშნავია, რომ საუკეთესოთა შორის მოსახვედრად აუცილებელი არ იყო გამარჯვება. ასე მაგალითად, მოწინავეთა შორის მოხვდნენ ორი მორაგბე ოქლენდის „ბლუზიდან" და თითო-თითო „ჰარიკენზიდან" და „ვორათაზიდან."

სიმბოლური ნაკრები: 15. ჯო პიტერსენი (სტორმერზი), 14. დომ შიპერლი (რედსი), 13. რენე რენჯერი (ბლუზი), 12. ტამატი ელისონი (ჰაილენდერზი), 11. იზრაელ დაგი (კრუსეიდერზი), 10. ბოუდენ ბარეტი (ჰარიკენზი), 9. სერელ პრეტორიუსი (ვორათაზი). 1. დინ გრეილინგი (ბლუ ბულზი), 2. ჯეისონ რუტლიჯი (ჰაილენდერსი), 3. ბენ ფრენქსი (კრუსეიდერსი), 4. ევან ეტზებეტი (სტორმერზი), 5. ანდრე კრუხერი (ბლუ ბულზი), 6. ადამ ტომსონი (ჰაილენდერზი), 7. დერიკ მინიე (ლაიონზი), 8. ჯერომ კაინო (ბლუზი).

ამბები

რორი ლამონტს ოპერაცია გაუკეთეს

შოტლანდიის ნაკრების გარემარბ **რორი ლამონტს** ედინბურგის სამეფო საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს. „ნარშავების" ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს კვირას, „მერიფილდზე" საფრანგეთის ნაკრებთან დაპირისპირებისას ფეხი მოიტეხა.

„სკოტების" ექიმთა შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლამონტი სამეფო საავადმყოფოს ქირურგ-ორთოპედების მეთვალყურეობის ქვეშაა. ამასთან გაირკვა, რომ მას გამოსაჯანმრთელებლად ოთხი თვე დასჭირდება.

„რორი ოპერაციის შემდეგ მალევე მოვინახულეთ. ის თავს შესანიშნავად გრძნობს და იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება, თუმცა, როგორც გვითხრეს, საამისოდ მას ოთხი თვე დასჭირდება" - თქვა შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა.**

აღსანიშნავია, რომ „ლე ბლოსთან" შეუპოვარ ბრძოლაში დაშავდნენ ასევე, **რიჩი გრეი, ჯონ ბარკლი** და **ჯიმი ჰამილტონი.**

მაიკ თინდოლი ბარბაროსებში ითამაშებს

ინგლისის ნაკრების ყოფილი შუამარბი **მაიკ თინდოლი** „ბარბაროსებში" სათამაშოდ მიიწვიეს. მასთან ერთად მაისის ბოლოს ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ **აკაპუსი კერაც** ითამაშებს. შეხვედრა გლოსტერში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მორაგბე სწორედ ამ ქალაქშია დაბადებულ-გაზრდილი.

„ბარბაროსების" შემადგენლობაში ითამაშებს ასევე ყოფილი გლოსტერელი და ინგლისის ნაკრების ფულბეკი **იან ბოლშო.** შეგახსენებთ, რომ შავ-თეთრებს იაპონიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ახალზელანდიელი **ჯონ ქირვანი** უთავკაცებს. მან უკვე მიიწვია ისეთი მაღალი დონის მოთამაშეები, **შეინ ვილიამსი, ლუსი მუდი, ჯო როკოთოკო** და **სედრიკ ემონსი** რომ არიან.

27 მაისი

ბარბაროსები-ინგლისი

29 მაისი

ბარბაროსები-ირლანდია

2 ივნისი

ბარბაროსები-უელსი

სონი ბილი ლიგაში ბრუნდება

ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი მომავალი წლიდან ისევ რაგბი ლიგას დაუბრუნდება. ამის თაობაზე „საუთ უელსის" მოთამაშის **ენდრიუ ჯოუნზის** ძმამ **მეთ ჯოუნზმა** განაცხადა:

„ნამდვილად ვიცი, რომ სონი ბილ ვილიამსი მომავალი წლიდან სიდნეელი „მამლების" შემადგენლობაში ჩაირიცხება. ამის თაობაზე წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა მხოლოდ მისი საკრივო კარიერის ავან-ჩავანილაა გასარკვევი."

შეგახსენებთ, რომ ვილიამსმა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან კონტრაქტი 2012 წლის ბოლომდე გააფორმა და უარი თქვა გაემხილა სამომავლო გეგმები. სონი ბილიმ რაგბი ლიგაში ბოლოს 2008 წელს ითამაშა და რაგბიში გადაბარგდა. მაშინ მან პირობა დადო, რომ 2013 წლამდე უკან არ დაბრუნდებოდა.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

უცხოური სპორტი

საკალათბურთო ამბები

ოდომს დალასიდან არ გაუშვებენ

„დალას მავერიქსის" მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** გამოაცხადა, რომ არ აპირვებს ფორვარდ **ლამარ ოდომის** კონტრაქტის გამოსყიდვას. შეგახსენებთ, რომ კალათბურთელმა 22 თებერვალს გუნდი ოჯახური გარემოებების გამო დატოვა.

„ჩვენ არ განვიხილავთ ოდომის გუნდიდან გაშვებას. ამას არ გავაკეთებთ. გვინდა დავეხმაროთ მას პირადი პრობლემების დაძლევაში და იმედი გვაქვს, რომ ის ამ სეზონში დიდ წვლილს შეიტანს გუნდის წარმატებაში. მოთამაშეებს აქვთ ცხოვრებაში რთული მომენტები და მათ ჩვენი მხადაჭერა სჭირდებათ", - ამბობს ქიუბანი ამერიკულ პრესაში.

ნეტსი გრინს გასინჯავს

„ნიუ ჯერსი ნეტსმა" 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ჯერალდ გრინთან.** შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი 2007 წელს ჩატენვების კონკურსის ჩემპიონი გახდა.

NBA-ში გრინს 181 მატჩი აქვს ჩატარებული. ის „ბოსტონის", „მინესოტას", „ჰიუსტონისა" და „დალასის" შემადგენლობაში თამაშობდა და საშუალოდ 7.5 ქულასა და 2.0 მოხსნას აგროვებდა.

ამ სეზონში ჯერალდი D-ლიგის კლუბ „დიფენდერსში" თამაშობს. გასულ უქმეებზე გრინი D-ლიგის „ოლ სტარის" საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

ტორონტო ბარბოზას იშორებს

„ტორონტოს" თავისი ბრაზილიელი მცველის, **ლეანდრო ბარბოზას** გაცვლა აქვს ჩაფიქრებული. როგორც ლიგის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, პარალელურად, კანადური კლუბი თავისუფალი აგენტის **უილსონ ჩენდლერის** ხელში ჩასაგდებად იბრძვის. ეს კალათბურთელი ახლახან დაბრუნდა ჩინეთიდან.

წელს ბარბოზას საშუალო მონაგარი 12.0 ქულა, 1.4 პასი და 1.8 მოხსნაა.

ვაშინგტონი ბლეტჩს გაცვლის

იგივე გეგმები აქვს ფორვარდ **ანდრე ბლეტჩთან** დაკავშირებით „ვაშინგტონ უიზარდსაც". დედაქალაქური კლუბი ამ კალათბურთელის ტრეიდზე მუშაობს, მაგრამ ჯერ ვერ იპოვა გაცვლისთვის პარტნიორი.

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, თავად ბლეტჩსაც სურს სხვა გუნდში გადასვლა და კარიერაში ახალი ეტაპის დაწყება. ამ სეზონში 25 წლის ფორვარდი საშუალოდ 10.3 ქულასა და 7.1 მოხსნას აგროვებს.

დენგს ფესვები ახსოვს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, დისკვალიფიკაციით დასაჯოს „ჩიკაგოს" ფორვარდი **ლუოლ დენგი**. ამის მიზეზი ის არის, რომ კალათბურთელს „ყველა ვარსკვლავის მატჩის" დროს მაისურზე აფრიკის კონტინენტი ჰქონდა დახატული. თუმცა თავად დენგი ამბობს, რომ არ აშინებს მოსალოდნელი სანქციები.

კალათბურთელი, რომელიც სუდანშია დაბადებული და ბრიტანეთის ნაკრებში თამაშობს, ბრიტანეთის პირველი წარმომადგენელი გახდა „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

„არ მეწყინება თუ სანქციებს დამადებენ, - აცხადებს დენგი. - *ცუდი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, მახსოვს ჩემი ფესვები და ჩემი ნამდვილი სახლი. დარწმუნებული ვარ, ბევრი აფრიკელი ბავშვი ჩემი მაისურის დანახვაზე უდიდეს სიხარულს იგრძნობდა. ჩემთვის ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი".*

კიდი ნეტსში დაბრუნებაზე ფიქრობს

„დალას მავერიქსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი,** რომელიც ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება, არ გამორიცხავს „ნიუ ჯერსიში" დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ „ნეტსის" რიგებში 38 წლის კალათბურთელი 2001-08 წლებში თამაშობდა.

„არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ მე „ნიუ ჯერსიში" დავბრუნდები, - ამბობს ESPN-თან კომენტარში კიდი. - *ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოვისურვებ თუ არა კარიერის გაგრძელებას. თუ დიდ კალათბურთში დარჩენა გადავწყვიტე, უნდა ვნახო რას შემომთავაზებს „დალასი". მაგრამ „ნეტსის" სავარაუდო წინადადებაზე სერიოზულად დავფიქრდები".*

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ექვატორზე

„ყველა ვარსკვლავის უქმეები", ტრადიციულად, ორ ნაწილად ყოფს რეგულარულ ჩემპიონატს და სეზონის პირველი ნაწილის შესახებ დასკვნების საშუალებას აძლევს ექსპერტებს. საინტერესოა, რას ფიქრობს რეგულარულის განვლილ მატჩებზე ტელეკომპანია ESPN.

ფავორიტები

ოკლაჰომა. აი, რა შედეგი მოაქვს თანამიმდევრულ მუშაობას. გუნდში ქულების 95 პროცენტს ის მოთამაშეები აგროვებენ, რომლებიც შარშანაც ირიცხებოდნენ შემადგენლობაში. **კევინ დურანტი** რჩება ყველაზე ფეთქებად ბომბარდირად და სანამ მისი მეგობარი **რასელ უესტბრუკი** თავისი ტრიუკების გამოყენებას სწავლობს, კევინი შეუჩერებელია. დიდები საიმედოდ თამაშობენ: **სერჟ იბაკა** თავის ფართან ერთ-ერთი საუკეთესოა დაცვაში და ამ მხრივ, მხოლოდ **დუაიტ ჰოვარდს** ჩამორჩება. თუ ტრავმებს გამოვრიცხავთ, წელს და უახლოეს მომავალში „თანდერს" ივნისის ბოლომდე მოუწევს თამაში.

მაიამი. სანამ **დუეინ უეიდი** სხვადასხვა ტრავმას ებრძოდა, **ლებრონ ჯეიმსის** წყალობით „მაიამი" მაღალ დონეს ინარჩუნებდა. **კრის ბოში** წარმატებით ჩაერთო თამაშში და ვაკუუმი ამოავსო, ხოლო ახალბედა **ნორის კოული**, რომელიც მანამდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, სასიამოვნო აღმოჩენა გახდა. „მაიამიზე" მეტ ქულას არავინ აგროვებს, მათ დაცვას კი შეუძლია ძალიან მჭიდროდ თამაში. თუმცა საკითხი იგივეა, როგორც შარშან ჟღერდა: შეძლებს თუ არა ჯეიმსი აჩვენოს საკმარისი დონე მეოთხე მეოთხედში და ამოუდგება თუ არა მას მხარში უეიდი?

ჩიკაგო. „ბულზი" კვალში უდგას „ჰიტს". და ეს თავისი უძვირფასესი მოთამაშის **დერიკ როუზის** გარეშე გააკეთა. როგორ? არავინ თამაშობს დაცვაში „ჩიკაგოზე" უკეთ. **ლუოლ დენგი** თავის შესაძლებლობებს სრულად იყენებს და „ყველა ვარსკვლავის მატჩზე" გამოძახება მიიღო. თუ როუზი ჯანმრთელობას შეინარჩუნებს და **რიჩარდ ჰემილტონი** მოახერხებს ტრავმების მოშუშებას, აღმოსავლეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ბოლომდე არაფერი იქნება გადაწყვეტილი.

აგრძელებენ ბრძოლას

სან ანტონიო. „ბებრები" ბოლო ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. უკანასკნელად, როცა სეზონი ლოკაუტის გამო შეამცირეს, „სპურსმა" 1999 წელს ტიტული მოიგო. ეყოფათ თუ არა მათ ძალები ამ სეზონში იმავეს გასაკეთებლად? **ტიმ დანკანმა** დაამტკიცა, რომ ისევ შეუძლია თამაშში 20 ქულისა და 10 მოხსნის დაგროვება. და მაინც, მთავარი საკითხი - გუნდის ჯანმრთელობაა (**მანუ ჯინობილი** და **ტიაგო სპლიტერი** ტრავმის გამო არ თამაშობენ).

დალასი. ერთი შეხედვით ამის თქმა რთულია, მაგრამ „მავერიქსი" ახლოსაა საჩემპიონო ფორმასთან. **დირკ ნოვიცკიმ** ერთი კვირა აიღო კონცენტრაციის მოსაკრეფად და ახლა, როგორც ჩანს, ისევ ის მოთამაშეა, რომელიც ფინალებში საკუთარ ემოციებს გაუმკლავდა. **ჯეისონ ტერი** საიმედოდ აგროვებს ქულებს, „დალასი" კი ერთადერთ გუნდად რჩება, რომლისაც „ოკლაჰომას" პლეი ოფში უნდა ეშინოდეს.

ორლანდო. აქ ყველაფერი გაურკვეველია. არავინ იცის, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე (15 მარტი) გაცვლიან თუ არა **დუაიტ ჰოვარდს**. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, „სუპერმენი" ყველაფერს აკეთებს, რომ მისი გუნდი პლეი ოფში გავიდეს. „მეჯიქი" საკმარისად აგროვებს ქულებს და საკმარისად კარგად იცავს თავს იმისთვის, რომ პანიკა დათესოს „ბულზისა" და „ჰიტის" რიგებში. ხოლო 7-მატჩიან სერიებში ისეთი სნაიპერებით, როგორებიც არიან **რაიან ანდერსონი**, **ჯეისონ რიჩარდსონი** და **ჯეი ჯეი რედიკი**, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

პრეტენდენტები

ლეიკერსი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდის შეფს **ჯიმ ბასს** არ სურს ან არ ინდომებს, რომ „ლეიკერსი" რეალური საფრთხე გახდეს. დიდი საფრთხე არსებობს იმისა, რომ კალიფორნიული გრანდი პლეი ოფის პირველ რაუნდს ვერ გასცდეს.

ინდიანა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, „პეისერსში", როგორც იქნა, გარდაქმნეს გუნდი. **პოლ ჯორჯის** გამოჩენა სიურპრიზი აღმოჩნდა, **დევიდ უესტს** ჯერ არ უჩვენებია რეალური ძალა. ეს გუნდი თუ პლეი ოფში გავა, ნებისმიერი მეტოქისთვის შეიძლება „კერკეტი კაკალი" გახდეს.

ნიუ იორკი. ეჭვგარეშეა, რომ **ჯერემი ლინი** ამერიკის კერპია, „ნიქსმა" კი მისი გამოჩენით კარგად დაიწყო თამაში. მაგრამ ლინს ჯერ არ უთამაშია საუკეთესო მცველის (დერიკ როუზი) წინააღმდეგ და არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს ამ დუელში. **კარმელო ენტონიმ** და **ამარე სტაუდმაიერმა** უნდა გადახედონ საკუთარ თამაშის სტილს და გააკეთონ ის, რასაც აქამდე არ აკეთებდნენ - დაცვას მიხედონ.

MVP-ის კანდიდატები

ლებრონ ჯეიმსი. სტატისტიკის მიხედვით, ლებრონისთვის ეს სეზონი უკეთესია იმ ჩემპიონატებზე, როცა ის MVP ხდებოდა (2009, 2010). ჯეიმსი ინარჩუნებს ამ მაჩვენებლებს, იმ დროს, როცა დუეინ უეიდმა ნაკლებად ეფექტურად დაიწყო მოქმედება. თუ ლებრონი ასევე გააგრძელებს, მესამე MVP-ის ტიტული მას ჯიბეში ექნება.

კევინ დურანტი. მხოლოდ მას შეუძლია რეალური კონკურენცია გაუწიოს ლებრონ ჯეიმსს. დურანტის მაჩვენებლები ყველა მიმართულებით იზრდება, როცა სხვების სტატისტიკა ეცემა. ის მომავალი 10 წლის განმავლობაში მუდმივად MVP-ის კანდიდატთა რიცხვში იქნება.

კობი ბრაიანტი. ის ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ 16 სეზონის შემდეგ, შესაძლოა, ველარ ითამაშოს ძველ დონეზე. ის ძალიან ბევრს აგდებს (28.5), საშუალო მაჩვენებლები ისეთივე აქვს, როგორიც **მაიკლ ჯორდანს** (5.8 მოხსნა და 4.9 პასი). სინამდვილეში მისი მაჩვენებლები ძალიან ჰგავს ჯორდანისას, როცა ეს უკანასკნელი 35 წლის ასაკში ბოლოჯერ გახდა MVP (1998).

საუკეთესო ახალბედები

კაირი ირვინგი. ის არის კალათბურთელი, რომელზეც „კავალიერზი" ოცნებობდა. მან გაამართლა მოლოდინი - აგროვებს 18 ქულას და თითქმის 5 პასს. ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ გააჩუმოს სკეპტიკოსები, ვინც მიიჩნევდა, რომ „დიუკის" კურსდამთავრებულისთვის ერთი სეზონი საკმარისი არ იქნებოდა ლიგაში დასამკვიდრებლად.

რიკი რუბიო. ამ შემთხვევაშიც მრავლად იყვნენ კრიტიკოსები. რუბიოს თამაშმა „მინესოტას" მოუტანა ფანტაზია, რაც მას ასე არ ჰყოფნიდა. რიკის უარყოფითი მხარეებიც აქვს, მაგრამ არავინ უარყოფს, რომ ესპანელის მისვლით „მგლებმა" სახე იცვალეს.

ყველაზე დიდი სიურპრიზი

ჯერემი ლინი. მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობთ მისი პიროვნების მიმართ გადამეტებულ ყურადღებაზე ან მის სტაბილურობაზე. ერთი რამ ცხადია - ლინმა თამაში იცის. ის იდეალურად ერგება **მაიკლ დ'ენტონის** სისტემას და თავის როლს შესანიშნავად ასრულებს.

მინესოტა. დიახ, „მინესოტა" პლეი ოფში მოხვედრის ზღვარზე თამაშობს, მატჩების 50 პროცენტს პირველად იგებს მას შემდეგ, რაც გუნდიდან **კევინ გარნეტი** წავიდა. და ეს ყველაფერი რიკი რუბიოსა და **კევინ ლავის** დამსახურებით. როგორც კი ლავს გრძელი გარღვევების შესრულებას აუკრძალავენ, „მგლები" კიდევ უფრო წინ წაიწევენ ცხრილში.

ლოს ანჯელეს კლიპერსი. კრის პოლის შეძენის შემდეგ „კლიპერსზე" ხშირად დაიწყეს ლაპარაკი. საუბრობენ იმაზე, როგორ შეცვალა ვარსკვლავურმა გამთამაშებელმა გუნდის აზროვნება. მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება იმის შესახებ, რამდენად შორს წაიწევს წინ ეს გუნდი პლეი ოფში.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება

ბოსტონი. ბევრი ელოდა „სელტიქსისგან" ისეთივე თამაშს, როგორსაც „სპურსი" აჩვენებს. ამის ნაცვლად გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ **რაჟონ რონდო** შეიძლება გაცვალონ, ან დაიშალოს „დიდი ტრიო". „ბოსტონი" უკვე თამაშების 50 პროცენტსაც ველარ იგებს. რა შეიძლება ამან მოიტანოს რთული სათქმელია, თუმცა „კელტები" სეზონის ბოლოს ყოველთვის კარგად თამაშობენ.

მილუოკი. სტივენ ჯექსონის მისვლის შემდეგ ყველა ელოდა, რომ მოუხერხებელი „ბაქსი" შეძლებდა მორიგი ნაბიჯის გადადგმას. ამის ნაცვლად, ჯექსონს წასვლა უნდა, **ბრენდონ ჯენინგსი** კი მარტო ვერ მიათრევს გუნდს. მომავლის თვალსაზრისით, გუნდს რთული მდგომარეობა აქვს.

ლეიკერსი. კალიფორნიელებმა დიდი ამბიციებით დაიწყეს სეზონი. ახლა კი... მათ თითქმის უფასოდ გაუშვეს **ლამარ ოდომი,** არ ითვლებიან ფავორიტად დუიატ ჰოვარდისთვის რბოლაში და უბრალოდ ანიავებენ იმას, რაც კობი ბრაიანტის ბოლო წლებისგან არის დარჩენილი.

მწვრთნელები, რომლებსაც გათავისუფლება ემუქრებათ

მაიკ დ'ენტონი. ჯერემი ლინის გამოჩენის შემდეგ დროებით მოიხსნა დღის წესრიგიდან მწვრთნელის გაშვების საკითხი. მას შემდეგ, რაც „ნიქსმა" თამაში გააუმჯობესა, კლუბში მის მიმართ სიმპატიამ იკლო. ასევე გუნდში დაძაბული ურთიერთობაა დ'ანტონისა და კარმელო ენტონის შორის. NBA-ში მოთამაშეებს საკმარისი ძალაუფლება გააჩნიათ, ამიტომაც ნებისმიერი ჩავარდნა ან მოგებათა რაოდენობის 50 პროცენტზე დაბლა ჩამოსვლა „ნიუ იორკის" დამრიგებლის აუცილებელ გათავისუფლებას გამოიწვევს.

პოლ სილასი. წესით, ის არ უნდა იყოს ამ სიაში, რადგან ლიგის ყველაზე სუსტ გუნდში - „შარლოტში" მუშაობს. მაგრამ კატასტროფული შედეგები (4-28) და ძველი ტაქტიკის გამოყენება სილასს გაგდების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად აქცევს.

საუკეთესო სამწვრთნელო მუშაობა

დაგ კოლინზი. კოლინზი ყოველთვის ასე იქცეოდა - მიდიოდა ახალ გუნდში და უკვე მეორე სეზონში მას მოგებათა 60 პროცენტს უნაღდებდა. ასევე მოიქცა ის „ფილადელფიაში", რომელშიც არ თამაშობენ სუპერვარსკვლავები და სადაც სუსტი სათადარიგოთა სკამია. იმის გამო, რომ გუნდის დონე არ იძლევა ჩემპიონობაზე ფიქრის საშუალებას, კოლინზის მახვილგონივრულობა და პოზიტიური ხასიათი „ფილადელფიას" კარგ განწყობაზე ამყოფებს.

გრეგ პოპოვიჩი. ხალხი ელოდება, რომ „სპურსს" ჩავარდნა დაეწყება, მაგრამ **პოპოვიჩი** ისევ მოწოდების სიმაღლეზეა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

უღიმღამო ბაზარი

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო ბაზარი დაიხურა. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდების მთავარი სამიზნე იყო “კოლამბუსის” ლიდერი **რიკ ნეში**. მთავარ პრეტენდენტებს შორის იყვნენ “ნეშვილი”, “რეინჯერსი”, “სან ხოსე” და “ჩიკაგო”.

დედლაინამდე ერთი საათით ადრე გამოაცხადეს, რომ ყველაზე ახლოს იყო ნეშის გადაბირებასთან “რეინჯერსი” იყო. მის სანაცვლოდ კლუბის გენერალური მენეჯერი **გლენ სატერი ბრენდონ დუბინსკის** თმობდა. მაგრამ, მის კოლამბუსელ კოლეგას, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევდა ასეთი წინადადება. ბოლო 15 წუთში მხოლოდ “შარქს” რჩებოდა ნეშის აყვანის შანსი. ამისთვის **დუგ უილსონი** მზად იყო, თავდამსხმელი **ლოგან კუტური** გაემეტებინა. მაგრამ გავიდა 15 წუთი და რიკ ნეში “კოლამბუსის” კაპიტნად დარჩა.

ყველაზე კარგად სატრანსფერო ბაზარზე “ნეშვილის” გენმენეჯერმა **დევიდ პოლიმ** იმუშავა. დედლაინამდე წამებით ადრე მან “ბაფალოდან” **პოლ გოსტადი** აიყვანა, რომელიც ამ ბაზრის [რ]ეიტინგში მესამე ნომერი იყო.

გოსტადი ვერ აგროვებს სეზონში 50 ქულას, მაგრამ ბევრ “შავ სამუშაოს” ასრულებს, რაც ძალიან ერგება გუნდის თამაშის მოდელს.

ამით პოლის წარმატებები არ დასრულებულა. „ნეშვილმა“ “მონრეალს” გამოსტაცა ფორვარდი **ანდრეი კოსტიცინი**. ასე რომ, წელიწად-ნახევრის შემდეგ ძმები კოსტიცინები - ანდრეი და **სერგეი** ისევ ერთ კლუბში ითამაშებენ. რამდენიმე დღის წინ “ნეშვილმა” მცველი **ჰოლ გილიც** აიყვანა.

კარგად ინადირა “ჩიკაგომ”, რომელმაც “ვინიპეგის” მცველი **ჯონი ოდუია** ჩაიგდო ხელში.

“ბოსტონმა” საკმაოდ ბევრი გარიგება დადო, მაგრამ განსკუთრებული ტრეიდით თავს ვერ მოიწონებს. აღნიშვნას იმსახურებს მხოლოდ მცველი **კრეიგ ზენონისა** და 39 წლის **ბრაიან როლსტონის** დამატება. ეს უკანასკნელი თავის საუკეთესო წლებში სწორედ „დათვების“ რიგებში აგროვებდა სეზონში 50 ქულაზე მეტს. სამაგიეროდ, იყოჩაღა „მინესოტამ“, რომელმაც **ნიკ შულცის** სანაცვლოდ „ედმონტონის“ მცველი **ტომ გილბერტი** მიიღო.

„ლოს ანჯელესსა“ და „ფინიქსში“ გადასული **ჯეფ კარტერისა** და **ანტუან ვერმეტის** შემდეგ, „კოლამბუსი“ დატოვა ცენტრფორვარდმა **სამი პალსონმა**, რომელმაც „ვანკუვერის“ შვედური ლეგიონი შეავსო. „სან ხოსემ“ „კოლორადოს“ დასტყუა **დანიელ ვინიკი** და **ტი ჯეი გალიარდი**, სანაცვლოდ „ზვავებს“ **ჯემი მაკგინი** მისცა.

გასაკვირია, მაგრამ ბოლო დღეს განხორციელებულ არც ერთ ტრეიდში არ ფიგურირებდა მეკარის გვარი. ელოდნენ, რომ „ტამპა ბეი“ შეეცდებოდა პრობლემური პოზიციის გაძლიერებას. ფლორიდაში გადასვლის მთავარ პრეტენდენტებად მიიჩნეოდნენ **ჯონათან ბერნიე** („ლოს ანჯელესი“) და **კორი შნაიდერი** („ვანკუვერი“), რომლებიც თავიანთ კლუბებში მეორე ნომრები არიან. მაგრამ „ტამპას“ გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** ამ კლუბებისგან უარი მიიღო და „ლაითნინგში“ ისევ არსებობს კარგი მეკარის პრობლემა.

სიურპრიზი იყო ორმაგი გაცვლა „ვანკუვერსა“ და „ბაფალოს“ შორის. ამ უკანასკნელმა შემადგენლობაში ჩარიცხა **კოდი ჰოჯსონი** (33 ქულა) და მცველი **ალექსანდრ ზულცერი**, „ვანკუვერში“ კი ფორვარდი **ზაკ კასიანი** და მცველი **მარკ-ანდრე გრანიანი** გადავიდნენ.

მოულოდნელად მშვიდი საღამო ჰქონდა „მონრეალს“, რომლის ხუთი ჰოკეისტი ფიგურირებდა სავარაუდო ტრეიდების სიაში.

საბოლოოდ, სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღემ არ გაამართლა ექსპერტებისა და გულშემატკივრების მოლოდინი. საერთო ჯამში, მხოლოდ 15 ტრეიდი განხორციელდა, რაც უმცირესი მაჩვენებელია ბოლო წლების განმავლობაში.

კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა „ოტავა სენატორზის“ მცველი **ერიკ კარლსონი**. ის უკვე ზედიზედ შვიდი მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს. გასულ შვიდ დღეში მან ოთხი მატჩი ჩაატარა: ოთხი ქულა დააგროვა „აილენდერსთან“, გოლი და ორი საგოლე პასი ჰქონდა „ვაშინგტონთან“ და „ბოსტონთან“ მატჩებში, ორი პასი გააკეთა იმავე „აილენდერსის“ წინააღმდეგ. კარლსონს ამჟამად 63 მატჩში 65 ქულა აქვს და მცველებს შორის საუკეთესო ბომბარდირია.

მეორე ვარსკვლავია „ტამპა ბეის“ ფორვარდი **ტედი პურსელი**, რომელმაც გასულ კვირას 5 გოლითა და ორი შედეგიანი პასით გამოიჩინა თავი. ბოლო 11 მატჩში მის ანგარიშზე 10 ქულა მოდის.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა „დალასის“ მეკარე **კარი ლეჰტონენმა**. მან თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა და „სტარზის“ პლეი ოფის ზონაში დაბრუნებას შეუწყო ხელი. ლეჰტონენმა „მონრეალის“ წინააღმდეგ 31 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე შატაუტი შეასრულა.

რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:0

1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ჰაგელინი-11 (კელეჰანი-22, ჟირარდი-17), 2:0 კელეჰანი-25 (ჰაგელინი-16, ბ. რიჩარდსი-24).

ნეშვილი-ლოს ანჯელესი 2:1

1:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 იოსი-4 (ლეგუანდი-24, გ. ბურკი-5), 2:0 ჰორნკვისტი-18 (ლეგუანდი-25, ს. კოსტიცინი-21), 2:1 დ. ბრაუნი-18 (კოპიტარი-35, ჯასტინ უილიამსი-29).

კოლორადო-ანაჰაიმი 4:1

1:0, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 მაკლეოდი-4 (დაუნი-20, ჰეიდა-11), 1:1 რაიანი-23 (კოლიანო-12, ფაულერი-19), 2:1 რ. ო'რაილი-16 (ლანდესკოგი-21, დაუნი-21), 3:1 დუშენი-13 (ვ. შჩასტნი-24, ჰეიდუკი-21), 4:1 მაკლემანი-9 (ლანდესკოგი-22, ჰეიდა-12).

ვინიპეგი-ედმონტონი 3:5

0:0, 2:1, 1:4

გოლები: 1:0 უელვუდი-13 (ანტროპოვი-20, ბურმისტროვი-12), 1:1 რაიან უიტნი-2 (ტ. ჰოლი-25, დუბნიკი-1), 2:1 ბურმისტროვი-13 (ბაფლინი-31), 2:2 რ. ჯონსი-14 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-23, ჰემსკი-23), 2:3 პეტრელი-4, 2:4 ტ. ჰოლი-23 (პერტელი-5, ბელანჟე-10), 2:5 ებერლე-28 (რ. სმიტი-23, შმიდი-7), 3:5 ანტროპოვი-9 (ე. კეინი-18, ბაფლინი-32).

კალგარი-სტ ლუისი 1:3

1:2, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 გლენკროსი-19 (ო. იოკინენი-32, სერიჩი-4), 1:1 ბეკსი-19 (ოში-27, შატენკირკი-21), 1:2 არნოტი-14 (პიეტრანჯელო-25, ბერგლუნდი-16), 1:3 არნოტი-15 (ბერგლუნდი-17, ენდი მაკდონალდი-5).

აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. რეინჯერსი*	61	40	15	6	86
2. ბოსტონი*	60	37	20	3	77
3. ფლორიდა*	61	29	20	12	70
4. პიტსბურგი	62	36	21	5	77
5. ფილადელფია	61	34	20	7	75
6. ნიუ ჯერსი	62	35	23	4	74
7. ოტავა	64	33	23	8	74
8. ვინიპეგი	65	30	27	8	68
9. ვაშინგტონი	62	31	26	5	67
10. ტორონტო	62	29	26	7	65
11. ტამპა ბეი	62	28	28	6	62
12. ბაფალო	62	27	27	8	62
13. აილენდერსი	62	26	28	8	60
14. კაროლინა	62	23	26	13	59
15. მონრეალი	63	24	29	10	58

დასავლეთი

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. ვანკუვერი*	63	40	16	7	87
2. სტ. ლუისი*	63	39	17	7	85
3. ფინიქსი*	62	32	21	9	73
4. დეტროიტი	63	41	19	3	85
5. ნეშვილი	63	37	19	7	81
6. ჩიკაგო	64	33	24	7	73
7. სან ხოსე	61	32	22	7	71
8. დალასი	63	33	26	4	70
9. კოლორადო	64	33	27	4	70
10. ლოს ანჯელესი	63	28	23	12	68
11. კალგარი	63	28	24	11	67
12. მინესოტა	62	28	25	9	65
13. ანაჰაიმი	63	27	26	10	64
14. ედმონტონი	62	25	31	6	56
15. კოლამბუსი	62	18	37	7	43

** - დივიზიონის ლიდერი*

ბომბარდირები

გოლი+პასი

ევგენი მალკინი (პიტ)	78 (37+41)
სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	75 (43+32)
კლოდ ჟირუ (ფილ)	72 (23+49)
ჯეისონ სპეცა (ოტა)	70 (28+42)
ჰენრიკ სედინი (ვან)	66 (13+53)
ფილ კესელი (ტორ)	65 (31+34)
ერიკ კარლსონი (ოტა)	65 (14+51)
დანიელ სედინი (ვან)	63 (28+35)
ჯოფრი ლუპული (ტორ)	62 (23+39)

გოლები

სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	43
ევგენი მალკინი (პიტ)	37
ფილ კესელი (ტორ)	31
ჯეიმს ნილი (პიტ)	30
რადიმ ვრბატა (ფინ)	30
კორი პერი (ანა)	30
სკოტ ჰარტნელი (ფილ)	30
მარიან გაბორიკი (რეინ)	29
ჯონათან ტეუვზი (ჩიკ)	29

პასები

ჰენრიკ სედინი (ვან)	53
ერიკ კარლსონი (ოტა)	51
კლოდ ჟირუ (ფილ)	49
ჯო ტორნტონი (ს-ხოს)	44
პი ეი პარენტო (აილ)	43
პაველ დაციუკი (დეტ)	43
ჯეისონ სპეცა (ოტა)	42
ევგენი მალკინი (პიტ)	41

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ძმები კოსტიცინები

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სომხეთი-სერბეთი	0:2
ბოსნია-ბრაზილია	1:2
ინგლისი (U23)-იტალია (U23)	1:1
ესპანეთი (U23)-ეგვიპტე (U23)	1:1

ინგლისი

I ლიგა

ბერი-ჰარტლპული	1:2
ჩესტერფილდი-ჩარლტონი	0:4
ოლდჰემი-კოლჩესტერი	1:1
როჩდეილი-ნოტსი	0:1
სტევენეიჯი-ჰადერსფილდი	2:2

II ლიგა

ბარნეტი-ბრედფორდი	0:4
ჯილინგემი-ჰერეფორდი	5:4
მაკლსფილდი-პლიმუტი	1:1
მორეკამბი-დაგენჰემი	1:2
პორტ ვეილი-ქრიუ	1:1
სუინდონი-ბარტონი	2:0

გერმანია

III ბუნდესლიგა

კარლ ცაისი-ჰაიდენჰაიმი	0:0
ერფურტი-აალენი	0:1
შტუტგარტი A-ბურგჰაუზენი	2:3

რეგიონალლიგა (დას)

ფორტუნა A-ლევერკუზენი A	0:1
კობლენცი-გლადბახი A	1:2

საფრანგეთი

ნასიონალი

ეპინალი-ლე პუარი	1:1

შოტლანდია

II დივიზიონი

დამბარტონი-სტენჰაუზმური	3:0
ფორფარი-ისტ ფაიფი	3:2
ბრეჩინი-სტირლინგი	1:3

III დივიზიონი

ბირუიკი-პიტერჰედი	0:1
ელჯინი-კლაიდი	1:1
მონროუზი-ქუინზ პარკი	0:1

ჩრ. ირლანდია

დუნგანონი-კოლრეინი	1:2
[illegible]	0:1

კალათბურთი

ევროთასი

ბანვითი-სპარტაკი	68:61
ბუდუჩნოსტი-კრკა	63:58
ვეფ რიგა-ვალენსია	71:82
გრაველინი-ნიმბურკი	61:91
არისი-დონეცკი	66:77
ბენეტონი-ლ. რიტასი	74:80
ვილერბანი-ხიმკი	79:83
ლოკომოტივი-ალბა	73:70

ევროჩელენჯი

ნ. ნოვგოროდი-პარდუბიცე	86:65
ტრიუმფი-ანტვერპენი	79:60
ვეტნსპილსი-როანი	94:92 (ო)
ბეშიქთაში-ფუენლაბრადა	77:78
შოლნოკი-ტელეკომი	96:94
ლეიდენი-ოლდენბურგი	76:71
აალსტი-შალონი	84:64
ერტლანდი-პინარი	95:88

ჰოკეი

ავსტრია

ალბა-ოლიმპია	1:2
ზალცბურგი-კლაგენფიურტი	1:2
ლინცი-ვენა	3:6

გერმანია

ინგოლშტადტი-აუგსბურგი	5:3
კიოლნი-ვოლფსბურგი	2:1
მანჰაიმი-ჰამბურგი	7:2
ნიურნბერგი-ჰანოვერი	3:7

დანია

ოდენსე-ფრედერიკშავნი	5:4 (ო)
როდოვრე-ოლბორგი	3:6
სენდერიოისიკ-ჰერლევი	6:2
ჰერნინგი-ესბერგი	3:1

ნორვეგია

ლილეჰამერი-ლორენსკოგი	0:2
ფრისკ ასკერი-ვოლერენგა	0:4

სლოვაკეთი

სლოვანი-ტრენჩინი	4:1

ფინეთი

ბლუზი-საიპა	1:4
იოკერიტი-ტპს	3:1
კერპეტი-ილვესი	5:2
პელიკანსი-ჰიფკ	6:2
ტაპარა-ჰპკ	7:2
იუვიასკიულა-ესეტი	5:1

შვედეთი

ბრინასი-აიკ	2:4
ლულეა-ტიმრა	7:2
ფერიესტადი-ვაქსიო	3:2
შელეფტეო-ჰვ71	4:3
იურგორდენი-ლინჩოპინგი	2:1 (ბ)

ჩოგბურთი

ATP. აკაპულკო

ბერლოკი-სიმონი	7:6, 6:3
კუბოტი-გარზა	6:1, 6:3

ATP. დელრეი ბიჩი

ფალა-გულბისი	4:6, 1:6
კოლშრაიბერი-ო. როხუსი	6:1, 6:4
ტროიცკი-დარცისი	4:6, 6:4, 6:4
ნიემინენი-ჩილიჩი	6:3, 3:6, 6:2
დოდიგი-ბახინგერი	4:6, 6:4, 6:4

ATP. დუბაი

მიურეი-ბერერი	6:3, 4:6, 6:4
დავიდენკო-ჩიუდინელი	4:6, 7:5, 4:6
სტახოვსკი-ავადი	6:1, 6:2
იუჟნი-გასკე	6:3 უარი
ლუბიჩიჩი-ჩიპოლა	2:6, 5:7
ცონგა-ბაღდატისი	7:6, 6:4
ფედერერი-ლოდრა	6:0, 7:6
დელ პოტრო-დოლპოგოლოვი	6:3, 7:6
ფ. ლოპესი-მაუ	6:4, 6:4
ტიპსარევიჩი-კუნიცინი	6:2, 6:2
ბერდიხი-ბეკერი	6:2, 6:2

WTA. კუალა ლუმპური

კრეიბასი-სემა	6:4, 1:6, 6:4
გაიდოშოვა-ვორლე	1:6, 7:6, 7:5
დელაკუა-იოვანოვსკი	6:0, 6:2
ჰსიე-კეოტავონგი	6:4, 7:5
კრ. პლიშკოვა-ბრემონი	6:0, 6:2
დანილიდუ-მირზა	6:2, 1:6, 6:4
მორიტა-ლუანგნამი	6:4, 6:0
კარ. პლიშკოვა-ჩანგი	6:3, 6:2
მოისბურგერი-პენგი	1:6, 6:4, 2:6
იანკოვიჩი-გარსია	7:6, 4:6, 7:6

WTA. აკაპულკო

ვინჩი-სოლერ ესპინოსა	6:2, 7:6
დულგერუ-რიბარიკოვა	6:2, 5:7, 6:7
ტატიშვილი-ბირნეროვა	6:4, 4:6, 6:3
ლარსონი-კარატანჩევა	1:6, 6:4, 6:3

TV პროგრამა

29 თებერვალი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ბორუსია (მ)-ჰამბურგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXV ტური. ატალანტა-რომა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტური. ლიონი-პსჟ.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. XXV ტური. მილანი-იუვენტუსი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. არსენალი-ტოტენჰემი.
23:45 ამხანაგური მატჩები. გერმანია-საფრანგეთი (LIVE).
01:45 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIV ტური. ატლეტიკო-ბარსელონა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რაიო ვალეკანო-რეალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მინესოტა.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. ანდერლეხტი-ალკმაარი. მეორე მატჩი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. III ტური. შოტლანდია-საფრანგეთი.
19:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. III ტურის მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
19:50 სუპერკოლაჟი.
20:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VI ტური. უნიქსი-პანათინაიკოსი (LIVE).
22:15 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
23:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მინესოტა.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
13:15 სპორტ-NEWS.
13:45 ჩოგბურთი. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
18:00 სპორტ-NEWS.
18:30 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ლეიკერსი.

I არხი

18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-ალბანეთი (LIVE).

კრივი

მომავალი მეტოქეები

უმცროსი კლიჩკოს ჯერია

ორი კვირის წინ, უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** ბრიტანელი **დერეკ ჩისორა** დაამარცხა და შეინარჩუნა WBC ჩემპიონის ტიტული.

ახლა კი მისი უმცროსი ძმის - **ვლადიმერ კლიჩკოს** ჯერი დადგა, რომელიც სამი პრესტიჟული ვერსიით (WBA, WBO, IBF) ფლობს საჩემპიონო ქამარს.

შაბათს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში უკრაინელის მეტოქე იქნება 39 წლის ამერიკელი **ჯონ მორგანი**. ეს უკანასკნელი არის ცნობილი და 2000 წელს ამ კატეგორიაში ჩემპიონიც იყო. მაგრამ ახლა მორმეცეს სურს, გახდეს სუპერმძიმე წონით კატეგორიაში პირველი ფრანგი ჩემპიონი.

სხვათა შორის, მორმეცს აქვს სუპერმძიმეში გამოსვლის გამოცდილება - 2010 წლის დეკემბერში მან უზბეკი **თიმურ იბრაჰიმოვი** დაამარცხა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოცდილებით ფრანგი ახლოსაც ვერ მიეკარება კლიჩკოსთან, რომელმაც თუ ნოკაუტით მოიგო მომავალი ბრძოლა, ეს იქნება ამ ხერხით მის კარიერაში საოცნებო - 50-ე გამარჯვება.

ბრძოლისწინა ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მეტოქეების მხრიდან იყო ტრადიციული მუქარის განცხადებები და ერთმანეთის დაშინების მცდელობა.

„მზად ვარ მორმეცთან საბრძოლველად. ჯერ ისევ მწყურია გამარჯვებები, ამიტომაც მომავალ ბრძოლას სრული სერიოზულობით მოვეკიდები. მორმეცი ძალიან მონდომებულია და უნდა მივწეული ფრანგი ჩემპიონი გახდეს. ჯონ ლიტერატურა. ამიტომ, იცოდეს, რომ ჯერ ისევ ძლიერი ვარ და არ აქვს", - განაცხადა უკრაინელმა ჩემპიონმა.

მორმეცმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არაფერი იქნება: „კლიჩკოს დამარცხების დიდი სურვილი მაქვს. ჩვენთან ჩხუბი ნებისმიერ მოკრივეს გაუჭირდება. არავინ მეშინია, სწორედ ამაში მდგომარეობს ჩემი ძალა. მეეჭვება, ეს თვისება კლიჩკოსაც ჰქონდეს".

ახლა უკვე მსახიობად

მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი **მაიკ ტაისონი** ყოველნაირი ხერხით ცდილობს "პურის ფულის" შოვნას: მოაწყოს სატელევიზიო გადაცემები, მონაწილეობს ფილმებში, აბარებს მტრედების შეჯიბრებებს...

ახლა კი სუპერმძიმე მძიმე წონითი კატეგორიის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ლას ვეგასის მცხოვრებლებისა და სტუმრების წინაშე გამოსულით გაოგუმჯობესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ლეგენდარული ამერიკელი მთავარ როლს შეასრულებს ერთი მსახიობის თეატრში. სპექტაკლის სახელწოდებაა - "მაიკ ტაისონი: უტყუარი სიმართლე".

მოქმედების ადგილია - ლას ვეგასის MGM Grand Hotel & Casino. სპექტაკლს 13-დან 18 აპრილამდე ყოველდღე ითამაშებენ. სეანსის დაწყების დრო - 20 საათი. ტაისონი მოპყვება თავისი ცხოვრების ყველა ტრაგიკული მომენტის შესახებ, კარიერის აღმასვლისა და დაცემის ეტაპებზე, აგრეთვე წარმოადგენს საკუთარ ვიდეორგოლებსა და ფოტოებს.

თუ ვინმეს გაუჩნდება კრივის ლეგენდასთან ხელის გადახვევის ან ფოტოს გადაღების სურვილი, ამისთვის 499 დოლარის გადახდა მოუწევს. უბრალოდ ტაისონის ცქერა და მოსმენა უფრო იაფი - 99 დოლარი ღირს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

მაიკ ტაისონი

ავტოსპორტი

ცეცხლი დაიტრიალა

აფეთქებულ მონტოიას მხოლოდ ფეხი გაეკარა

მონტოიას ავარია

ოკეანის გაღმა პოპულარული სარბოლო სერიის - ნასკარის ახალი სეზონი დიდხანს ლეგენდარული 500-მილიანი რბოლით გაიხსნა. სახელგანთქმული ტრასის სტარტი წვიმის გამო რამდენჯერმე გადაიდო, მაგრამ საბოლოოდ, გუშინ დილით პილოტებმა მოახერხეს დაატონა 500-ის სტარტზე გასულა.

როგორც ყოველთვის, რბოლა მდიდარი იყო ავარიებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ მონაწილეთა თითქმის ნახევარმა ფინიშამდე ვერ მიაღწია.

ყველაზე სახიფათო ავარიაში კი, რა თქმა უნდა, ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია** მოხვდა. თანაც, „მაკლარენის" ყოფილმა ნევრმა მანქანაზე კონტროლი მაშინ დაკარგა, როცა რბოლა შეწერებული იყო. კოლუმბიელის „შევროლე" მოსრიალდა და საბეირო მანქანას შეეჯახა, რომელიც იმ დროს ტრასაზე დალაგებულ ზეთს წმენდდა.

მონტოია საბეირო მანქანის იმ ნაწილს შეეჯახა, სადაც სანვავის 200-ლიტრიანი ავზი იყო დამონტაჟებული. სანტერესოა, რომ მონტოიამ მცირედით დაიზიანა ფეხი, თუმცა მეორე პილოტი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

რბოლა კარგა ხანი შეწყდა. მონტოიას ავარიის მომენტში ლიდერი **დეივ ბლუნი** იყო, მაგრამ რესტარტის შემდეგ ყველას აჯობა **მეტ კენსეტმა** და სწორედ ის მივიდა პირველი ფინიშთან.

ჩოგბურთი

ძმებს შორის 868 საფეხურია

ნოვაკ ჯოკოვიჩი

თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ კორტს დაუბრუნდა მსოფლიოს პირველი რაკეტით **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბი ჩოგბურთელი პირველივე დღიდან ჩაერთო დუბაის 500-იან ტურნირში და პირველი მატჩი ჩაატარა ავსტრალიის ღია პირველობის ლეგენდარული ფინალის შემდეგ.

ნოვაკს მეტოქედ გერმანელი **სებრინა-მარისელ შტებე** შეხვდა, რომელიც სამოცდაერთმეტე მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

ჯოკოვიჩს მხოლოდ პირველ სეტში ეტყობოდა ორთვიანი უთამაშებლობა, რის გამოც პირველ პარტიაში ერთადერთი ბრეიკის გაკეთება შეძლო და სეტი 6:4 მოიგო. მეორე პარტიაში უფრო გამოიკვეთა კლასიფიკაციის ლიდერის უპირატესობა, რაც მეტოქის ორ მოგებულ გემში აისახა.

საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ ჯოკოვიჩმა 6:4, 6:2 მოიგო და პირველი ნაბიჯი გადადგა დუბაიში ზედიზედ მეხუთე ტიტულისკენ.

იმავე დღეს, დუბაის კორტზე ნოვაკის უმცროსი ძმა - **მარკო ჯოკოვიჩიც** ეთამაშა, რომელიც ძმისაგან განსხვავებით, რეიტინგში 869-ე ნომერია და ჯერ საკმარისი ოსტატობა და გამოცდილება არ გააჩნია. ეს კარგად გამოჩნდა ყაზახ **ანდრეი გოლუბევთან** მატჩში, რომელიც მხოლოდ საათი და 11 წუთი გაგრძელდა.

უმცროსი ჯოკოვიჩის სასარგებლოდ მხოლოდ ის ლაპარაკობს, რომ მან ერთი ბრეიკის გაკეთება შეძლო, თუმცა გოლუბევმა ამას ოთხი ბრეიკით უპასუხა და 6:3, 6:2 მოიგო.